

გიორგი ყიფიანი

იდეოლოგია, მორალი და იდენტობა

თბილისი
არადანი
2020

სარჩევი

შესავალი.....	4
თავი 1. ნეოლიბერალური იდეოლოგია და სოციალური ფსიქოლოგია.....	6
თავი 2. ახალგაზრდობის ეროვნული და რელიგიური იდენტობის კვლევა.....	13
თავი 3. საზოგადოებრივი მორალის დაცვისადმი იდეოლოგიური მიდგომა საქართველოს კანონმდებლობაში.....	41
თავი 4. არასრულწლოვანთა ფსიქიკური და ზნეობრივი განვითარების დაცვის სამართლებრივი და ფსიქოლოგიური სტანდარტები საქართველოში.....	48
თავი 5. ქართული მედია მაუწყებლობის შინაარსობრივი რეგულირების შესახებ: დისკურსის კრიტიკული ანალიზი.....	68
თავი 6. ქართული სუფრა, როგორც ეროვნული იდენტობის მარკერი და მისი იდეოლოგიური კრიტიკა.....	98
დასკვნები.....	121
გამოყენებული ლიტერატურა.....	124

შესავალი

წიგნის მიზანს წარმოადგენს ფსიქოლოგიური კვლევის საფუძველზე თანამედროვე ქართული საზოგადოების სოციო-კულტურულ თავისებურებათა და იდეოლოგიური დისკურსების ურთიერთშესაბამისობის დადგენა საკანონმდებლო, მართვის და საგანმანათლებლო საქმიანობის დროს გათვალისწინების მიზნით. გლობალიზაცია განაპირობებს ინფორმაციულ არხებში სხვადასხვა იდეოლოგიის ზეგავლენას მცირე ერებისათვის ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა სოციალური იდენტობის ეროვნული და რელიგიური ასპექტები, ეროვნული კულტურისადმი, ტრადიციებისა და საზოგადოებრივი მორალისადმი დამოკიდებულება.

პირველ თავში განხილულია სოციალური ფსიქოლოგიისა და ნეოლიბერალური იდეოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხები. საქართველოში ნეოლიბერალური იდეოლოგიის დომინირების პირობებიდან გამომდინარე წიგნში ჩამოყალიბებულია მიდგომა, რომლის თანახმად ქვეყნის კანონმდებლობა უნდა ასახავდეს და ითვალისწინებდეს ერის კულტურულ თავისებურებებს. ეს მიდგომა ეფუძნება სოციოცენ ტრული ანუ კოლექტივისტური და ინდივიდუალისტური კულტურებისა და შესაბამისი ზნეობრივი მატრიცების განსხვავებას, რომელთა გათვალისწინებაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

მეორე თავში განხილულია კვლევები, რომლებიც საქართველოს, როგორც სოციოცენტრულ კულტურას ახასიათებს და დახასიათებულია ეროვნული და რელიგიური იდენტობის კვლევისადმი თეორიული მიდგომები. გაანალიზებულია ახალგაზრდობის სოციალური იდენტობის და პოლიტიკური ინტენციების კვლევის ემპირიული შედეგები საქართველოში, ეროვნულ და რელიგიურ იდენტობათა სიძლიერისა და სახელისუფლო მედია-დისკურსში ნეოლიბერალური იდეოლოგიის დომინირების ურთიერთმიმართება.

მესამე თავში ნაცადია საქართველოს კონსტიტუციურ კანონმდებლობაში დამკვიდრებული სამართლებრივი მიდგომისა და პრაქტიკის შეფასება ქართული კულტურის, როგორც

სოციოცენტრული საზოგადოების ზნეობრივი პრიორიტეტების თვალსაზრისით. კონტენტ-ანალიზის მეთოდის გამოყენებით შედარებულია საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში საზოგადოებრივი მორალის ნორმების მიმართ დამკვიდრებული მიდგომა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებში ჩამოყალიბებულ მიდგომებთან.

მეოთხე თავში მოცემულია საქართველოს მედიის კანონმდებლობასა და მედია-დისკურსში არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიური და ზნეობრივი განვითარების დაცვის ღონისძიებათა შედარება ევროპის საბჭოს რეკომენდაციებსა და მცირეწლოვანთა ზნეობრივი განვითარების დაცვის ევროპულ და ამერიკულ გამოცდილებასთან შედარებით.

მეხუთე თავში მოცემულია მედიაში დომინირებული იდეოლოგიური მიდგომების დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდის გამოყენებით სხვადასხვა ღირებულებითი ორიენტაციის, კერძოდ, მცირეწლოვანთა ზნეობრივი განვითარების დაცვის, გამოხატვის თავისუფლებისა და ბიზნესის თავისუფლების თემატური ინდიკატორების კვლევა, რომელიც აჩვენებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების - არასამთავრობო სექტორის, სამაუწყებლო ინდუსტრიის, სახელისუფლო ელიტის პრიორიტეტებს. განსაზღვრულია საზოგადოებრივ მედია-დისკურსში მორალის ნორმებისა და მედიის რეგულირებისადმი მიდგომის ძირითადი იდეოლოგიური ტენდენციები, ერთის მხრივ, საზოგადოებრივი მორალისა და მცირეწლოვანთა დაცვის და მეორეს მხრივ, გამოხატვის თავისუფლებისა და ბიზნესის თავისუფლების დაცვის დაბალანსების მცდელობის მაგალითებზე დაყრდნობით.

მექვსე თავი მიზნად ისახავს ქართული კულტურისა და ეროვნული იდენტობის მნიშვნელოვანი კომპონენტის - სუფრის ტრადიციის შესახებ დისკურსის კვლევას თანამედროვე სოციალურ-ანთროპოლოგიური და ფსიქოლოგიური მეცნიერების თვალსაზრისით და ამ დისკურსში დომინირებული იდეოლოგიური მიდგომების განსაზღვრას.

თავი 1. ნეოლიბერალური იდეოლოგია და სოციალური ფსიქოლოგია

თანამედროვე სოციალურ ფსიქოლოგიაში უფრო დომინირებს ექსპერიმენტსა და ლაბორატორიულ კვლევაზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც ახდენს სოციალურის ინდივიდუალიზაციას. სოციალური ფსიქოლოგიის სფერო, რომელიც მოიცავს დიდი ჯგუფების, ერების, ეთნიკური ჯგუფების, რელიგიების, პოლიტიკური მოძრაობების იდეოლოგიის თავისებურებებს, შედარებით რთულია შესწავლის თვალსაზრისით. ამიტომ სოციოლოგიური სოციალური ფსიქოლოგია განსაკუთრებით აქტუალური ხდება თანამედროვე გლობალიზირებულ სამყაროში.

Doise (1982/1986) ამტკიცებდა, რომ სოციალური საკითხები უნდა განხილულ იქნეს ანალიზის ოთხ განსხვავებულ თეორიულ დონეზე: (1) ინტრა-პერსონალურ, (2) ინტერპერსონალურ, (3) ჯგუფთაშორის და (4) იდეოლოგიურ ანუ მაკრო დონეზე. ემპირიული კვლევისა და თეორიული ანალიზის ამოცანა არის ძალაუფლების გაანალიზება ოთხივე დონეზე, რადგან ისინი ურთიერთშემავსებელი და ურთიერთხემოქმედა (Prilleltensky & Nelson, 1997). თუმცა, ამ იდეალის შესრულება, თეორიულად და ემპირიულად წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას. თანამედროვე მეინსტრიმული სოციალური ფსიქოლოგიის ფარგლებში ჩატარებული კვლევაში უპირატესად დომინირებს ძალაუფლების ანალიზი ინტერპერსონალური და ჯგუფთაშორისი ურთიერთობების დონეზე (Brauer & Bourhis, 2006). მაკრო ან იდეოლოგიურ დონეზე ანალიზი განსაკუთრებული რელევანტურია გამოყენებით სოციალურ და საზოგადოებრივ ფსიქოლოგიის ამოცანებთან, მაგრამ პრაქტიკულად უგულვებელყოფილია მიმდინარე მეინსტრიმული ფსიქოლოგიური კვლევის დროს (Nafstad's et al., 2007).

როგორც Doise (1982 / 1986: 15) მიუთითებს: “ ყველა საზოგადოება ავითარებს საკუთარ იდეოლოგიებს, საკუთარ რწმენებისა და წარმოდგენების სისტემებს, ფასეულობებს და ნორმებს, რომლებიც ამოწმებენ და ინარჩუნებენ დამკვიდრებულ სოციალურ წესრიგს”. იდეოლოგიები ქმნიან ადამიანის განვითარების საფუძველს

და, შესაბამისად, უნდა ჩართულ იქნენ, როგორც აუცილებელი კონცეფტი სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზის დროს. იდეოლოგიის ცნება აგრეთვე სხვადასხვა კულტურისა და საზოგადოების შედარებითი ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.

მაიკლ ბილიგი მიუთითებს, რომ თუ სოციალური ფსიქოლოგები იდეოლოგიის კვლევას სერიოზულად მიუდგებიან, სოციალური ფსიქოლოგიის ბუნება დრამატულად შეიცვლება, მისი ინტელექტუალური თვალსაწიერი გაფართოვდება და ისტორიული, ანთროპოლოგიური და ლინგვისტური წვდომის ჩართვით დაუახლოვდება სხვა სოციალურ კვლევებს. ამით ის უპასუხებს თანამედროვე სოციალური მეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს (Billig, 1997:51). იდეოლოგიის ცნების გამოყენებით, რომელიც აქამდე მეტ-ნაკლებად იგნორირებული იყო, სოციალურმა ფსიქოლოგიამ უნდა უპასუხოს დროის გამოწვევებს (Nafstad, H.; Blakar M., 2012).

ნეოლიბერალიზმის გლობალიზებული იდეოლოგია წარმოადგენს ძლიერ დომინანტურ თანამედროვე დისკურსს. ის თანდათან უფრო და უფრო მეტი ადამიანის ცნობიერებას აყალიბებს და ასე ახდენს ამ მსოფლმხედველობის რეპროდუცირებას (Nafstad 2009). ნეო-ლიბერალიზმი გულისხმობს "სახელმწიფო ინტერვენციისა" და ეკონომიკაში ნებისმიერი საზოგადოებრივი ჩარევის მინიმუმზე დაყვანას (Amable B. 2011).

ნეოლიბერალიზმის ფსიქოლოგიური ასპექტების დახასიათებისას მკვლევარები განიხილავენ იმ აქტუალურ საკითხებს, რომლებსაც ეს იდეოლოგია სხვადასხვა სოციალურ მეცნიერებათა მიმართ წამოჭრის. ნეოლიბერალური ეკონომიკური დღის წესრიგი გულისხმობს ბაზრების დერეგულაციას და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას, ხაზს უსვამს გლობალიზაციას (Harvey, 2005). პოლიტიკური დღის წესრიგი კი ითვალისწინებს მინიმალურ დემოკრატias, რაც გულისხმობს მთავრობის როლის შეზღუდვას ბაზრების ფუნქციონირების უზრუნველყოფაში. ნეოლიბერალურ პოლიტიკასთან ასოცირდება ასევე სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ცალკეული ერთეულების ჯამის გაგება, ამასთან ისინი ერთმანეთთან მიმართებაში განიხილებიან, როგორც კონკურენტები,

რომლებიც საკუთარი ინტერესისკენ მიისწრაფვიან. ნეოლიბერალიზმი სხვა ლიბერალურ ფასეულობებთან (მაგ., თანასწორობა და სამოქალაქო ვალდებულება) შედარებით თავისუფლებისთვის პრიორიტეტის მინიჭებით გადაიხრება კლასიკური ლიბერალიზმისგან (Adams G. and Estrada-Villalta S. 2019). როგორც ეს ავტორები მიუთითებენ, კულტურულ-ეკოლოგიური ან ისტორიული კონტექსტისგან დამოუკიდებლად ფსიქოლოგიური პროცესების შესწავლის გზით და ინდივიდუალური ზრდისა და აფექტური რეგულირების, როგორც ოპტიმალური კეთილდღეობის განმსაზღვრელის სტატუსის მინიჭებით, ფსიქოლოგები მეცნიერულ უფლებამოსილებას ანიჭებენ ნეოლიბერალური იდეოლოგიას, ახდენენ მის ლეგიტიმაციას და ამყარებენ მის გავლენას, თუნდაც სინამდვილეში სხვა მიზანი ჰქონდეთ.

ნეოლიბერალური მიდგომა ინდივიდუალიზმს ანიჭებს უპირატესობას, რაც გულისხმობს პიროვნების მორალურ პრიორიტეტს ყოველგვარ სოციალურ კოლექტივიზმზე (ერთობაზე), ეგალიტარულ და უნივერსალისტურ მიდგომას, რადგან მასში იგულისხმება, რომ ყველა ადამიანს ერთი საერთო მორალური პრინციპები უნდა ჰქონდეს, ის უარყოფს სამართლებრივ და პოლიტიკურ განსხვავებებს და მეორად მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიული და კულტურული ფორმების განსხვავებულობას (Gray 1995:xii.)

ნეოლიბერალიზმი შეიძლება განხილულ იქნას როგორც კულტურის ფორმა: იდეათა პატერნები და მათი მატერიალური მანიფესტაციები ინსტიტუციებში, პრაქტიკებსა და არტეფაქტებში (Adams & Markus, 2004). ნეოლიბერალიზმის გავლენა ფსიქოლოგიაზე უფრო თვალსაჩინოდ შეიძლება გამოვლინდეს ფსიქოლოგიური მეცნიერების ჰეგემონური ფორმებში. ამ ერთობლიობას ავტორები იყენებენ, რომ დაახასიათონ კვლევის შედეგად მიღებული ცოდნა იმ ადამიანთა შესახებ, რომლებიც არიან დასავლური, განათლებული, ინდუსტრიული, მდიდარი და (სავარაუდოდ) დემოკრატიული გარემოს ბინადრები, ერთი სიტყვით, WEIRD (Western, educated, industrial, rich, and democratic—Henrich, Heine, & Norenzayan, 2010) - მაგრამ გახდნენ გლობალური სტანდარტი ინტელექტუალური და კულტურული იმპერიალიზმის პროცესების მეშვეობით. კულტურულ-

ფსიქოლოგიურ დონეზე ნეოლიბერალიზმი მეტ ხაზგასმას ახდენს ადგილობრივი კონტექსტთან რადიკალურ დამოუკიდებლობაზე (Oishi, Schug, Yuki, & Axt, 2015), პრაქტიკულად კი ეს გამოიხატება ტრადიციული ცხოვრების წესის, კულტურული თავისებურებების მინიმალურ გათვალისწინებაში. ნეოლიბერალიზმის გავლენა შეიძლება ნაკლები იყოს ფსიქოლოგიური მიდგომების ისეთ ტრადიციებში, როგორცაა კულტურული ფსიქოლოგია (Adams & Kurtis., 2018), აბორიგენული ფსიქოლოგია (Kim & Berry, 1993) და განთავისუფლების ფსიქოლოგია (Martin-Baro, 1994). ეს პერსპექტივები ქმნიან რესურსებს, რათა პოტენციალურმა ალტერნატივებმა წინააღმდეგობა გაუწიონ ნეოლიბერალურ ფსიქოლოგიას.

როგორც ვხედავთ, ნეოლიბერალური იდეოლოგია გარკვეულ ფსიქოლოგიურ პრინციპებს ანიჭებს პრიორიტეტს. პოლიტოლოგიური კვლევა ადასტურებს, რომ რადიკალური ნეოლიბერალური ორიენტაცია პრიორიტეტული იყო პოსტსაბჭოთა საქართველოში. კერძოდ, პრივატიზაცია ნეოლიბერალური რადიკალიზმით წარმართა (Nellis J. 1999, John A. Gould & Carl Sickner, 2008).

ბოლოდროინდელი კვლევა ასევე ადასტურებს, რომ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკასა და მედიის დისკურსში ძლიერია ნეოლიბერალური ორიენტაცია. საქართველო 2003-2012 წლებში, შეფასებული იყო, როგორც ნეოლიბერალური ავტოკრატია და ნეოლიბერალური ექსპერიმენტების სივრცე როგორც ქართველი ავტორების (Berekashvili B. 2013), ისე უცხოელი მკვლევარების მიერ (Leonardis F., 2016, Appel H, 2018), ხელისუფლების ნეოლიბერალური ორიენტაცია ბოლო წლებშიც გაგრძელდა (Gabitsinashvili M, 2019, Gugushvili D. 2017, Wade R., 2016). ჩვენთვის საინტერესოა, თუ საქართველოში რა მიმართებაშია ნეოლიბერალური იდეოლოგია მოსახლეობის სოციოკულტურულ ღირებულებებთან.

კულტურის ფსიქოლოგია და მორალის სისტემები.
საზოგადოებრივი თანაცხოვრების კულტურული მახასიათებლების აღსაწერად სხვადასხვა სისტემა ჩამოყალიბდა, რომლებიც აქცენტს მორალის სხვადასხვა პრინციპებზე აკეთებს. რიჩარდ შვედერი აყალიბებს თეორიას, რომლის მიხედვით შეიძლება განსხვავებულ

იქნეს კონცეფტუალურად დაკავშირებული საკითხების სამი მორალური კლასტერი: პირველ, ავტონომიურობის ეთიკის კლასტერში ხაზგასმულია, რომ ინდივიდები ძლიერ დამოუკიდებლები არიან (Schweder R., Much N., 1997). მეორე - თემის, ჯგუფურ ეთიკაში ხაზგასმულია, რომ ადამიანები არიან ისეთი დიდი ერთობების წევრები, როგორცაა კლანები, ეთნიკური ჯგუფები, რელიგიები და ერები, რომლებსაც აქვთ თავისი იდენტობა, პოზიცია, ისტორია და რეპუტაცია. ისეთი საზოგადოებები, როგორც აღმოსავლეთ აზიაშია, რომლებიც ამ ეთიკას თავისი მორალური მატრიცების ძლიერ ნაწილად მიიჩნევენ, ბუნებრივად ხედავენ ძლიერი ინდივიდუალიზმის საზოგადოებებს, როგორც ისეთი ქვეყნის გამავრცელებლებს, რომელიც ასუსტებს სოციალურ სტრუქტურას და ანგრევს მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტებს, რომლებზეც დამოკიდებულია წესრიგი.

მესამე, ღვთაებრივობის ეთიკაში ხაზგასმულია ღვთაებრივისა და ადამიანების დამოკიდებულება, აქ ინდივიდები წარმოადგენენ სულიერ მთლიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია წმინდა წესრიგთან და უნდა იქცეოდნენ ისე, რომ პასუხისმგებლობით დაიცვან მემკვიდრეობა, რომელიც ამაღლებულია და ღვთიურია. ადამიანების სხეულები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ წესრიგში და არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სათამაშო ადგილი. ეს ეთიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს შუა აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაში, ასევე დასავლეთის რელიგიურ საზოგადოებებში და მისთვის უმნიშვნელოვანესია ისეთი ზნეობრივი ცნებები, როგორცაა სიწმინდე და ცოდვა, ამაღლება და დეგრადაცია; მისი მიზანია დაიცვას სული, ადამიანის საქმიანობის სულიერი ასპექტები და ბუნება. ასეთ საზოგადოებებში დასავლური კულტურა შეიძლება აღიქმებოდეს როგორც კაცობრიობის მდებალი ინსტინქტების ზეიმი, ჰედონიზმი და ლიბერტინიზმი (Schweder R., Much N., 1997).

კულტურის ფსიქოლოგიაში ცნობილია დაყოფა ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ, სოციოცენტრულ საზოგადოებად დაყოფა, რომელიც მთელ ქვეყნებზე განივრცობა: პირველი ფოკუსირებულია მაქსიმალურ პიროვნულ თავისუფლებაზე, მეორე კი ურთიერთობებისა და ინსტიტუციების მარტივ ქმედების მაქსიმინაციაზე. პირველი კონცენტრირებულია ინდივიდზე და მის

დამოუკიდებლობაზე, მეორე კონცენტრირებულია მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობაზე, თითოეული პიროვნების ურთიერთდამოკიდებულებაზე ხაზგასმით იმ ჯგუფებში, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან. ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ, საზოგადოებებში ზნეობრივი ღირებულებების განსხვავებულ პრიორიტეტებს მიუთითებენ: ინდივიდუალისტური საზოგადოებები მაღალ შეფასებას აძლევენ არჩევანს და თანასწორობას, ისინი ხაზს უსვამენ ისეთ ზნეობრივ ღირებულებებს, როგორცაა უფლებები, თავისუფლება და სამართლიანობა. სოციოცენტრული საზოგადოებები მაღალ ღირებულებას ანიჭებენ ისეთ ცნებებს, როგორცაა ვალდებულება, პატივისცემა, რეპუტაცია, პატრიოტიზმი, სიწმინდე, იერარქია, ტრადიცია (Markus, H., Kitayama, Sh, 1991).

ინდივიდუალისტურ კულტურებში სოციალურ ინსტიტუციებს შედარებით მცირე როლი აქვთ, სოციოცენტრულ კულტურებში კი მნიშვნელოვანი როლი. შესაბამისად განასხვავებენ დაუტვირთავ, „წვრილ“ და დატვირთულ, „სქელ“ საზოგადოებებს და ამ ორ წესრიგში ადამიანის უფლებებისადმი სხვადასხვა კონცეფცია ყალიბდება, კერძოდ, ინდივიდუალისტურ საზოგადოებებში ადამიანის უფლებათა ჩარჩო ინდივიდუალური არჩევნის ფართო დაცვას ახდენს და სახელმწიფოს დიდ როლს აკისრებს წესების რეგულირებაში; კულტურული სხვაობები, ტრადიციები და სოციალური ინსტიტუციები თუ კონფლიქტშია ადამიანის უფლებებთან, მეორეხარისხოვანი ხდება (Kaplan S. 2018). სოციოცენტრული, დატვირთული, „სქელი“ კულტურები უფრო ფართო მორალური მატრიცებით ხასიათდებიან, რომლებიც წარმოადგენს სამი ეთიკის, ავტონომიური ეთიკის, თემის ეთიკისა და ღვთაებრიობის ეთიკის უფრო დაბალანსებულ გაერთიანებას. დასავლური ინდივიდუალისტური „თხელი“ კულტურები ვიწრო მორალურ მატრიცებს იყენებენ, რომლებიც უფრო ძლიერ ხაზს უსვამს ავტონომიურობის ეთიკას შვედერის მიხედვით.

სოციოცენტრულ საზოგადოებებში ტრადიციები და სოციალური ინსტიტუტები გადამწყვეტია იდენტობის და ღირსების გრძნობის ჩამოყალიბებისათვის, ამიტომ მათ შედარებით დიდი როლი

ენიჭება. აქ ადამიანის უფლებები ცხოვრებისა და საზოგადოების გაუმჯობესების ერთ-ერთ გზად მიიჩნევა მრავალთა შორის.

საზოგადოებებში დატვირთულობის სხვადასხვა ზომით შეიძლება იყოს წვრილი და სქელი ელემენტების განსხვავებული კომბინაციები. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანას იდენტობის უფრო დატვირთული გაგება აქვს (მაგალითად, გერმანია, პოლონეთი, უნგრეთი) ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებს, რადგან ისინი დაფუძნებულია ეთნიკურ კავშირებზე და არა ემიგრაციაზე. მეორეს მხრივ. რელიგიის გავლენა, რომელიც ადამიანური ინსტიტუციების უფრო დატვირთულ გაგებას წარმოადგენს, საკმაოდ ძლიერია ამერიკის შეერთებულ შტატებში (Kaplan S. 2018).

სეტ კაპლანი (Kaplan S. 2018) თვლის, რომ უნდა განვასხვავოთ მოდერნულობა და მოდერნიზაცია იმ თვალსაზრისით, რომ მოდერნულობა გულისხმობს სეკულარული, ინდივიდუალისტური და რაციონალური ღირებულებების დანერგვას, რომლებიც ასოცირებულია დასავლურ საზოგადოებასთან. მოდერნიზაცია კი წარმოადგენს რთული ინსტიტუციებისა და ტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარებას. საზოგადოებისა და თემის მოდერნიზაცია შესაძლებელია ტრადიციული ღირებულებებისა და ცხოვრების წესის შენარჩუნებით, რაც დაადასტურა იაპონიისა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მაგალითმა (Kaplan S. 2018).

კულტურები ინარჩუნებენ თავის ძირითად მახასიათებლებს ათასწლეულების განმავლობაშიც კი. ცვლილებები ხდება, მაგრამ, როგორც წესი, მიმდინარეობს თანდათანობით, იმაზე დაყრდნობით, რაც ხალხმა იცის და პრიორიტეტულად მიაჩნია. შესაბამისად, ნეოლიბერალური პრინციპების იმპორტი არ გამოიწვევს ფუნდამენტურ ცვლილებას, თუ ამას არ ახლავს განათლების ძალიან გრძელი პერიოდები და ახალი მეთოდების ისეთი დანერგვა, რომლებიც მთლიანად ანგრევს არსებულ სოციალურ შაბლონებს.

თავი 2. ახალგაზრდობის ეროვნული და რელიგიური იდენტობის კვლევა

კულტურათაშორისი შედარებითი კვლევა აჩვენებს, რომ საქართველო უნდა მიეკუთვნოს სოციოცენტრულ კულტურას კონსერვატიზმის, იერარქიულობის, ჰარმონიის, ოჯახური კოლექტივიზმის მაღალი მაჩვენებლების გამო (Schwartz Sh. 1997). საქართველო განიხილება, როგორც კოლექტივისტური ტიპის კულტურა, რომელშიც ოჯახური ცხოვრება წარმართება ძლიერი რწმენის საფუძველზე ახლო ნათესაურ ურთიერთობების მნიშვნელობის შესახებ და ნუკლეარულ ოჯახთან გახანგრძლივებულ ახლო კავშირზე ზრდასრულობის პერიოდშიც (სურმანიძე, 2002). ჩვენი კვლევა ასევე ადასტურებს, რომ საქართველოში მაღალია ოჯახური კოლექტივიზმი და სხვა ქვეყნებთან შედარებით და ქართველები ამ პარამეტრში ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან (ყიფიანი, 2002). უფრო გვიანდელი გამოკითხვებიც ადასტურებს, რომ საქართველო ტრადიციული და კოლექტივისტური ქვეყნების ჯგუფშია (Tausch A. 2015), იგივეს აჩვენებს ევროპულ ღირებულებათა გამოკითხვა (Matosyan 2008, 203-205)

რელიგიური განწყობების ბოლოდროინდელი კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში გამოკითხულთა 99% სწამს ღმერთის არსებობა, რაც ევროპაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და გამოკითხულთა მხოლოდ ერთი პროცენტი მიუთითებს, რომ არ სწამს ღმერთის. ამასთან ერთად ქართველებისთვის რელიგია ეროვნული იდენტობის მთავარ კომპონენტად აღიქმება და გამოკითხულთა 81%-თვის გაიგივებულია ქრისტიანობასთან (Pew Research Center, 2017).

ჩვენს მიერ ადრე ჩატარებულმა კვლევამ ქართველ ბავშვებთან, რომლებიც ქართულ სკოლებში სწავლობდნენ, აჩვენა ეთნიკური და რელიგიური იდენტობის სიძლიერე ქართულ კულტურაში, კერძოდ, ქართულ სკოლებში იდენტიფიკაციები „ქრისტიანი“ "მართლმადიდებელი" უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რუსული სკოლების ქართველებში (ყიფიანი გ., ბარეტი მ., 2007). საერთოდ რუსულ სკოლებში ისეთი კონფესიონალური იდენტიფიკაციები,

როგორც არის "მართლმადიდებელი" ან "გრიგორიანელი" (სომხების შემთხვევაში) იშვიათად აირჩევა. თბილისში მცხოვრები სომეხი მოზარდებისათვის ამ ასაკში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ასაკს, თბილისელობას და სქესს (ბიჭებისათვის), ვიდრე ქართველებისთვის. ამასთან ერთად ქართველებთან რუსულ სკოლაში იკლებს ეთნიკური იდენტობისა და ქრისტიანობის მნიშვნელობა, რაც არ ხდება ქართულ სკოლაში. ქართულ სკოლებში ეთნიკურ და რელიგიურ იდენტობებს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ქართველი ბავშვები, ვიდრე რუსულ სკოლებში ქართველ და სომეხი ბავშვები. რელიგიური იდენტიფიკაციების მნიშვნელობა იზრდება ასაკთან ერთად ქართულ სკოლებში და კლებულობს რუსულ სკოლებში. ჩვენი კვლევა ასევე ადასტურებს, რომ საქართველოში მოზარდებთან რელიგიური იდენტიფიკაცია ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე მათ თანატოლებთან რუსეთში, უკრაინასა და აზერბაიჯანში (ყიფიანი გ., ბარეტი მ., 2007).

ეროვნული იდენტობის შესწავლა ქვეყნებში, რომლებიც ცვლილებებს განიცდიან, იძლევა სიღრმისეული სოციალურ ფსიქოლოგიური პროცესების გაგების შესაძლებლობას. განსაკუთრებით აქტუალური კი მოზარდების ეროვნული იდენტობისა და პოლიტიკური განწყობების შესწავლაა, რადგან ეს თაობა განაპირობებს ქვეყნის მომავალს.

ეროვნული იდენტობის შესწავლის თეორიული საფუძვლები.

ეროვნული იდენტობის შესწავლისთვის ორი ზოგადფსიქოლოგიური თეორია გამოიყენება: სოციალური იდენტობისა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის თეორიები.

სოციალური იდენტობის თეორია გულისხმობს, რომ როდესაც ინდივიდები მიეკუთვნებიან ჯგუფს, ისინი აყალიბებენ ჯგუფურ იდენტობას, რომელიც ხდება პიროვნული იდენტობის ნაწილი. თეორია ვარაუდობს, რომ ჯგუფის იდენტობის ჩამოყალიბების მთავარი ფაქტორი არის ინდივიდის სურვილი, რათა ამალღდეს მისი თვითშეფასება. ჩვეულებრივ ინდივიდები წარმატებას აღწევენ თვითშეფასების ამალღებაში იმ ჯგუფის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებით, რომელსაც მიეკუთვნებიან. სოციალური იდენტობის თეორია სამ ძირითად ვარაუდს აყალიბებს ჯგუფურ იდენტობასთან დაკავშირებით (Brown 2000; Tajfel and Turner

1986). პირველი ვარაუდი გულისხმობს, რომ ჯგუფთან იდენტიფიკაცია განაპირობებს უფრო დადებით შეფასებას ჯგუფის მიმართ სხვა ჯგუფებთან შედარებით, მეორე ვარაუდი ეხება შიდაჯგუფურ ფავორიტიზმს, ჯგუფის მეტად მოწონებას სხვა ჯგუფებთან შედარებით; და ბოლოს, 3)თეორია მიიჩნევს, რომ ის ჯგუფები, რომლებსაც დაბალი სტატუსი აქვთ, გამოიყენებენ „სოციალური შემოქმედებითობის“ სტრატეგიას, კერძოდ, ისინი გარეჯგუფის ფავორიტიზმს მიმართავენ იმ განზომილებაში, რომელშიც ისინი ნაკლებები არიან და შიდაჯგუფურ ფავორიტიზმს იმ განზომილებაში, სადაც სხვაზე უკეთესი მიაჩნიათ თავისი ჯგუფი. ამ ვარაუდებზე დაყრდნობით შემდეგი თეორიული ჰიპოთეზები შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ადამიანები საკუთარ ერს უფრო უკეთ შეაფასებენ, მეტად მოეწონებათ და უპირატესობას მიანიჭებენ სხვა ერთან შედარებით.

2. ის ადამიანები, ვისაც უფრო ძლიერი იდენტიფიკაცია ექნებათ საკუთარ ერთან, უფრო დადებითად შეაფასებენ ჯგუფს, იმათთან შედარებით, ვისაც უფრო სუსტი იდენტიფიკაცია აქვთ,

3. უფრო ღარიბი ერების ერების წარმომადგენლებში გარეჯგუფური ფავორიტიზმი გამოვლინდება კომპეტენტურობის განზომილებაში და შიდაჯგუფური მორალის განზომილებაში („ისინი უფრო ძლიერები არიან, მაგრამ ჩვენ უფრო კარგები ვართ“)

სოციალური იდენტობის თეორიის პირველი ჰიპოთეზა დადასტურდა ყველა ასაკის ცდისპირთან (Barrett and Davis 2008), (Tarrant et al. 2004). გარეჯგუფური ნეგატივიზმი გამოვლინდა „ტრადიციული მტრების“ შემთხვევაში, კერძოდ ერებთან, ვისთანაც იყო კონფლიქტის, ომის ან ოკუპაციის წინაისტორია. მაგალითად, ბრიტანელმა მოზარდებმა თანაბარი რაოდენობის დადებითი და უარყოფითი თვისებები მიაწერეს მათ გერმანელ თანატოლებს. მოზარდებმა საქართველოსა და აზერბაიჯანიდან ძლიერი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს რუსების მიმართ, ხოლო ბერძნებმა თურქების მიმართ (Barrett 2005). მეორე ჰიპოთეზაც -კორელაცია იდენტიფიკაციასა და ეროვნულ განწყობებს შორის ასევე დადასტურდა, რაც ძლიერია ერთან იდენტიფიკაცია, მით დადებითი

ხდება მათი დამოკიდებულება ერის მიმართ; რაც შეეხება ნეგატიურ დამოკიდებულებას სხვა ერების მიმართ, ის ვლინდება მხოლოდ „ტრადიციულ მტრების“ შემთხვევაში (Nigbur and Cinnirella 2007).

„სოციალური შემოქმედებითობის“ ფენომენი არ დადასტურდა ეროვნული იდენტობის კონტექსტში. ევროპის 9 ქვეყნის 15-18 წლის მოზარდებთან ერის აღქმული ზნეობრიობა არ იყო დაკავშირებული ეკონომიკურ სიძლიერესთან (Poppe and Linssen 1999), ერის აღქმული ზნეობრიობა აღმოჩნდა უარყოფით კორელაციაში ქვეყნის აღქმულ ნაციონალიზმთან, პასუხისმგებლობასთან კონფლიქტებთან დაკავშირებით და ქვეყნის მოსახლეობის სიდიდესთან, ევროპელი მოზარდები აღიქვამდნენ ინგლისელებს, ჩეხებსა და უნგრელებს ევროპაში ყველაზე ზნეობრივად, გერმანელებს, რუსებსა და იტალიელებს კი ყველაზე ნაკლებად ზნეობრივად. მოზარდები ყველა ქვეყანაში აღიქვამდნენ საკუთარ ერებს უფრო მორალურად, ვიდრე გერმანელებსა და იტალიელებს (პასუხისმგებლობა მეორე მსოფლიო ომის გამო), მაგრამ არა ისე ზნეობრივად როგორც ინგლისელებს. მოზარდები რუსეთსა და ბულგარეთში მიაწერდნენ თანაბარ ან უფრო მეტ ზნეობრიობას სხვა ევროპულ ქვეყნებს თავის ქვეყნებთან შედარებით.

ინდივიდებს უვითარდებათ ერის მიმართ მიკუთვნებულობა, თუ ობიექტი მათ უზრუნველყოფს უსაფრთხოების განცდით და აკმაყოფილებს გადარჩენისა და განვითარების მოთხოვნილებებს (Mikulincer and Shaver 2007). მოზარდობაში უსაფრთხოებისა და განვითარების გარკვეული მოთხოვნილებები მხოლოდ კოლექტივში შეიძლება დაკმაყოფილდეს, ამიტომ ჯგუფები (ეთნიკური და რელიგიური) შეიძლება განხილულ იქნენ, როგორც მიკუთვნებულობის ობიექტები. მკვლევარები განასხვავებენ მიკუთვნებულობის ინსტრუმენტულ (ფიზიკური გადარჩენის) ასპექტს და სიმბოლურ (მიკუთვნებულობა) ასპექტს. ეს თეორია აყალიბებს შემდეგ ჰიპოთეზებს :

1. განათლების ეროვნული სისტემა გავლენას ახდენს მოზარდების ეროვნულ იდენტობაზე, მშობლების თვალსაზრისები და ღირებულებები გავლენას მოახდენენ ბავშვების იდენტობაზე

2. ინდივიდის ძირითადი მოთხოვნილებების უფრო მეტად დაკმაყოფილება დაკავშირებული იქნება უფრო ძლიერ იდენტიფიკაციასა და უფრო დადებით დამოკიდებულებასთან ერის მიმართ. სოციალ-ეკონომიკურ ფაქტორებს უფრო ძლიერი გავლენა ექნებათ, ვიდრე მათ იდენტიფიკაციას ერთან.

3. მოზარდებში იქნება მეტი დადებითი დამოკიდებულება მშობლებთან, თანატოლებთან და მასწავლებლებთან კარგი ურთიერთობის შემთხვევაში და ძლიერი ეროვნული იდენტობა.

ერთ-ერთი განსაზღვრების მიხედვით, ეროვნული იდენტობა წარმოადგენს გარკვეული ეროვნული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის სუბიექტურ განცდას, რომელსაც თან ახლავს აღქმათა და ემოციათა კომპლექსური ერთობა, რომელიც გამოხატავს დამოკიდებულებას ამ ჯგუფისა და სხვა ჯგუფების მიმართ (Barrett and Davis 2008; Blank and Schmidt 2003). ეროვნული იდენტობა სუბიექტური კონსტრუქტია და განსხვავდება ეროვნებისგან, რომელიც ჯგუფისადმი მიკუთვნების ობიექტურ მარკერს წარმოადგენს.

ეროვნულ იდენტობაში შემდეგ კომპონენტებს მოიაზრებენ (Barrett 2005):

1. სუბიექტურ თვით-კატეგორიზაციას, თუ რომელ ერს მიეკუთვნება ეს ადამიანი.

2. ეროვნული მიკუთვნებულობის ძლიერ გრძნობას,

3. ერის მიმართ დადებით ან უარყოფით ემოციებს;

4. სტერეოტიპებს იმ ადამიანების ტიპიურ მახასიათებლებსა და თვისებების შესახებ რომლებიც საკუთარ ეროვნებას და/ან სხვა ჯგუფებს მიეკუთვნებიან.

5. სუბიექტურ გამოცდილებას და საკუთარი თავის თვითათქმას, ჯგუფის სხვა წევრებთან იგივეობას ;

6. სუბიექტურ თვალსაზრისებს ერის მიმდინარე მიზნებსა და პრობლემებზე

7. ცოდნას და მზაობას ეროვნული კულტურისა და ღირებულებების გაშინაგნებისა და ეროვნული ქცევითი ნორმების შესრულებისათვის.

ეროვნული იდენტობა სოციალურ კონსტრუქტს წარმოადგენს და ის შეიძლება შეიცვალოს ფსიქოსოციალური გარემოებებიდან

გამომდინარე (Davis 1999; Moscovici 1988). ეროვნული იდენტობის გამოხატვა იზრდება სიტუაციებში, სადაც ეროვნული მიკუთვნებულობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება, მაგალითად, საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების დროს ან როდესაც შესაძლო საფრთხის მუქარაა ეროვნული იდენტობისადმი, მაგალითად, ერთაშორისი კონფლიქტის დროს.

მოქალაქეობა ეროვნული იდენტობის წინამორბედს წარმოადგენს, მაგრამ ის არც აუცილებელი და არც საკმარისი პირობაა ეროვნული იდენტობისათვის. ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი განსაზღვრების მიხედვით, ეროვნული იდენტობა მრავალგანზომილებიანი კონსტრუქტია, რომელიც შეიცავს საკუთარი თავის როგორც ეროვნული ჯგუფის წევრად მიკუთვნებულობას, ეროვნული იდენტობისათვის გარკვეული ღირებულების მინიჭებას, ეროვნული სიმბოლოების, ისტორიული ლიდერების და ჩვეულებების ცოდნას, ეროვნული ემოციებს - სიამაყეს ან სირცხვილს, ასევე დამოკიდებულებას სხვა ჯგუფების მიმართ (Tartakovsky, 2004).

ეროვნებასთან იდენტიფიკაცია გამოხატავს ქვეყნისადმი მიკუთვნებულობას და თვითგანსაზღვრების ნაწილია. ეს უპირველესად შემეცნებითი კომპონენტია, რომელიც გამოხატავს, პიროვნების, როგორც ქვეყნის ნაწილის თვითაღქმას ან საწინააღმდეგოდ, როგორც ქვეყნისგან დამოუკიდებლობის აღქმას (Brown 2000; Hofstede and Hofstede 2004;)

დამოკიდებულება ქვეყნის მიმართ ასახავს ქვეყნის, როგორც დადებითი ან უარყოფითი შეფასებას, რაც გამოიხატება სიყვარულის, სიამაყის და კომფორტის განცდებში, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყანასთან (Davis 1999; Dekker et al. 2003; Smith and Kim 2006). ეროვნული იდენტობის ემოციური კომპონენტი, ასახავს ინდივიდის მიერ ქვეყნის აღქმას, როგორც მისი უმთავრესი მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებლის და ქვეყანასთან დადებით იდენტიფიკაციას უზრუნველყოფს (Schatz and Lavine 2007).

სოციალური იდენტობის თეორიის მიხედვით ეროვნული იდენტობის უმთავრესი ფუნქცია არის მაღალი თვითშეფასების მოთხოვნილების მხარდაჭერა (Tajfel and Turner 1986). ამ თეორიის მიხედვით საკუთარი ერის მიმართ დადებითი დამოკიდებულება

შერწყმულია სხვა ერების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებასთან, ეროვნული იდენტობა პასიური კატეგორიზაციის შედეგია, რაც მის აქტიურ და ცვალებად ხასიათის უარყოფს (Eaton 2002). Mack (1983) აღნიშნავს ქვეყნისადმი მიკუთვნებულობის სამ უმთავრეს ფუნქციას: პირველი, ის წარმოადგენს ჯგუფთან ასოციაციის ფორმას, რომლითაც ადამიანი იკმაყოფილებს ჩართულობის, მიკუთვნებულობის სურვილს, მეორე, - ქვეყნისადმი მიკუთვნებულობა იცავს ინდივიდს სხვა ჯგუფების მტრული განზრახვებით გამოწვეული შიშისა და შფოთვისგან. და ბოლოს, ის ინდივიდის თვით ღირებულებას ამაღლებს, როდესაც ინდივიდი ახდენს იდენტიფიკაციას ერის სიამაყესთან, დიდებასთან, ღირსებასა და გამირობასთან. კელმანი უწოდებს ამ ფუნქციებს სენტიმენტალურს (Kelman 1997), ხოლო (Schatz and Lavine 2007) კი უწოდებს სიმბოლურს, რადგან ისინი დაფუძნებულია აღქმაზე, რომ ქვეყანა ინდივიდის თვით იდენტობას და მის გამოხატვას განამტკიცებს. ეს მკვლევარები ასევე აღნიშნავენ, რომ ქვეყნისადმი მიკუთვნებულობის განცდას ინსტრუმენტალური ფუნქციაც აკისრია, რომელიც დაფუძნებულია აღქმაზე, რომ ერი ინდივიდების არსებით, ეკონომიკურ მოთხოვნებს და ინტერესებს აკმაყოფილებს (Kelman 1997; Schatz and Lavine 2007).

ეროვნული იდენტობა ჩამოყალიბებას იწყებს 5 წლის ასაკიდან და ასაკის ზრდასთან ერთად ბავშვები უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ მათ ეროვნულ იდენტობას (Barrett 2005). ზრდასთან ერთად ბავშვების დამოკიდებულება ერისა და სხვა ერების მიმართ ნაკლებ პოლარიზებული ხდება. ისინი უფრო კრიტიკული ხდებიან თავის ერის მიმართ და უფრო პოზიტიური სხვა ერების მიმართ. ამ ცვლილებებს ორი ფაქტორი განაპირობებს: შემეცნებითი უნარების განვითარება და საკუთარ ერსა და სხვა ეროვნებებთან ურთიერთობის უფრო მდიდარი გამოცდილება (Nugent 1994). ეროვნული იდენტობა სრულად ყალიბდება 13 წლისთვის და ამ დროისთვის მოზარდების უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს საკუთარ ეროვნულ ჯგუფს სხვა ჯგუფებთან შედარებით. სოციალური იდენტობის თეორიის ვარაუდების ემპირიულმა კვლევამ აჩვენა, რომ 9-15 წლამდე ბავშვებში ძლიერი ეროვნული იდენტიფიკაცია ასოცირებულია საკუთარი ჯგუფის მიმართ უფრო პოზიტიურ ემოციებთან, მაგრამ თეორიული

ჰიპოთეზის საწინააღმდეგოდ, ის არ არის ასოცირებული უფრო ძლიერ უარყოფით დამოკიდებულებასთან სხვა ერების მიმართ (Barrett 2005).

ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე ფაქტორების მთელი რიგი ახდენს ზეგავლენას. მშობლებისა და შვილების ეროვნულ იდენტობას შორის ძლიერი კავშირი დასტურდება. მშობლების, თანატოლებისა და მასწავლებლების ეროვნული იდენტობის გავლენა მოზარდების იდენტობის ჩამოყალიბებაზე განისაზღვრება მათი მოზარდთან ურთიერთობის ხარისხით. თუ ეს ურთიერთობა კარგია, მოზარდს მეტი ნდობა აქვს ინფორმაციის გარე წყაროების მიმართ და უფრო ძლიერი ეროვნული იდენტობა უყალიბდება (Muldoon et al. 2007). მოზარდები განაზოგადებენ მათი უახლოესი გარემოს მიმართ დამოკიდებულებას მთელ ერზე (Barrett and Davis 2008). ოჯახის მიმართ სიყვარული და მეგობრების მიმართ სიყვარული საფუძვლად შეიძლება დაედოს სამშობლოს სიყვარულსაც (Rapoport 2009). პატრიოტული აღზრდა უფრო ძლიერ ეროვნულ იდენტობას აყალიბებს. როდესაც სასკოლო პროგრამა აკრიტიკებს ქვეყნის ისტორიას, ეს საპირისპირო გავლენას ახდენს ეროვნულ იდენტობაზე.

კვლევამ აჩვენა, რომ გერმანელი მოზარდები ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე კრიტიკულ დამოკიდებულებას ავლენენ თავისი ქვეყნის მიმართ. მკვლევარები ამ ფაქტს გერმანულ სკოლებში კულტივირებულ წარსულისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით ხსნიან (Pollmann 2008; Magun and Magun 2009). კერძოდ, გერმანიაში მეცნიერთა ნაწილი წუხს, რომ ეროვნული იდენტობის ძლიერი განცდა გამოიწვევს ძალადობრივ ნაციონალიზმს და ძალადობას მოწყლვადი ჯგუფების მიმართ (Oesterreich, 2002, p. 27).

ეროვნულ იდენტობაზე გავლენას ახდენს გარკვეული სოციალური გარემოებები, მაგალითად, როდესაც ქვეყანას ჰყავს ქარიზმატული ლიდერები, ის სწრაფად ვითარდება და მისი გეოპოლიტიკური პრესტიჟი იზრდება, ეროვნული იდენტობა შეიძლება ძლიერდებოდეს (Dekker et al. 2003). თუ ქვეყანა ვერ აკმაყოფილებს მოქალაქეთა მოთხოვნილებებს, მიკუთვნებულობა ქვეყნის მიმართ სუსტდება და ეროვნული იდენტობაც სუსტდება (Davis 1999). კვლევა ადასტურებს, რომ რელიგიურობა დადებით გავლენას ახდენს ძლიერი ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე ევროპის

ქვეყნებში (Bréchon, 2003;) და ამერიკის შეერთებულ შტატებში Burris, Branscombe, & Jackson, 2000).

თვითკატეგორიზაციის თეორიის (Turner, Hogg, Oakes, Reicher & Wetherell, 1987) მიხედვით ინდივიდებს შეუძლიათ მათი იდენტობის კატეგორიზაცია მოახდინონ სხვადასხვა დონეზე: ინდივიდუალურ დონეზე, ფარდობით დონეზე, მცირე ჯგუფისა და ფართო ჯგუფის (სოციალურ) დონეზე. 6 ქვეყნის (3 ევროპული და 3 არაევროპული) ქვეყნის მოზარდებთან შესწავლილ იქნა, თუ როგორ აღიქვამენ ისინი მათ რელიგიურ იდენტობას. არაევროპელმა (ეთიოპია, ლიბანი, ფილიპინები) მოზარდებმა თავისი რელიგიური იდენტობის ასპექტები შეაფასეს როგორც ინდივიდუალური მახასიათებელი ევროპელებისგან (ბელგია, იტალია, ინგლისი) განსხვავებით, ხოლო ევროპელებმა კი როგორც ჯგუფური მიკუთვნებულობა (Brambilla, 2016).

ორივე ჯგუფში არ დადასტურდა სხვაობა რელიგიური იდენტობის ცენტრალურობის(მნიშვნელობის) თვალსაზრისით. ამასთან იმ ქვეყნებში, სადაც მეტი რელიგიურობა აღინიშნება, უფრო მეტი მონაწილე აღნიშნავდა რელიგიური იდენტობის სიძლიერეს. ეს კანონზომიერება არ შეესაბამება ტრადიციულ დაყოფას ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ კულტურებად და შეიძლება იმით იყოს განსაზღვრული, რომ დასავლეთში რელიგიური მიკუთვნებულობა კონკრეტულ ჯგუფის წევრობას ნიშნავს, როდესაც უფრო რელიგიურ კულტურებში რელიგიური პრაქტიკა უფრო ჩვეულებრივი საქმიანობაა, რომელიც უმრავლესობას მოიცავს. ამ შედეგებმა უარყო დაყოფა ნამდვილ, აუთენტურ მორწმუნეობასა და პერიფერიულ ინსტრუმენტალურ რელიგიურობას შორის. როგორც ინდივიდუალური, ასევე, სოციალური რელიგიური იდენტობა ცენტრალურია ინდივიდისათვის და აუთენტური რელიგიური გამოხატვა არ უნდა იქნეს განხილული შინაგანი და გარეგანი ორიენტაციის ტერმინებში და უნდა მოიცავდეს რელიგიური იდენტობის სოციალურ და დამოკიდებულებით ასპექტებს (Brambilla, 2016).

მოქალაქეობრივი იდენტობა. დემოკრატიულ ქვეყნებში ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობა მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას წარმოადგენს. მაგალითად, ევროპის კავშირი მიზნად

ისახავს წახალისოს ახალგაზრდები, რათა აქტიური მოქალაქენი იყვნენ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი ხმა დემოკრატიულ პროცესებში. ეს საკითხი გამოწვევას წარმოადგენს ყველა დემოკრატიისთვის, რადგან ახალგაზრდობის დაუინტერესებლობა პოლიტიკურ საქმიანობაში მთელ რიგ ქვეყნებში აღინიშნება (Mycock and Tonge 2012). სამოქალაქო ჩართულობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც თვითგამოხატვა (Amnå 2012) და იდენტობის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ასპექტი (Flanagan et al. 2012).

სამოქალაქო ჩართულობა მოიცავს სამოქალაქო განწყობებს, ცოდნას, უნარებსა და ქცევებს. ის მოიცავს პოლიტიკური მონაწილეობას, როგორცაა პარტიის კონვენციონალური წევრობა და ასევე არაკონვენციონალური ფორმებს, როგორცაა პროტესტში მონაწილეობა ან პეტიციის ხელმოწერა, სამოქალაქო მონაწილეობას (სასკოლო თემის საქმიანობა, სათემო ორგანიზაციის წევრობა, მოხალისეობა და ა.შ) და ფსიქოლოგიურ ჩართულობას, კერძოდ, პოლიტიკური და სამოქალაქო მოვლენებისთვის თვალყურის დევნებას (Barrett and Zani 2015). საზოგადოებრივ ცხოვრებაში არჩართულობა და არმონაწილეობა უნდა ცალკე ფორმად იქნეს განხილული, რადგან ის არ წარმოადგენს ჩართულობის შებრუნებულ ვარიანტს. ის უფრო გამოხატვა და პოზიციაა, როდესაც საქმე ეხება პოლიტიკურ და სამოქალაქო საკითხებს. არჩართულობა მოიცავს ისეთ ანტიპოლიტიკურ ფორმებს, როგორცაა პოლიტიკის უარყოფა და პასიურ აპოლიტიკურ ფორმას, როგორცაა პოლიტიკით დაუინტერესებლობა (Amnå 2012; Ekman and Amnå 2012).

იენსენმა თავის მოდელში აღწერა 4 განსხვავებული სტრატეგია გლობალიზებულ სამყაროში, სადაც ადამიანებმა შეიძლება მიმართონ ლოკალურ იდენტობას და/ან გლობალურ იდენტობას: 1. ინტეგრაციის სტრატეგია (ორივე ლოკალური და გლობალური იდენტობის განვითარებას), 2. სეპარაციის სტრატეგია (ლოკალურ იდენტობის განვითარებას), 3. ასიმილაცია (გლობალური იდენტობის განვითარებას) და 4. მარგინალიზაცია - ორივეს უარყოფა (Jensen et al. 2011).

სოციალურ იდენტობასა და სამოქალაქო ჩართულობას შორის მიმართებების კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საზოგადოებასთან მიკუთვნებულობის განცდის არქონას მოსდევს ნებისმიერი სამოქალაქო ქცევის არიდება (Hart et al. 2011).

ეროვნული იდენტობა შეიძლება განისაზღვროს ორი განზომილების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენს ორ მიდგომას: ეთნიკურ-გენეალოგიურს (პრიმორდიალური მიდგომა) და სამოქალაქო ტერიტორიული განზომილება (ინსტრუმენტალური მიდგომა (Rothi et al. 2005)). პრიმორდიალური მიდგომა ყველაზე მეტად განვითარებულია ქვეყნებში, სადაც ფეოდალური ეკონომიკა და ძლიერი ტოტალიტარული მმართველობა არსებობდა, მაგალითად გერმანია, რუსეთი, ესპანეთი და სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. ეს მიდგომა ერს განიხილავს, როგორც ზედროულ ბუნებრივ ერთობას, რომელიც პრეისტორიულ დროიდან არსებობს. ერის წევრობა სტაბილურია და დამოკიდებულია ენაზე, რელიგიაზე, ჩვეულებებსა და ფოლკლორზე, წევრობის უმთავრესი საშუალება არის წარმოშობის მიხედვით. პრიმორდიალური მიდგომა წევრობას განიხილავს ისეთი თვისებების საფუძველზე, როგორც არის საერთო კანის ფერი, ტანსაცმელი და რელიგიური რიტუალები (Kohn 1994).

ინსტრუმენტალური ანუ სამოქალაქო ტერიტორიული მიდგომა განვითარდა მე-18 საუკუნეში ქვეყნებში ძლიერი ბურჟუაზიით, სადაც არსებობდა განვითარებული ლიბერალიზმისა და დეცენტრალიზებული მმართველობის ტრადიცია, კერძოდ დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, აშშ და ჰოლანდიაში. ახალი იდეოლოგიის მიხედვით ერის წევრობა ყველას შეეძლო რელიგიის, ეთნიკური და კლასობრივი მიკუთვნებულობის მიუხედავად თუ გაიზიარებდა პოლიტიკური კულტურის პრინციპებს. ერის წევრობა აქ დამოკიდებულია თითქმის მთლიანად მოქალაქეობის იურიდიულ განმარტებაზე. შექმნილი ქცევითი მახასიათებლები, როგორიცაა მოქალაქეობა, ენა, საარჩევნო ქცევა, გარკვეულ ღირებულებათა აღიარება ერის წევრობის უმთავრესი ინდიკატორები ხდება (Carrington and Short 1998). ეთნიკურ-მოქალაქეობრივმა დიხოტომიამ კრიტიკის ძლიერი ტალღა გამოიწვია ხელოვნურობისა და არარელევანტური მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენების გამო (Zimmer O. 2003,

Janmaat, 2006). ემპირიული კვლევა აჩვენებს, რომ ქვეყანათა და ერთა უმეტესობა შეიცავს ეთნიკურ და სამოქალაქო კომპონენტებს ერთდროულად (Schulman, 2002).

ემპირიული კვლევა აჩვენებს, რომ მოზარდების მიერ ეროვნების აღქმა დაფუძნებულია როგორც ტრადიციულ-კულტურულ, ასევე სამოქალაქო კომპონენტებზე. კულტურათაშორისი კვლევა აჩვენებს, რომ ქვეყნები განსხვავდება იმის მიხედვით ეთნიკურ თუ სამოქალაქო ელემენტებს ანიჭებენ უპირატესობას ერისადმი მიკუთვნებულობის განსაზღვრებისას. აღმოსავლეთ ევროპელი მოზარდები განიხილავენ კულტურულ და ეთნიკურ კრიტერიუმებს ეროვნების უფრო მნიშვნელოვან მარკერებად, ვიდრე დასავლელი მოზარდები, როდესაც უკანასკნელნი სამოქალაქო-პოლიტიკურ განზომილებას ანიჭებენ უპირატესობას (Janmaat 2006).

დასავლელი მოზარდები სამოქალაქო ქცევას მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ კარგი მოქალაქეობის განსაზღვრებისას, კერძოდ, არჩევნებში მონაწილეობას, კანონმორჩილებას და სახელმწიფო საქმეებში ინფორმირებულობას, მაგრამ არა გენეალოგიურ ფაქტორებს (Morse 1977). დასავლელ მოზარდებს მეტად სჯერათ, რომ ეროვნება შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყანაში გადასვლით, ენის სწავლით ან პასპორტის მიღებით (Carrington, Short 1998).

პატრიოტული განათლება აძლიერებს ეროვნულ იდენტობას, როდესაც ზოგადი განათლება ასუსტებს მოზარდების იდენტობას. უმაღლესმა განათლებამ ესპანეთში უფრო სუსტი ეროვნული იდენტობა გამოხატული ნაკლები მიკუთვნებულობის განცდით და ქვეყნის მიმართ ნაკლებ დადებითი დამოკიდებულება განაპირობა (Bollen and Medrano 1998). სავარაუდოდ, უმაღლესი განათლება მეტ კრიტიკულ მიდგომას ქმნის, ამ დროს მეტ ინფორმაციას იღებენ და უფრო რეალისტურად ადარებენ ქვეყნებს. განათლების გავლენა ეროვნულ იდენტობაზე უფრო ძლიერია ეთნიკურად გაყოფილ ქვეყნებში, როგორცაა ჩრდილოეთი ირლანდია, კვიპროსი და ისრაელი. ასეთ ქვეყნებში განათლების სისტემა ცალ-ცალკე არსებობს თითოეული ეთნიკური ჯგუფისათვის და ის ხდება განცალკევებული ეროვნული იდენტობის აგების ინსტრუმენტი (Tartakovsky 2010a). ასეთ

ქვეყნებში ბავშვები სწავლობენ მტრად აღიქვან სხვა ეთნიკური ჯგუფი და სკოლის დისკურსი ნაციონალისტურია (Bar-Tal and Teichman 2009).

9 ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ეკონომიკური განვითარების დონე საკუთარ ქვეყანასა და შესაძარებელ ქვეყანას შორის გავლენას ახდენს მოზარდების კომპეტენტურობის სტერეოტიპებზე (Poppe and Linszen 1999). კერძოდ ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე და მოსახლეობის სიდიდე დადებით კორელაციაში იყო საკუთარი ქვეყნის ხალხის მეტ კომპეტენტურობის აღქმასთან და უარყოფითად გარე ჯგუფის ეკონომიკურ სიძლიერესთან.

ქვეყნების უმეტესობაში ბავშვებისა და მოზარდებისათვის ასაკობრივი, სქესობრივი და თანატოლთა ჯგუფური იდენტობები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი ეროვნული იდენტობა (Tarrant et al. 2004). ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც კონფლიქტია მეზობელთან (კვიპროსი) ეროვნული იდენტობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სქესობრივი იდენტობაც კი (Philippou 2005).

ეთნიკური უმცირესობანი მეტად ახდენენ ეთნიკურ ჯგუფთან იდენტიფიკაციას ვიდრე ეროვნულ იდენტობასთან. მკვლევარები ორ ინტერპრეტაციას აძლევენ ამ შედეგს. ისინი ეროვნულ იდენტობას უკავშირებენ დომინანტურ ეთნიკურ ჯგუფს, ამდენად, ეროვნული იდენტობა აღარ მოიცავს უმცირესობის ჯგუფური იდენტობის სიმბოლურ მარკერებს, რაც ართულებს ერთან იდენტიფიკაციას (Sibley and Liu 2007). მეორე, უმცირესობის ჯგუფებს ჩვეულებრივ აქვთ უმრავლესობისგან დისკრიმინირებულობის განცდა, ამდენად ეროვნებისადმი მიკუთვნებულობა არ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს ისევე როგორც უმრავლესობის ჯგუფთან და ნაკლებ დადებითი დამოკიდებულება უვითარდებათ (Tartakovsky 2009).

კვლევა ადასტურებს, რომ დისკრიმინაცია მთავარ ფაქტორს წარმოადგენს და ეთნიკური უმცირესობის ეროვნული იდენტობაზე უარყოფით გავლენას ახდენს (Phinney et al. 2001). აღმოჩნდა, რომ ბრიტანეთში უმცირესობებს აქვთ უფრო ძლიერი ეთნიკური იდენტობა, ვიდრე უმრავლესობას, ასევე უფრო ძლიერი ბრიტანული იდენტობა, ხოლო მეორე თაობას კი უფრო ძლიერი ბრიტანული და დაბალი ეთნიკური იდენტობა (Nandi, A. and Platt, L. 2015). კვლევა ასევე

აჩვენებს, რომ დამოკიდებულება ეთნიკურ უმცირესობათა ეთნიკურ და ეროვნულ იდენტობებს შორის ფართოდ იცვლება სხვადასხვა ქვეყანაში, ამასთან ის შეიძლება იცვლებოდეს დროთა განმავლობაში, მაგალითად, ძლიერი ებრაული იდენტობა იყო უარყოფით კორელაციაში ძლიერ რუსულ და უკრაინულ იდენტობასთან 1999 წელს, მაგრამ 8 წლის შემდეგ ეს ორი იდენტობა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი აღმოჩნდა (Tartakovsky 2010).

L. Berg & M. Hjerem (2010) მიუთითებენ განსხვავებას ეროვნული იდენტობის ფორმებს შორის იმ თვალსაზრისით, რომ უფრო დატვირთულ ტიპს ქმნის ეთნიკური ან კულტურული ფორმები და მეორეს მხრივ, ნაკლებ დაუტვირთავ, „წვრილ“ ტიპს კი სამოქალაქო ეროვნული იდენტობის ფორმები. პოლიტიკის თეორეტიკოსები ტრადიციულად ვარაუდობდნენ, რომ საზოგადოებაში უფრო მეტად იქნება ლეგიტიმური და ფუნქციონალური პოლიტიკური ინსტიტუტები, თუ პოლიტიკური თემი კულტურულად ჰომოგენურია და ერები ამ მიდგომით განიხილება როგორც თანაზიარი კულტურული მახასიათებლებით (მითები, ღირებულებები და ა.შ.) და ტერიტორიული თვითდეტერმინაციის რწმენით გაერთიანებული ადამიანთა კოლექტივი.

რაც უფრო ძლიერია სამოქალაქო ეროვნული იდენტობა, მით მეტად სჯერათ ადამიანებს პოლიტიკური ინსტიტუტების და პირიქით, რაც ძლიერია ეთნიკური ეროვნული იდენტობა, მით ნაკლებად სჯერათ პოლიტიკური ინსტიტუტების (L. Berg & M. Hjerem, 2010). ჯგუფის წევრობის გავლენა სამოქალაქო და პოლიტიკურ ქმედებებზე დამოკიდებულია იდენტობის სიძლიერეზე (Sherrod, Torney-Purta, & Flanagan, 2010).

სამოქალაქო ჩართულობისა და სოციალური იდენტობის კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდების ინტერესი ტრადიციული პოლიტიკური ორგანიზაციების მიმართ ზოგადად შემცირებულია (Gaiser, de Rijke, and Spannring 2010), მაგრამ ისინი დაინტერესებული არიან ახალი მოძრაობებით და სამოქალაქო აქტივობით. ახალგაზრდები შეიძლება არ იყვნენ არჩევნებით დაინტერესებული, მაგრამ პოლიტიკაში სხვა გზით ერთვებიან (Varela, Martínez, & Cumsille, 2015). ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ ახალგაზრდები

უარყოფენ ტრადიციულ პრაქტიკებს, რომელიც მათი მოთხოვნილებების იგნორირებას ახდენს (Harris, Wyn, & Younes, 2010).

შვედი მოზარდების ლონგიტუდურ კვლევაში 2 წლის განმავლობაში ნაჩვენებია იქნა, რომ პოლიტიკური ინტერესის სტაბილიზაცია ხდება 20 წლისათვის და ამასთან პროპორცია ახალგაზრდებისა, ვინც კარგავს ინტერესს პოლიტიკისადმი, ტოლია იმათი რაოდენობისა ვინც იძენს ინტერესს (Russo and Stattin, 2017). აკადემიური მიღწევები და პროსოციალური სამოქალაქო ატიტუდები კი განაპირობებენ ინტერესის შენარჩუნებას.

ევროპის ქვეყნების შედარებამ აჩვენა, რომ ჩრდილოეთის ქვეყნები მეტ აქცენტს აკეთებენ კრიტიკული აზროვნებისა და თანასწორობის იდეაზე, მაგრამ ნაკლებ ეფექტურები არიან სამხრეთის ქვეყნებთან შედარებით სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და მონაწილეობითი ქცევის თვალსაზრისით (Hoskins, Saisana, and Villalba 2015). აშშ-ში ზოგადად პოლიტიკურად ჩართული ახალგაზრდები არიან უფრო მაღალი შემოსავლის ოჯახებიდან და მეტად იყენებენ ონლაინ მედიას მონაწილეობისათვის (Wicks, Wicks, Morimoto, Maxwell, & Schulte, 2014).

სამოქალაქო მონაწილეობის მხრივ გამოვლინდა გენდერული სხვაობები, კერძოდ, გოგონების სამოქალაქო მონაწილეობას განსაზღვრავს მშობლების პოზიცია, ხოლო ბიჭებისას კი თანატოლების, კორეაში გოგონების უფრო აგრესიულები აღმოჩნდნენ, რაც ახსნილი იქნა უფრო ურთიერთობაზე ორიენტირებით (Seongyi and WooYoung (2011)

Sloam (2016) გაანალიზა 15 ქვეყანაში 15-24 წლის ახალგაზრდათა პოლიტიკური მონაწილეობა და დაადგინა, რომ მათი გარკვეულ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა უშუალოდ პროპორციული იყო იგივე ქვეყნის ზრდასრულთა მონაწილეობისა. ასევე 14 წლიანთა პოლიტიკური ცოდნა ასოცირებული იყო გაერო-ს ადამიანური განვითარების ინდექსთან, რაც მაღალია ეს ინდექსი, მით მაღალი იყო სამოქალაქო ცოდნა. ასევე დადგინდა, რომ 15-24 წლიანები უფრო მაღალ პოლიტიკურ და სამოქალაქო მონაწილეობას ავლენენ, თუ მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების, მთავრობის

ანგარიშვალდებულების, კანონისა და ადამიანის უფლებათა დამცველ ქვეყნებში ცხოვრობენ (Brunton-Smith & Barrett, 2015)

ნიკოლას ემლერი განიხილავს იმ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდებისთვის, რათა იმოქმედონ როგორც აქტიურმა მოქალაქეებმა თანამედროვე მულტიკულტურალურ დემოკრატიულ საზოგადოებაში (Emler N. 2011). ის თვლის, რომ პოლიტიკური მონაწილეობას ასეთ საზოგადოებაში აქვს სამი უმთავრესი ასპექტი: 1)თვალსაზრისის ქონა, 2)პროცედურული ნორმების მიმდებლობა, რათა თვალსაზრისის განსხვავებებზე შეთანხმება მოხდეს და 3)რესურსებისა და უნარების არსებობა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისთვის. ამ სამი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად საჭირო ელემენტალური ფსიქოლოგიური კომპონენტები შემდეგია: პოლიტიკისადმი ინტერესი, სამოქალაქო ვალდებულების განცდა, პოლიტიკური მოვლენებისადმი ყურადღება, პოლიტიკური ცოდნა, თვალსაზრისებისა და იდეოლოგიური იდენტობის ჩამოყალიბება. ეს კომპონენტები ამ თანმიმდევრობით აყალიბებს პოლიტიკურად აქტიურ ინდივიდს და პოლიტიკური ჩართულობის მოდელს ქმნის.

მაიკლ ბარეტი განასხვავებს პოლიტიკურ და სამოქალაქო მონაწილეობას. პოლიტიკური მონაწილეობად მის მიერ განიხილება აქტივობა, რომლის მიზანია ზემოქმედების მოხდენა რეგიონალურ, ეროვნულ და სუპრანაციონალურ ხელისუფლებაზე ან უშუალოდ საჯარო პოლიტიკის განხორციელებაზე ან გაშუალებულიად იმ ინდივიდებზე გავლენის მოხდენით, რომლებიც ამ პოლიტიკას ქმნიან (Barrett, M. 2014). ამის საწინააღმდეგოდ სამოქალაქო მონაწილეობა გამოიყენება იმ მოხალისეობრივი აქტივობის დასასათაურებლად, რომლის მიზანი ფოკუსირებულია სხვების დახმარებაზე, საზოგადოებრივი სიკეთის მიღწევაზე ან საზოგადოებრივი პრობლემის გადასაწყვეტად იმ სამუშაოს ჩათვლით, რომელიც მარტო ან სხვებთან კოოპერაციაში ცვლილების მოსახდენად განხორციელდა.

ასევე უნდა განვასხვავოთ მონაწილეობა ჩართულობისგან, მონაწილეობა უფრო ქცევებს გულისხმობს, ხოლო ჩართულობა კი უფრო ფსიქოლოგიურ და არა ქცევით ცნებებს მოიცავს, როგორცაა ინტერესი, ყურადღების მიქცევა, ცოდნის, რწმენის,

დამოკიდებულების, მოსაზრების ან გრძნობების არსებობა პოლიტიკური ან სამოქალაქო საქმეების მიმართ.

კვლევა აჩვენებს, რომ სკოლის ღია კლიმატი განსაზღვრავს მეტ სამოქალაქო ცოდნას და არჩევნებში მონაწილეობას, პოლიტიკური ინტერესისა და ნდობის სიძლიერეს (Hahn, 1998). მასწავლებლის დემოკრატიული ეთიკის აღქმა განსაზღვრავს რწმენას, რომ საზოგადოება სამართლიანია და სამოქალაქო ჩართულობის დონეს (Flanagan et al., 2007).

სამოქალაქო მონაწილეობა დაკავშირებულია კარგ ურთიერთობასთან თანატოლების ჯგუფთან (Wentzel & McNamara, 1999); როდესაც ახალგაზრდებს სჯერათ, რომ სკოლა და ეკლესია არის მნიშვნელოვანი მათი თანატოლების ცხოვრებაში და შეუძლიათ თანატოლებთან იმსჯელონ საკითხებსა და პრობლემებზე, მაშინ ისინი მეტად მონაწილეობენ სამოქალაქო ცხოვრებაში მოგვიანებით. სახლს გარეთ თანატოლებთან გატარებული დრო უარყოფით კორელაციაშია მონაწილეობასთან იმ ქვეყნებში, სადაც თანატოლთა კულტურა დაბალ ღირებულებად მიიჩნევა განათლებას (Torney-Purta, 2002);

საყურადღებოა, რომ მედიის გავლენა, ახალი ამბებისადმი ინტერესი კავშირშია პოლიტიკური და სამოქალაქო ცოდნის დონესთან, მაგრამ ტელევიზიასთან გატარებული დრო უარყოფით კავშირშია სამოქალაქო აქტივიზმთან (Zukin et al., 2006).

არაპოლიტიკურ ორგანიზაციებში წევრობა დაკავშირებულია უფრო ძლიერ პოლიტიკურ ინტერესთან და აღქმასთან, რომ ხელისუფლება უპასუხებს ახალგაზრდების მოთხოვნებს. ახალგაზრდების ჩართულობა ფორმალურ ჯგუფებში (რელიგიური, სპორტული და ა.შ.) ასევე დაკავშირებულია პროსოციალურ სამოქალაქო მონაწილეობასთან, ის ახალგაზრდები, ვინც მაღალი რელიგიური აქტიურობით გამოირჩევა, ასევე მეტად აქტიურები არიან მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ სფეროშიც (Crystal & DeBell, 2002).

სამი სპეციფიკური ფაქტორი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მონაწილეობაში არის შინაგანი, გარეგანი და კოლექტიური ეფექტურობა, (van Zomeren et al., 2008). შინაგანი ეფექტურობა (რწმენა, რომ პიროვნებას ესმის სამოქალაქო და პოლიტიკური საქმეები, აქვს პოლიტიკურ და სამოქალაქო

დონისძიებებში მონაწილეობის კომპეტენცია) მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრედიქტორია, გარე ეფექტურობა (რწმენა, რომ საზოგადოებრივი და პოლიტიკური პირები და ინსტიტუციები ყურადღებით მოექცევიან მოქალაქეთა მოთხოვნილებებს, მოთხოვნებსა და ქმედებებს), ასევე წინასწარმეტყველებს მონაწილეობას.

კავშირი შინაგან ეფექტურობასა და მონაწილეობას შორის უფრო ძლიერია, ვიდრე გარე ეფექტურობასთან. კოლექტიური ეფექტურობა (რწმენა, რომ ჯგუფის პრობლემები კოლექტიური ქმედებით გადაიჭრება) კოლექტიური ქმედების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პრედიქტორი აღმოჩნდა და თავის მხრივ განისაზღვრება ჯგუფთან იდენტიფიკაციით და კოლექტიური ქმედების სოციალური მხარდაჭერის აღქმით (Zomeran et al., 2008).

მონაწილეობის ყველაზე კონსისტენტური პრედიქტორია პოლიტიკური კაპიტალი, რომელიც მოიცავს ფსიქოლოგიურ დონეზე არსებულ ყველა პოლიტიკურ რესურსს, კერძოდ, პოლიტიკურ ცოდნას, ინტერესს, შინაგან ეფექტურობას და მოქალაქეობრივი ვალდებულების გრძნობას., ასევე მნიშვნელოვანია მონაწილეობაში სოციალური ნდობა (რწმენა, რომ სხვა ადამიანები ზოგადად უფრო ინდივიდისთვის საკეთილდღეოდ იქცევიან, ვიდრე დამაზიანებლად), ინსტიტუციური ნდობა (რწმენა, რომ სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუციების ოპერირება უფრო სასარგებლოა, ვიდრე დამაზიანებელი ხალხისთვის) და რწმენები კარგი მოქალაქეობის შესახებ (Dalton, 2008;) ინსტიტუციების ნდობა განაპირობებს არჩევნებში მონაწილეობას, პოლიტიკური პარტიის წევრობას, აქტივიზმს, დემონსტრაციებში მონაწილეობას,

თემთან იდენტიფიკაციის განცდა მოიცავს შემდეგ ფსიქოლოგიურ განზომილებებს: კერძოდ, ა) ტერიტორიული ან სხვა თემისადმი მიკუთვნებულობის განცდა, ბ) განცდა, რომ ინდივიდს აქვს მონაწილეობის შესაძლებლობები და 3) თემზე ზემოქმედების განცდა, რომ მოთხოვნილებები კმაყოფილდება თემის მიერ, და 4) თემთან გაზიარებული ემოციური კავშირის განცდა. თემის განცდათა ეს ერთობლიობა განსაზღვრავს მონაწილეობის როგორც პოლიტიკურ, ასევე სამოქალაქო სიძლიერეს (Cicognani & Zani, 2009).

ახალგაზრდების კვლევა აჩვენებს, რომ ვისაც მაღალი ინტერესი აქვს პოლიტიკისადმი და შინაგანი ეფექტურობის მაღალი დონე, მონაწილეობის ოთხივე ფორმას მიმართავენ (არჩევნებში მონაწილეობა, კონვენციონალური და არაკონვენციონალური პრაქტიკები და სამოქალაქო მონაწილეობა). დისკრიმინაციის გამოცდილება (იდენტობისთვის მუქარის მაჩვენებელი) ამცირებს არჩევნებში მონაწილეობას, მაგრამ უფრო ზრდის მონაწილეობას სხვა ფორმის პოლიტიკურ და სამოქალაქო აქტივობებში. მაღალი ინტერესი პოლიტიკისადმი დაკავშირებულია არჩევნებში გარე მონაწილეობისა და სამოქალაქო მონაწილეობის მაღალ მაჩვენებლებთან, მაგრამ მაღალი ეფექტურობა ზრდის კონვენციონალურ და არაკონვენციონალურ პოლიტიკურ აქტიობას, მაგრამ არა არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებელს. ხელისუფლების ეფექტურობა, ანგარიშვალდებულება მნიშვნელოვნად ზრდის მონაწილეობის მაჩვენებლებს (Chryssochoou X. Barrett, M. 2017).

კვლევამ გამოავლინა მონაწილეობის მიხედვით 4 ტიპის წარმომადგენლები:

1. პოლიტიკურად და მოქალაქეობრივად აქტიურები, უფრო ასაკოვანი მამაკაცები არა უმცირესობათა ჯგუფებიდან.

2. არააქტიურები, როგორც მოქალაქეობრივად, ასევე პოლიტიკურად - ახალგაზრდები უფრო უმცირესობათა ჯგუფებიდან, სავარაუდოდ, უფრო ქალები.

3. არაკონვენციონალური და სამოქალაქო აქტიურები, მაგრამ ნაკლებად კონვენციონალურ პოლიტიკურ აქტივობაში ჩართულნი, უფრო ახალგაზრდები.

4. მხოლოდ არჩევნებში მონაწილე, უფრო ქალები.

გამოვლინდა 2 ფსიქოლოგიური ფაქტორი: პოლიტიკური ინტერესი და შინაგანი ეფექტურობა. კვლევის შედეგად გაკეთდა დასკვნა, რომ ფსიქოლოგიური ინტერვენცია მონაწილეობის გაზრდის მიზნით უნდა მიმართული იყოს ინდივიდების ამ მახასიათებლებზე.

სამოქალაქო აქტივობის განსხვავებული კლასიფიკაცია განასხვავებს 5 ტიპის აქტივობას: საარჩევნო მონაწილეობა, მომხმარებელთა მონაწილეობა, პარტიული აქტივობა, საპროტესტო აქტივობა და კონტაქტური აქტივობა (Teorell, Torcal and Montero 2007).

პოლიტიკურ ჩართულობაში Carreras [40] განასხვავებს კოგნიტურ და აქტიურ პოლიტიკურ ჩართულობას. კოგნიტური პოლიტიკური ჩართულობა გულისხმობს მოქალაქის ფსიქოლოგიურ მიკუთვნებულობას პოლიტიკური სისტემისთვის, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ ინტერესს, პოლიტიკური ინფორმაციის მოძიებას და გარკვეულ პოლიტიკურ პარტიასთან იდენტიფიკაციას. მეორეს მხრივ, აქტიური პოლიტიკური ჩართულობა გამოიხატება უფრო მეტ კონტაქტში პოლიტიკოსებთან, პოლიტიკური პარტიის შეხვედრებში მონაწილეობასთან და მონაწილეობაში ქალაქის შეხვედრებში.

ემლერი ვარაუდობს, რომ პოლიტიკური ჩართულობა უნდა განხილულ იქნას, როგორც განვითარებადი პროცესი, რომელშიც ორი უპირველესი მოტივატორი არის ინტერესი პოლიტიკაში და სამოქალაქო ვალდებულების განცდა და ამ მოტივატორებს შეუძლიათ იმუშაონ, როგორც კომბინაციაში, ასევე როგორც ალტერნატივებმა (Emler N. 2011).

პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობა 14 წლიანებთან უფრო ადვილად მყარდება სტაბილურ დემოკრატიებში, ვიდრე ახალშექმნილ და არასტაბილურ ქვეყნებში (Torney-Purta, et al., 2001). სტაბილურ დემოკრატიებში ახალგაზრდებს აქვთ ინსტიტუტების მიმართ ნდობა და სჯერათ, რომ მათი მონაწილეობა არ იქნება დროის კარგვა (ან შესაძლო საფრთხე) მაშინაც კი, როდესაც არა აქვს საკმარისი ეფექტურობის განცდა. ხოლო ისეთ ქვეყნებში, როგორც კოლუმბია და ბულგარეთია, მხოლოდ მათ, ვისაც ნაკლები სამოქალაქო ცოდნა აქვთ, აქვთ მთავრობის ნდობა (Torney-Purta J. 2004).

მოზარდებთან ეროვნული სიამაყისა და პოლიტიკური მონაწილეობის შედარებითი შესწავლა მოახდინეს რუსეთსა და აშშ-ში. რუსი ახალგაზრდობა არ ენდობა პოლიტიკოსებს და თავს არიდებს სოციალურ მოძრაობებში, პოლიტიკურ პარტიებსა და იდეოლოგიურ პლატფორმებში მონაწილეობას (Lay, J.C., & Torney-Purta, J. 2002,) მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ყოველივე საბჭოურისა და რუსულის პოსტსაბჭოთა უარყოფა განაპირობებს ეროვნული იდენტობის სისუსტეს რუს ახალგაზრდებში. (Peterson, 2001; Weir, 2001). აშშ-სა და რუსეთშიც სახელისუფლო ინსტიტუტების მიმართ ნდობას დადებითი ზეგავლენა აქვს ქვეყნის მიმართ სიამაყეზე, მაგრამ უარყოფით

გავლენას ახდენს უცხოელების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებაზე. თავისი ქვეყნით ყველაზე ამაყი სტუდენტები ყველაზე მეტად მონაწილეობენ კონვენციონალურ აქტივობებში და ნაკლები ალბათობით არალეგალურ აქტივობებში. საპროტესტო პოლიტიკაში ჩაბმული მოზარდები განიცდიან საფრთხეს მათი პოლიტიკური გარემოსგან და ვერ ხედავენ უფრო უკეთეს მონაწილეობის საშუალებას.

ახალგაზრდების სოციალური იდენტობისა და პოლიტიკური ინტენციების კვლევა სხვადასხვა სოციოკულტურულ გარემოში. საქართველოში ჩატარებულმა ჩვენმა კვლევამ აჩვენა ეთნიკური და რელიგიური იდენტობების სიძლიერე 16 წლამდე ქართველ მოზარდებთან (ყიფიანი, 2007). ჩვენი ქვეყნის განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე აქტუალურია გაირკვეს იმ ახალგაზრდობის სოციალური იდენტობის მახასიათებლები და პოლიტიკური ინტერესები, რომლებიც უკვე სრულფასოვან მოქალაქეებად ითვლებიან, ეს კვლევა ასევე დამატებით ინფორმაციას მოგვაწვდის ქართულ კულტურაში ეროვნულ და რელიგიურ იდენტობათა სიძლიერის შესახებ და საფუძველს მოგვცემს კიდევ რამდენიმე პარამეტრის მიხედვით დავაზუსტოთ ქართული კულტურის სოციოცენტრული თუ ინდივიდუალისტური ორიენტაცია.

ჩვენს კვლევაში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდათა ორმა ჯგუფმა: 15-18 წლის ქართული სკოლების ქართველი (ეთნიკური უმრავლესობა, 103 ცდისპირი, 4 სკოლა) და სომხური ეროვნების რუსულენოვანი სკოლების (106 მოსწავლე 4 სკოლა) მოსწავლეები. ყველა მათგანი იყვნენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც დაიბადნენ და ცხოვრობდნენ საქართველოს დედაქალაქში (83 მამაკაცი და 126 ქალი). ქართულ და რუსულენოვანი სკოლების მოსწავლეთა მშობლების 95 % ასევე საქართველოში იყო დაბადებული, სომეხთა უმეტესობა გრიგორიანელია. როდესაც ქართველთა უმეტესობა არიან მართლმადიდებლები.

შესწავლილ იქნა თუ როგორ აღიქვამენ მოსწავლეები მათი იდენტობის სხვადასხვა კომპონენტის (ეთნიკურობა, საქართველოს

მოქალაქეობა, თბილისელობა, ევროპელობა და რელიგიური იდენტობა) სიძლიერესა და მნიშვნელობას, ასევე შესწავლილ იქნა მოზარდთა ინტერესი პოლიტიკისადმი, ნდობა ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ, პოლიტიკურ აქციებში მონაწილეობის მზაობა. იდენტობის კვლევა წარმოებდა იდენტობათა ფარდობითი მნიშვნელობის მეთოდით (Barrett, M. & Whennell, S. 1998), რომელიც იძლეოდა შესაძლებლობას მიგველო სურათი, თუ რომელი იდენტობა უფრო მნიშვნელოვანია ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის.

კვლევამ აჩვენა, რომ ქართველ მოზარდებში რელიგიური იდენტობა ყველაზე მნიშვნელოვანია სხვა იდენტობებთან შედარებით ($M=6.18$). რუსული სკოლის სომეხი მოსწავლეები ასევე ყველაზე მაღალ შეფასებას აძლევენ რელიგიურ იდენტობას ($M=5.46$), მაგრამ რელიგიური იდენტობა უფრო ხშირად აირჩევა ქართულ სკოლებში, როგორც პირველი არჩევანი (54%, $p<0.001$) ვიდრე რუსულ სკოლებში. შემდეგ მნიშვნელობის მიხედვით არის ეთნიკური იდენტობა ($M=4.82$), სხვაობა რუსულ და ქართულ სკოლებს შორის ეთნიკური იდენტობის სიძლიერეში სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($p<0.01$). თბილისელის იდენტობა უფრო მნიშვნელოვანია სომეხი მოზარდებისთვის, ვიდრე ქართველებისთვის ($p <0.02$). რუსული სკოლის მოსწავლეები გაცილებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ევროპულ იდენტობას ქართველებთან შედარებით ($p <0.02$).

პოლიტიკური აქტივობის ინტენციები. კვლევის დროს მოზარდები ახდენდნენ საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტის (პარლამენტი, სასამართლო, პოლიცია) მიმართ. ეთნიკურ ჯგუფებს შორის სხვაობები მნიშვნელოვანია ეროვნული ინსტიტუტების შემთხვევაში, რადგან ქართველები ყველაზე დაბალ შეფასებას აძლევენ საქართველოს პარლამენტს და პოლიციას ($p<0.01$).

განათლების ენის მიხედვით და ეთნიკური ჯგუფის მიხედვით კორელაციების ანალიზი შემდეგ კანონზომიერებებს გვაძლევს. ინტერესი პოლიტიკის მიმართ და პოლიტიკური ცოდნის თვით-შეფასება სხვადასხვა როლს ასრულებს. ზოგადად ინტერესი პოლიტიკის მიმართ უფრო მაღალია რუსულ სკოლებში ($p<0.03$). სომეხ

მოზარდებთან ინტერესი პოლიტიკის მიმართ დადებით კორელაციაშია ეთნიკური და რელიგიური ჯგუფთან იდენტიფიკაციის სიძლიერესთან ($p < 0.01$). ქართველების შემთხვევაში კი ინტერესი პოლიტიკის მიმართ კორელაციაშია საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელობასთან ($p < 0.01$). ქართულ და რუსულ სკოლებში ინტერესი პოლიტიკის მიმართ განაპირობებს საერთაშორისო კონფლიქტების შემთხვევაში მშვიდობიანი პოლიტიკური მოქმედებების ეფექტურობის რწმენას ($r = .34$, $p < 0.01$), ქართულ სკოლებში პოლიტიკისადმი ინტერესი და პოლიტიკის ცოდნა ასევე განაპირობებს პოლიტიკურ აქტივობაში ჩართვის ალბათობასაც ($r = .31$, $p < .001$).

ქართველ მოზარდებში აღინიშნება უარყოფითი კორელაცია ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის მიმართ ინტერესსა და პიროვნებათაშორის ნდობას შორის, როდესაც სომეხ მოზარდებთან, რომლებიც რუსულ სკოლებში სწავლობენ, ინტერესი პოლიტიკის მიმართ კორელაციაშია ეროვნული ინსტიტუტების მიმართ ნდობასთან ($r = .37$, $p < .001$) და მათი ეფექტურობის ($r = .40$, $p < .001$), სომეხ მოზარდებთან რუსულ სკოლებში არის კავშირი პოლიტიკის ცოდნასა და ნდობას შორის სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ($0.25 < r < .40$, $p < 0.02$). ქართულ სკოლებში პოლიტიკის ცოდნა კორელაციაშია მოქალაქეობისა და ეთნიკური ჯგუფთან იდენტიფიკაციის სიძლიერესთან. რუსულ სკოლებში პოლიტიკის მიმართ ინტერესსა ქვეყანაში სამართლიანობის აღქმას შორის კორელაცია დადებითია ($r = .37$, $p < .001$).

ქართველ მოზარდებში ეთნიკური იდენტობის სიძლიერე კორელაციაშია ქვეყანაში სოციალური სამართლიანობის აღქმასთან, ეროვნული ინსტიტუტების მიმართ ნდობასთან, ($r = .29$, $p < .001$). ქართველი მოზარდები აღნიშნავენ, რომ ისინი დაინტერესებულნი არიან ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკით, საერთაშორისო პოლიტიკით დაინტერესება უფრო დაბალია, როდესაც სომხები რუსულ სკოლაში უფრო დაინტერესებულნი არიან ადგილობრივი და საერთაშორისო პოლიტიკით. სხვაობები არაა მნიშვნელოვანი ეთნიკურ ჯგუფებს შორის ($r = .29$, $p < .001$). უნდა აღინიშნოს, რომ ცდის პირთა ყველა ჯგუფთან ნდობა ეროვნული პოლიტიკური ინსტიტუტების

მიმართ დადებით კორელაციაშია ქვეყანაში სამართლიანობის აღქმასთან ($r=.29, p<.001$).

ქართულ სკოლებში პიროვნებათაშორისი ნდობის მაჩვენებელი დადებით კორელაციაშია მშვიდობიანი პოლიტიკური აქტივობის ინტენციასთან, ხოლო პოლიტიკისადმი ინტერესის მიმართ აღინიშნება უარყოფითი კორელაცია ($r=.29, p<.001$). რუსულ სკოლებში პიროვნებათაშორისი ნდობა კორელაციაშია ქვეყანაში სამართლიანობის აღქმასა და ეროვნული პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობასთან ($r=.29, p<.001$).

ზოგადად ორივე ეთნიკურ ჯგუფთან პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობა საკმაოდ დაბალია, მაგრამ სომხები უფრო მაღალ ნდობას მიუთითებენ ეროვნული პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ, ასევე მეტ სურვილს გამოხატავენ მონაწილეობა მიიღონ ისეთ პოლიტიკურ აქციებში, როგორც არის გზების გადაკეტვა, შენობების დაკავება და ა.შ. ($r=.29, p<.001$). რუსული სკოლის სომეხი მოსწავლეები დაახლოებით ისეთივე პოლიტიკური აქტივობის სურვილს მიუთითებენ, როგორც ქართველები.

ქართველი მოზარდები რელიგიური ლიდერების მიმართ მეტ ნდობას მიუთითებენ ($M=5.90$) სომხებთან შედარებით (რუსულ სკოლებში $M=3.74, p<0.01$). რუსულ სკოლებში რელიგიური ლიდერების მიმართ ნდობა კორელაციაშია ეროვნული ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ ნდობასთან, პოლიტიკისადმი, ინტერესთან პოლიტიკური აქტივობის ინტენციასთან ($r=.29, p<.001$), როდესაც ქართულ სკოლებში, პირიქით პოლიტიკისადმი ინტერესსა და რელიგიური ლიდერების მიმართ ნდობას შორის უარყოფითი კორელაცია აღინიშნება ($r=.29, p<.001$).

მოზარდების ასაკის ზრდასთან ერთად პოლიტიკურ აქტივობაში მონაწილეობის სურვილი განსხვავებულად იცვლება სხვადასხვა სასკოლო გარემოში. 17-18 წლის რუსული სკოლების სომეხი მოზარდები გამოხატავენ უფრო მეტ სურვილს მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ საქმიანობაში, ვიდრე უფრო მცირეწლოვანი მოსწავლეები ($F=4.45, p<.04$).

სომხები მეტ სურვილს გამოხატავენ, ვიდრე ქართველები ჩაერთვნენ მშვიდობიან პოლიტიკურ საქმიანობაში, ასევე ძალადობრივ

აქტივობაში საერთაშორისო კონფლიქტის შემთხვევაში ($F=4.94, p<.03$). რუსულ სკოლებში სომხები მეტ სურვილს გამოხატავენ ჩაერთონ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში და მეტად სჯერათ მისი ეფექტურობის. რუსულ სკოლებში ასაკთან ერთად იზრდება ქვეყანაში სამართლიანობის აღქმა და ეროვნული ინსტიტუტების ეფექტურობის რწმენა ($p<.008$).

კვლევა აჩვენებს ეროვნული პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობის სიმცირეს, რომელიც განსაკუთრებით დაბალია ქართველებში. ეთნიკური იდენტიფიკაციის სიძლიერე ეთნიკური უმცირესობის ახალგაზრდებში კორელაციაშია მშვიდობიან პოლიტიკურ აქტივობაში ჩართვის ალბათობასთან, როდესაც ეთნიკური უმრავლესობის, ქართველ მოსწავლეებში მოქალაქეობრივი იდენტიფიკაციის სიძლიერე და პოლიტიკაში გარკვეულობა დამატებით ფაქტორებს წარმოადგენენ, რომლებიც აქტიურ პოლიტიკურ პოზიციას განაპირობებს. გამოკვლევის შედეგები ამასთან აჩვენებს, რომ სომეხი მოზარდები არ მიუთითებენ ენობრივ ან სხვა სახის დისკრიმინაციას და ბევრად მეტ ნდობას გამოხატავენ პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ, ვიდრე ქართველები.

დასკვნა. აღზრდის სხვადასხვა სოციოკულტურული გარემო (სხვადასხვა ენაზე სწავლება) განსხვავებულ დამოკიდებულებას ქმნის სოციალური ობიექტების მიმართ, რაც განაპირობებს პოლიტიკური აქტიობის განსხვავებულ ინტენციას და დამოკიდებულებებს. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ეთნიკური იდენტიფიკაციის სიძლიერე მოზარდებში და სკოლის სოციო-კულტურული გარემო კომპლექსურ გავლენას ახდენენ ახალგაზრდობის პოლიტიკურ ნდობაზე ეროვნული პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ, პოლიტიკური პროტესტის განზრახვებსა და პოლიტიკური აქტივობის ეფექტურობის შეფასებაზე.

ასაკთან ერთად სხვაობები ეთნიკურ ჯგუფებს შორის პოლიტიკური პროტესტის მოსალოდნელობასა და პოლიტიკური აქტივობის ეფექტურობის აღქმას შორის მნიშვნელოვანი ხდება. ეთნიკური უმრავლესობის მოსწავლეებში ასაკთან ერთად აღინიშნება პოლიტიკური პროტესტის ინტენციების საერთო კლება, როდესაც ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეებში აღინიშნება პოლიტიკურ პროტესტში ჩართვის ალბათობის ზრდა.

სოციოცენტრული კულტურა და ნეოლიბერალური

იდეოლოგია. კვლევა აჩვენებს ქართველ მოზარდებში რელიგიური და ეთნიკური იდენტობის სიძლიერეს, რაც მთელი რიგი ფაქტორებით აიხსნება, კერძოდ, ქვეყანამ რამდენიმე სამხედრო კონფლიქტი გადაიტანა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია. ეს გარემოებები განსაკუთრებით ზრდის ეროვნული იდენტიფიკაციის მნიშვნელობას, რელიგიური იდენტობის სიძლიერე კი ქვეყნის ისტორიული წარსულით და კულტურული მემკვიდრეობით არის განპირობებული.

ამგვარად, ყველა ბოლოდროინდელი კვლევა მიუთითებს, რომ საქართველო სოციოცენტრულ კულტურას მიეკუთვნება, ქართველებისთვის რელიგიურ ეთიკასა და ღირებულებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამასთან ერთად რელიგიური მიკუთვნებულობა ეროვნული იდენტობის მთავარ კომპონენტად აღიქმება. შესაბამისად რელიგიური ეთიკა და მორალი განსაკუთრებულ ასახვას უნდა ჰპოვებდეს საქართველოს საზოგადოებრივ ყოფაში, კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში.

სოციოლოგიური კვლევები ამ დროს მედიაში ეროვნული ღირებულებების უგულებელყოფის ტენდენციას აღნიშნავს, რაც უარყოფით შეფასებებს იღებს მოსახლეობისგან (ბოგიშვილი და სხვები, 2014). კერძოდ, 31 წლის შემდეგ ყველა ასაკობრივ ჯგუფში მედიიდან მომავალ ინფორმაციას ეროვნული ღირებულებების საწინააღმდეგოდ მიიჩნევენ და მედია ნაციონალური იდენტობის დაკარგვის საფრთხესთან ასოცირდება. რესპონდენტების აზრით, ამდენად, მედია ხელს უწყობს საზოგადოების გახლეჩას.

ამავე კვლევის მიხედვით, საქართველოში სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხულმა თითქმის ყველა ექსპერტმა ნაციონალურ იდენტობაზე გავლენის მომხდენ აქტორთა შორის დღესდღეობით ყველაზე ძლიერ ინსტიტუტად ეკლესია დაასახელა (ბოგიშვილი და სხვები, 2014). კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების აზრით, ეკლესიის მონოპოლიას ხელს უშლიან ის აქტორები, რომლებიც კრიტიკული სააზროვნო სივრცის შექმნას ცდილობენ. კვლევის ერთ-ერთი ექსპერტი სოციალიზაციის ძველი და ახალი აგენტების ჩამონათვალს ქმნის და ძველი ტალღის აგენტების

ჯგუფში აერთიანებს: ეკლესიას, საჯარო სკოლებს და ოჯახებს, ხოლო ახალი ტალღის აგენტებს წარმოადგენენ: არასამთავრობო ორგანიზაციები და ცალკეული უმაღლესი სასწავლებლები (თავისუფალი უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). ექსპერტები განმარტავენ, რომ ყველაზე უფრო ღია კონფრონტაცია ეკლესიასა და არასამთავრობო სექტორს შორის მიმდინარეობს, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციები, ქართული იდენტობისთვის ეკლესიისგან განსხვავებული საყრდენის მოძიებას ცდილობენ.

ეს კვლევა მიუთითებს, რომ ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციები განსხვავებული ღირებულებების გამო უპირისპირდებიან ეკლესიის მიერ შემოთავაზებულ ეთნო-რელიგიურ ნაციონალიზმს, ამასთან ერთად კონფლიქტში მათ ჩაბმას ეკლესიის საჯარო სივრცეში ინტერვენცია და სეკულარული პრინციპების რღვევა იწვევს. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ეკლესიის მიერ კოლექტივიზმის წახალისება იწვევს ყოველგვარი განსხვავებულობის მიუღებლობას და დიდ წინააღმდეგობას უქმნის ინდივიდუალისტური თავისუფლების კულტურას, რაც, ავტორების აზრით, დღევანდელ მართლმადიდებელ ეკლესიას ანტიდასავლურ ძალად აქცევს (ბოგიშვილი და სხვები, 2016).

როგორც ვხედავთ, ერთის მხრივ, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ძლიერი რელიგიური და ეროვნული იდენტიფიკაცია აქვს, ეკლესიაც კოლექტივიზმისკენ მოუწოდებს, გამოდის, რომ ეკლესიის იდეოლოგია თანხვედრაშია მოსახლეობის ღირებულებებთან, მეორეს მხრივ ამ იდეოლოგიას არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის ნეოლიბერალური დისკურსი უპირისპირდება, რადგან კოლექტივიზმის წახალისება მიერ ანტიდასავლურ ქმედებად აღიქმება და ეროვნული იდენტიფიკაციის ობიექტის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ვლინდება, საზოგადოებაში კი უფრო ღვივდება დაპირისპირება.

კვლევებმა აჩვენა, რომ სოციოცენტრულ კომუნიტარულ ქვეყნებში მაღალი კონკურენტუნარიანობა განპირობებულია ეროვნული იდეოლოგიისადმი ინსტიტუციონალური პრაქტიკის შესაბამისობით. აზიის კომუნიტარულ ქვეყნებში აქტიური დაგეგმვაზე ორიენტირებული და ძლიერი სახელმწიფოს კონცეფცია განპირობებს მაღალ ეფექტურობას (დაწვრილებით იხილე გ. ყიფიანი, 2002, გვ.6-12).

ჩვენს შრომაში ნაჩვენებია იქნა, რომ საქართველოში ეროვნული ხასიათის კრიტიკის ერთი მიმართულება არსებითად მემარცხენე რადიკალური იდეოლოგიით იყო განსაზღვრული (ყიფიანი, 2002, გვ. 79, 84), ასევე რადიკალური ნეოლიბერალური მიდგომა უდევს საფუძვლად საქართველოში „ახალ ინტელექტუალთა“ პოლიტიკას, რომელიც მოიცავს ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გაზრდასთან დაპირისპირებას, ეროვნული ხასიათის მიმართ სკეპტიციზმს, „მისი ფურთხის ღირსად ჩათვლის პათოსს“, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისადმი, ტრადიციისადმი პიეტეტის უარყოფას (ნოღია გ. 2001, გვ.126,). ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ამ ჯგუფის წარმომადგენლებს ტელევიზიაში ყველაზე ხშირად იწვევდნენ (ნოღია გ,2001, გვ 74) და ისინიც, ბუნებრივია, შექმნიდნენ მედიაში დომინირებულ დისკურსს.

საზოგადოების ეფექტური ფუნქციონირებისათვის სასურველია ეროვნული კულტურა და იდეოლოგია ასახული იყოს სოციალური ინსტიტუტების მარეგულირებელ ნორმებში. კვლევა აჩვენებს, რომ ქვეყნის ეფექტური განვითარებისთვის სასურველია ინსტიტუციები ეროვნული იდეოლოგიის შესაბამისი იყოს. ამ თავში ჩამოყალიბებული მიდგომა კულტურის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარამეტრად მიიჩნევა საზოგადოებრივი მორალისა და ეთიკის ადგილს საზოგადოებრივი ინსტიტუციების ფუნქციონირებაში.

ამდენად, ჩვენთვის საყურადღებოა, უფრო დეტალურად გამოვიკვლიოთ, თუ რა იდეოლოგია დომინირებს საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ქვეყნის ფუძემდებლურ დოკუმენტებიდან - კონსტიტუციასა და კანონმდებლობიდან დაწყებული, რომლებიც საზოგადოების მორალურ სტანდარტებს არეგულირებს და ეროვნული იდენტობისა და საზოგადოებრივი მორალის შესახებ სამეცნიერო და მედია-დისკურსით დამთავრებული.

თავი 3. საზოგადოებრივი მორალის დაცვისადმი იდეოლოგიური მიდგომა საქართველოს კანონმდებლობაში

გავეცნოთ, თუ რამდენად ასახულია საქართველოს მოსახლეობის, როგორც სოციოცენტრული საზოგადოების კულტურული ღირებულებანი იმ კანონმდებლობაში, რომელიც უშუალოდ საზოგადოებრივ მორალს ეხება, რა იდეოლოგიაა დამკვიდრებული სამართლებრივ პრაქტიკაში და რა შესაბამისობაა კულტურულ ღირებულებებსა და იურისპრუდენციაში დომინანტურ იდეოლოგიურ მიდგომებს შორის.

როგორც ვნახეთ, კოლექტივისტური კულტურებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ რა როლი და დატვირთვა ენიჭება საზოგადოებრივ მორალს მოსახლეობის ცხოვრებაში. საზოგადოებრივი მორალის დაცვის სამართლებრივ სტანდარტს საერთაშორისო შეთანხმებები ადგენს, რომლებიც თავის დროზე იმ ვარაუდით არის შედგენილი, რათა მაქსიმალურად გაითვალისწინოს, როგორც ინდივიდუალისტური, ასევე სოციოცენტრული საზოგადოებების ღირებულებანი (Kaplan S. 2018)

საქართველო მიერთებულია შემდეგ საერთაშორისო შეთანხმებებზე, რომლებიც საზოგადოებრივი მორალის ლეგიტიმაციასაც განსაზღვრავს. ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო კონვენცია განიხილავს საზოგადოებრივ ზნეობას, როგორც ლეგიტიმურ მიზანს, შემდეგ მუხლებში - 12.3, 14.1, 18.3, 19.3, 22. 2; (საერთაშორისო პაქტი, 1994); ბავშვთა უფლებების კონვენცია კი მუხლებში - 10.2, 13.2, 14.3, და 15.2. (კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1989).

საზოგადოებრივი მორალის დაცვა ასევე ლეგიტიმური მიზანია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში და ადამიანის უფლებათა შეზღუდვის საფუძველს წარმოადგენს მთელ რიგ მუხლებში გათვალისწინებული დებულებანი: მე-6, პუნქტი 1, მუხლი მე-8, პუნქტი 2; მუხლი მე-9, პუნქტი 2; მე-10, პუნქტი 2; მე-11, პუნქტი 2., შესაბამისად მორალის დაცვას უპირატესობა ენიჭება ისეთ უფლებებთან შედარებით, როგორცაა სამართლიანი სასამართლოს, პირადი და ოჯახური ცხოვრების, აზრის თავისუფლების,

ცნობიერებისა და რელიგიის, გამოხატვის თავისუფლება და შეკრების თავისუფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950). საერთაშორისო შეთანხმებათა ეს დებულებანი, როგორც წესი გადატანილია მსოფლიოს ქვეყნების კონსტიტუციებში, რადგან სამართლებრივი სისტემის საფუძველს ქვეყნის კონსტიტუცია წარმოადგენს.

კონსტიტუცია არის ქვეყნის მოქალაქეთა გამაერთიანებელი ფაქტორი, ის ქმნის საერთო საფუძველს კანონებისა და წესებისთვის, გამოკვეთს კოლექტიურ ღირებულებებსა და პრინციპებს და გამოხატავს ქვეყნის ამბიციებს მომავლისათვის (Aucoin, 2010); კონსტიტუცია არის მაფორმირებელი დოკუმენტი, რომელიც თამაშობს საკვანძო როლს ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში (Breslin, 2009). ამდენად ჩვენთვის, საინტერესოა, გავერკვეთ რა ადგილს ანიჭებს საზოგადოებრივ მორალს საქართველოს კონსტიტუცია სამართლებრივ სივრცესა და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

როგორც აღვნიშნეთ, ევროპის ქვეყნებს ადამიანის უფლებათა დეკლარაციიდან პირდაპირ გადმოაქვთ დებულებანი საზოგადოებრივი მორალის შესახებ და შესაბამისად სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციებში ხშირად არის ხოლმე ნახსენები მორალი. საქართველოს მეზობელი ქვეყნების კონსტიტუციები ამ მხრივ საკმაოდ გამოირჩევა, როგორც ჩანს, კოლექტივისტური ქვეყნებისთვის ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია, კერძოდ, სომხეთის კონსტიტუციაში 12-ჯერაა ნახსენები სიტყვა “მორალი” (Armenia's Constitution, 1995) როგორც ლეგიტიმური მიზანი, თურქეთის კონსტიტუციაში 14-ჯერ (Turkey's Constitution, 2017), აზერბაიჯანის კონსტიტუციაში 3-ჯერ (Azerbaijan's Constitution, 1995), მხოლოდ რუსეთის კონსტიტუციაშია „ზნეობრიობა“ ერთხელ ნახსენები, რაც ლიბერალური ორიენტაციის მაჩვენებლად მიაჩნიათ (Багдасарян В.Э.2014).

საზოგადოებრივი მორალის მნიშვნელობა ხაზგასმით არის აღნიშნული ევროპის სხვა ქვეყნების კონსტიტუციებშიც, კერძოდ, იტალიის კონსტიტუცია 5-ჯერ (Italy's Constitution, 2012.), საბერძნეთის კონსტიტუცია კი 3-ჯერ ახსენებს მორალს, როგორც ლეგიტიმურ მიზანს (Greece's Constitution, 2008). ევროპის ქვეყნების უმეტესობათა,

კერძოდ, ჰოლანდიის, დანიის, ლატვიის, გერმანიის, ლუქსემბურგის, ბელგიის, ჩეხეთის, ბულგარეთისა და პორტუგალიის კონსტიტუციები შეიცავენ ჩანაწერებს საზოგადოებრივი ზნეობის, როგორც ლეგიტიმური მიზნის შესახებ (მასალები მოპოვებულია საიტზე www.constituteproject.org).

საქართველოს კონსტიტუციის ტექსტის ანალიზი აჩვენებს, რომ მასში საერთოდ არ არის ნახსენები სიტყვები „საზოგადოებრივი მორალი“ და „ზნეობა“ ლეგიტიმური მიზნების ჩამონათვალში იმ მუხლებში, რომლებშიც ჩვეულებრივ საერთაშორისო პრაქტიკა სასურველად მიიჩნევა მითითებას, განსხვავებით, თუნდაც ევროპის ქვეყნებისგან. საყურადღებოა, რა ინტერპრეტაციას აძლევენ ქართველი საზოგადოებრივმცოდნეები საზოგადოებრივი მორალისადმი ასეთი უგულებელყოფის მიდგომას.

ქართველი იურისტების ნაწილმა განსხვავება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და საქართველოს კონსტიტუციას შორის საზოგადოებრივი მორალის უგულებელყოფის მხრივ შეაფასა როგორც გამოხატვის თავისუფლების უფრო მაღალი სამართლებრივი სტანდარტი და ეს საზოგადოების განვითარებისთვის სასარგებლო სიახლედ ჩათვალა. მაგალითად, კ.კორკელია მიუთითებს: „ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს უფრო მაღალ სამართლებრივ სტანდარტებს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების დაცვის მიმართ, ვიდრე ევროპული კონვენცია. ... კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს მხოლოდ ერთ კანონიერ მიზანს (სხვათა უფლებები) მაშინ, როდესაც ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი უფრო ვრცელ ჩამონათვალს ადგენს“ და იქვე განათავსებს ჩამონათვალსაც: საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის, ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა“ (კორკელია, 2004, გვ.263). როგორც ვხედავთ, კორკელია ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის უგულებელყოფას საზოგადოებრივი მორალის საკითხში უფრო მაღალ სტანდარტად მიიჩნევს.

საზოგადოებრივ მორალთან საქართველოს კანონმდებლობის მიმართება 2006 წელს გარკვეულად დაზუსტდა მას შემდეგ, რაც

საქართველოს პარლამენტმა აკრძალა ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასამართლოში მიმართვა, თუ მაუწყებელი უარყოფდა საჩივარს არასრულწლოვანთათვის მავნე ზემოქმედების მქონე სცენების დემონსტრირებასთან დაკავშირებით (მაუწყებლობის შესახებ კანონი, 2006, 59 პრიმა მუხლი). ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოსთვის მიმართვა ყველა მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა და პარლამენტის ეს გადაწყვეტილება ადამიანის უფლების შეზღუდვას წარმოადგენდა და ანტიკონსტიტუციური იყო. ფაქტიურად ის განხორციელდა მაუწყებლებისთვის, მედიისთვის მაქსიმალური თავისუფლების მინიჭების მიზნით, რომ კომუნიკაციების კომისიაში საჩივრები არ შესულიყო არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონის დარღვევისთვის.

2009 წელს ეს შეზღუდვა კიდევ უფრო გაფართოვდა მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ზნეობის საკითხების სასამართლოში განხილვის მიზანშეუწონლობაზე იმ არგუმენტით, რომ საქართველოში ზნეობის ნორმების დადგენა სირთულეს წარმოადგენს და სასამართლოებში მსჯელობა დამაბრკოლებელ გავლენას მოახდენს მაუწყებელთა თავისუფლებაზე, საბოლოოდ კი საზოგადოება დაზიანდება: “ზნეობრიობის საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა უარყოფით ეფექტს იქონიებს მაუწყებლის თავისუფლებაზე იმდენად, რამდენადაც, უმეტეს შემთხვევაში, ძნელია ობიექტურად იმის განსაზღვრა, რა შეესაბამება ზნეობრივ ნორმებს და რა – არა. ასეთი საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა გამყინავ ეფექტს იქონიებს მაუწყებლის თავისუფლებაზე და შედეგად დააზარალებს მთლიანად საზოგადოებას” (გადაწყვეტილება საქმეზე 421, 422, 2009, გვ.17, პარაგრაფი # 20).

საკონსტიტუციო სასამართლოს ეს დადგენილება, რომელსაც კანონის ძალა აქვს, ზნეობის სფეროში ახალ სტანდარტს ამკვიდრებს ქართული სამართლის ისტორიაში, რადგან კრძალავს დისკუსიასაც კი ზნეობრიობის თემებზე სასამართლოებში. აქ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება როგორც ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკას, ასევე საქართველოს კონსტიტუციასაც,

რადგან ძალაში ტოვებს სასამართლოში მიმართვის უფლების აკრძალვას.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ თვლის, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, განსხვავებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომისგან: „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევს მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს“ (სიძულვილის ენა, 2014:14). როგორც ვხედავთ, საქართველოში საზოგადოებრივი მორალის დაცვა კონსტიტუციური სამართლის დონეზე არ სარგებლობს პრიორიტეტით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა სტრასბურგის ევროპული სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს მორალის საერთო ევროპული კონვენცია და ამიტომ მიიჩნევს, რომ ზნეობის საკითხებზე ევროპის ქვეყნების ეროვნულ სახელისუფლებო ორგანოებს მეტი შესაძლებლობა აქვთ ზნეობის მოთხოვნათა შინაარსის გარკვევისათვის და ეროვნულ ხელისუფლებებს ანდობს მორალის საკითხებზე გადაწყვეტილების პრიორიტეტს. სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით ევროპის საბჭო რეკომენდაციას აძლევს ეროვნულ ხელისუფლებებს უზრუნველყონ როგორც დებატების შესაძლებლობა ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე კონკრეტული ზომები მედიაში მომხმარებელთა ისეთი მოწყლვადი ჯგუფების დასაცავად, როგორსაც წარმოადგენენ მოზარდები (Akdeniz Y, 2008). მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს სასამართლოებში ზნეობის საკითხებზე მსჯელობა უკვე შეზღუდულად ითვლება, ზნეობის ეროვნული სტანდარტის დადგენა უკვე შეუძლებელი ხდება, მითუმეტეს, რომ საქართველოს კონსტიტუციური სასამართლო ზნეობის საკითხებზე მსჯელობასაც კი კრძალავს სამაუწყებლო მედიაში სადავო საკითხების განხილვისას.

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარებში ევა გოცირიძე მიუთითებს, რომ საქართველოს უფლება აქვს, დაადგინოს უფლებათა დაცვის განსხვავებული და უფრო მაღალი სტანდარტი, ვიდრე ამას ევროპული კონვენცია მოითხოვს (გოცირიძე ე, 2013, გვ. 169), თუმცა,

ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სხვა საქმეა იმის შეფასება, თუ რამდენად გონივრულია მოცემულ შემთხვევაში შეზღუდვის საფუძვლის მხოლოდ „სხვათა უფლებებით“ შემოფარგვლა. ევროპული პრეცედენტები მოწმობს, რომ ზემოაღნიშნულ საჯარო ინტერესების დასაცავად რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვას გონივრული გამართლება, მართლაც, გააჩნია. ამიტომ, მართებული იქნება, თუ კონსტიტუციის მე-19 მუხლის მესამე პუნქტს ფართოდ განვმარტავთ და „სხვათა უფლებებში“ შეგვიძლია ვიგულისხმოთ იმ ადამიანთა უფლებები, ვისი უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და მორალის დაცვის ინტერესებიც დაირღვა, ან საფრთხე შეექმნა ვინმეს მხრიდან რელიგიისა თუ რწმენის გაცხადების შედეგად (გოცირიძე ე, 2013).

სამწუხაროდ, ევა გოცირიძის ვარაუდს, რომ „სხვათა უფლებებში“ საზოგადოებრივ მორალის დაცვაც იგულისხმება, არც ის ქართველი იურისტები მოიაზრებენ, ვისაც მორალის დაცვის სტანდარტის კონსტიტუციაში დაფიქსირება საჭიროდ არ მიაჩნიათ და არც ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია, რომელიც ახდენს ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის საერთაშორისო შეთანხმებებთან შესაბამისობის სამართლებრივ ანალიზს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ ასევე მიიჩნევს, „რომ საქართველოს კონსტიტუცია, განსხვავებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლისგან, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძვლად არ ითვალისწინებს მორალის დაცვას (გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, 2020, გვ.8). შესაბამისად, ამ თვალსაზრისით საქართველოში გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური სტანდარტი ახლოსაა გამოხატვის თავისუფლების ამერიკულ მოდელთან და მაღალია ზოგადევროპულ სტანდარტზე (კონსტიტუციური სარჩელი, 2019, გვ.13) სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, 2019, გვ. 22). ამდენად, ნებისმიერი ნორმა, რომლის მიზანი იქნება საზოგადოებრივი მორალის დაცვა, აპრიორი, არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს მიჩნეული“ (სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, 2019:27). როგორც ვხედავთ, ეს ორგანიზაცია მორალის არდაცვას „ამერიკულ“ სტანდარტთან მიახლოვებად

მიიჩნევს, რაც საკამათო დებულებაა და ამ საკითხის ანალიზს მოგვიანებით გავეცნობით, თუ გამოხატვის თავისუფლების და ზნეობის დაცვის რა ბალანსია მიღებული და რა სტანდარტებია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საზოგადოებრივი ზნეობის, როგორც ლეგიტიმური მიზნის უგულებელყოფის პოლიტიკა საქართველოში კიდევ ერთხელ დადასტურდა 2017 წელს, როდესაც განიხილებოდა კონსტიტუციის ცვლილებათა პროექტი, ევროკავშირის ვენეციის კომისიამ სამჯერ - 2017 წლის ივნისში, 2017 წლის ოქტომბერში და 2018 წლის მარტში მიმართა საქართველოს პარლამენტს (Georgia Draft opinion, 2017:10, Georgia opinion Revised, 2017:14, Georgia Opinion on the draft, 2018:9), რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციათა ტექსტის შესაბამისად ჩაეწერა კონსტიტუციაში საზოგადოებრივი მორალი, როგორც ლეგიტიმური მიზანი იტალიის და ესპანეთის კონსტიტუციათა მსგავსად.

ვენეციის კომისიის რეკომენდაცია საბოლოოდ მაინც არ იქნა გათვალისწინებული. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საზოგადოებრივი მორალის უგულებელყოფა საქართველოს კანონმდებლობაში ნეოლიბერალური იდეოლოგიით არის განპირობებული, რათა კონსტიტუციით არ იყოს დაფიქსირებული ის მინიმალური საფუძველი, რომელიც შემდგომში გამოხატვის თავისუფლებისთვის შეზღუდვების დაწესების მიზეზი გახდება. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, საზოგადოებრივი მორალი მოიცავს, პირველ რიგში, მთელ იმ კულტურულ გამოცდილებას და ტრადიციებს, რაც ცალკეული ერის ისტორიაში შეიძლება იყოს დაგროვილი და რასაც ეროვნული მთავრობა მოსახლეობის უმრავლესობისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს და ეროვნული იდეოლოგიის მნიშვნელოვან კომპონენტს შეიძლება შეადგენდეს.

თავი 4. არასრულწლოვანთა ფსიქიკური და ზნეობრივი განვითარების დაცვის სამართლებრივი და ფსიქოლოგიური სტანდარტები

წინა თავში აღწერილი ჩვენი კვლევის შედეგად გამოვლინდა საზოგადოებრივი მორალის იგნორირების პრაქტიკა საქართველოს საკონსტიტუციო კანონმდებლობაში. საყურადღებოა განვიხილოთ, თუ რამდენად არის დამკვიდრებული ეს მიდგომა კანონმდებლობის იმ სფეროში, რომელიც ზნეობრივი სტანდარტების გათვალისწინებას გულისხმობს.

საზოგადოებრივი მორალის სტანდარტების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია სამაუწყებლო მედიის შინაარსობრივ რეგულირებასთან დაკავშირებით, კერძოდ, დღის საათებში არასრულწლოვანთა ზნეობრივი განვითარების დაცვის მიზნით ხდება გარკვეული შინაარსის მასალების, კერძოდ, ბილწსიტყვაობისა ან სხვა ზნეობრივი სტანდარტებისათვის შეუფერებელი მასალის შეზღუდვა (მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, 2009). გავეცნოთ თუ რა ფსიქოლოგიური და ორგანიზაციული პრინციპების გამოყენება ხდება არასრულწლოვანთა ზნეობრივი განვითარების დაცვის მიზნით მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისა და საქართველოს მედიაში.

მედიაში არასრულწლოვანთა მორალური განვითარების დაცვის ევროპული სტანდარტები. მასმედია და ტელევიზია თავისი შთამაგონებლობის გამო ზნეობრივი ნორმების ჩამოყალიბების უძლიერეს იარაღს წარმოადგენს. დღის ეთერში დასაშვებად მიჩნეული მასალა საზოგადოებრივი მორალის ნორმებს უნდა აკმაყოფილებდეს. ამიტომ მთელ მსოფლიოში საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ დღის სატელევიზიო ეთერი საოჯახო ჩვენებისთვისაა განკუთვნილი და გადაცემები მცირეწლოვანი ბავშვებისთვისაც შესაფერისი უნდა იყოს, რაც მაუწყებლობის შინაარსობრივ რეგულირებას განაპირობებს. მედიასექტორში შინაარსობრივი რეგულირების პირველ ევროპულ დოკუმენტს წარმოადგენდა 1998 წლის ევროპის საბჭოს რეკომენდაცია მედიაში ადამიანის ღირსებისა და მცირეწლოვანთა ფსიქიკური და ზნეობრივი განვითარების დაცვის ღონისძიებათა შესახებ (Council

Reccomendation, 1998). ევროპული მმართველობის საპროგრამო დოკუმენტისა (White Paper on European Governance, 2001) და ევროპული კომისიის „უკეთესი საკანონმდებლო მოქმედების გეგმის“ მიხედვით (Better Legislation Action Plan, 2001) მაუწყებლობის რეგულირების საუკეთესო მოდელად თანარეგულირება განისაზღვრა.

ევროპული სტანდარტის მიხედვით თანარეგულირების მექანიზმი საკანონმდებლო აქტის ფარგლებში ზოგადად საჯარო ინტერესებში უნდა მოქმედებდეს და კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს მონიტორინგის მეთოდები, სანქციები და იძულების მექანიზმები, რომლებიც აუცილებელია კანონმდებლობის სამართლებრივი მიზანმიმართულობის უზრუნველსაყოფად. დოკუმენტი მიუთითებს, რომ თუ თანარეგულირება არა ეფექტურია ან კერძო კომპანიები არ ემორჩილებიან საერთო წესებს, ყოველთვის უნდა იყოს შესაძლებელი საზოგადოებრივი მმართველობის ორგანოების მხრიდან ჩარევის შესაძლებლობა მაუწყებლობაში საჭირო წესებისა და ზომების გატარებისათვის.

თანარეგულირება უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოს ჩარევის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ მისი მიზნები არ იქნება მიღწეული (Directive 2010/13/EU, 2010). ამრიგად, ევროპული შინაარსობრივი რეგულირება არასრულწლოვანთა ფსიქიკური და მორალური განვითარების დაცვის მიზნით აუცილებლად მოიცავს აღსრულებისა და იძულების მექანიზმებს. ევროპული თვითრეგულირება გულისხმობს დარგის წარმომადგენელი ორგანიზაციების გაერთიანებას და საერთო ქცევის წესების, კოდექსის შექმნას, აღსრულებისა და დაჯარიმების მექანიზმების შემოღებას. გაერთიანების საბჭო ახდენს ორგანიზაციათა მონიტორინგს და სახელმწიფოს აქვს ჩარევის უფლება. კერძოდ, გერმანიაში სახელმწიფო იტოვებს უფლებას ჩაერიოს, აქტიური მონიტორინგი მოახდინოს და დააწესოს ნორმები, რომლებიც აღწერენ და განმარტავენ მცირეწლოვანთათვის მავნე შინაარსის კატეგორიებს. თუ თვითრეგულირების გაერთიანება ვერ ახდენს ადეკვატურ რეაგირებას, მარეგულირებელ კომისიას შეუძლია არასათანადო სატელევიზიო პროგრამის გამო 500 000 ევრომდე დააჯარიმოს მაუწყებელი (Ahlert Ch., 2012).

ევროპის ქვეყნებში მცირეწლოვანთა ფსიქიკური და ზნეობრივი განვითარების დაცვას მედიაში დიდი ყურადღება ექცევა: 2004 წელს იტალიის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა რამდენიმე წესი მცირეწლოვანთა დაცვის სფეროში: 1) სატელევიზიო პროგრამა, რომელმაც შეიძლება ავნოს ბავშვის უნარს გაარჩიოს დადებით და უარყოფითი ღირებულებები, არ უნდა გადაიცეს, 2) კონსტიტუციურად უზრუნველყოფილი ინფორმაციის მიღების უფლებასა და მცირეწლოვანთა დაცვას შორის კონფლიქტის შემთხვევაში, უპირატესობა მეორეს ენიჭება. იტალიაში მედიის რეგულირებაში სახელმწიფოს რამდენიმე ორგანიზაცია მონაწილეობს და მათ შორის სასამართლო. პოლონეთში მარეგულირებელ ორგანოს შეუძლია დააჯარიმოს მაუწყებელი მცირეწლოვანთა დაცვის ვალდებულებათა დარღვევის გარდა, ასევე ზნეობრივი ღირებულებებისა და სოციალური ინტერესის შემლახველი გადაცემებისთვის (Casarosa F., 2012).

არასრულწლოვანთა ფსიქიკური განვითარების დაცვის სტანდარტები ამერიკის შეერთებული შტატების მედიაში. ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში და ჟურნალისტები ხშირად ჩვენი მედია-კანონმდებლობის გამოხატვის თავისუფლების „ამერიკულ“ სტანდარტთან მიახლოებით ამაცობენ, რადგან ევროპული მიდგომა უფრო შემზღვევლად მიაჩნიათ (Proposed Georgian Defamation, 2019). ამ დროს ევროპელი მკვლევარები ამერიკულ მიდგომას, უფრო მკაცრად კი მიიჩნევენ ამერიკული პურიტანიზმის გამო (Mendel, 2011:30). ამიტომ გავეცნოთ უფრო დეტალურად, თუ რას გულისხმობს ზნეობისა და მცირეწლოვანთა დაცვის ამერიკული სტანდარტები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ის მუხლები, რომლებიც საზოგადოებრივ მორალს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნევენ. აშშ კონსტიტუციის პირველი შესწორება და აშშ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი აზუსტებს იმ პირობებს, რომლის გამოც შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. აშშ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად უხამსი მასალა ან გამოხატვა არაა დაცული აშშ კონსტიტუციის პირველი შესწორებით. აშშ უზენაეს

სასამართლოს გადაწყვეტილებაში FCC v. Pacifica Found. განმარტებულია, რომ მაუწყებლობას ყველაზე ნაკლები დაცვა უნდა ჰქონდეს კონსტიტუციის პირველი შესწორების შესაბამისად (Holohan, 2005:342), რაც შესაძლებლობას აძლევს აშშ ხელისუფლებას გამოიყენოს სარედაქციო კონტროლისა და შინაარსობრივი რეგულირების სხვადასხვა ფორმები, რომლებიც ბეჭდურ მედიაში აკრძალულია. ასევე აშშ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საქმეზე Red Lion Broadcasting Co. v. FCC მიხედვით, მაუწყებლობის შემთხვევაში უმთავრესია მაყურებელთა და მსმენელთა და არა მაუწყებლების ინტერესები (Holohan 2005:342).

აშშ ფედერალური კომუნიკაციების კომისია მაუწყებლობის მარეგულირებელ დამოუკიდებელ სამთავრობო სააგენტოს წარმოადგენს, რომელსაც შინაარსობრივი რეგულირებაც ეხება, მსგავსი სტატუსი ჰქონდა საქართველოში ეროვნულ კომუნიკაციების კომისიასაც. აშშ კომუნიკაციების კომისიას ევალება ორი სფეროს, უხამსი (obscene) მასალის ტრანსლირების საერთოდ აკრძალვა და უხნეო (indecent) მასალის დილის 6 სათიდან სადამოს 22 საათამდე შეზღუდვის კონტროლი სანქციების საშუალებით. დარღვევის შემთხვევაში კომუნიკაციების ფედერალურ კომისიას შეუძლია გააფრთხილოს, დააჯარიმოს ან ლიცენზია შეუჩეროს მაუწყებელს (Holohan 2005:342).

2004 წლიდან აშშ კონგრესში უცენზურო მასალებისთვის ჯარიმების 10-ჯერ გაზრდის საკითხი დადგა 32 ათასი დოლარიდან 300 ათას დოლარამდე. საკითხის ორწლიანი განხილვაში დიდი როლი ითამაშა ერთ-ერთ სამაუწყებლო ქსელში პირდაპირმა ტრანსლიაციამ, როდესაც ცნობილი მომღერალი მამაკაცის სექსუალური ხასიათის სიმღერის შემდეგ მისი შემთხვევითი მოძრაობის შედეგად მომღერალ ქალს მკერდი წამის რამდენიმე მეათედით გაუშიშვლდა. ქსელი დაჯარიმდა მილიონზე მეტი დოლარით. ამის შემდეგ მაუწყებელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დანერგა პირდაპირი ტრანსლიაციის დროს მაუწყებლობის გადავადება 5 წამიდან 5 წუთამდე, რომლის დროსაც უხნეობის შემცველი მასალის ამოღება მოხდებოდა (Leon-Guerrero 2015:299).

საბოლოოდ 2006 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯარიმების 10-ჯერ გაზრდის მიზანი განმარტებული იყო კანონმდებლების მიერ, როგორც ამერიკულ ოჯახებზე ზრუნვა, რათა ბავშვები დაცული ყოფილიყვნენ პოტენციურად დამაზიანებელი და უზნეო შინაარსისგან (Press Release, 2005). უცენზურო (indecent) ტექსტურ და ვიდეომასალაში იგულისხმება სექსუალური ან ექსკრეტორული ორგანოების ან აქტივობების თანამედროვე საზოგადოების სტანდარტებით აშკარად ან უხეშად შეურაცხყოფელი აღწერილობა, ხოლო საზოგადოებრივი სტანდარტებში იგულისხმება საშუალო მაყურებლის ან მსმენელის სტანდარტი (Steiner, 2015). როგორც ვხედავთ ამერიკული სტანდარტი საზოგადოებრივ თვალსაზრისს, პრაქტიკულად საზოგადოებრივი მორალის სტანდარტს ეყრდნობა.

სატელევიზიო მაუწყებლობის რეგულირების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ასევე ფილმების და სატელევიზიო გადაცემების ასაკობრივი კლასიფიკაციის სისტემა (Classification and Rating Rules 2010:7). ფილმების კლასიფიკაციას თვითრეგულირების ორგანიზაცია (MPAA Motion Picture Association of America) ახორციელებს, რომელსაც კინოინდუსტრიის წარმომადგენლები ქმნიან, სატელევიზიო გადაცემების კლასიფიკაციას კი თვითონ ტელეკორპორაციები ახდენენ ამ სტანდარტების გათვალისწინებით. კლასიფიკაციის ეს სისტემა საკმაოდ მკაცრ კრიტერიუმებს აწესებს ქართულ და ევროპულ ანალოგებთან შედარებით.

როგორც მიუთითებენ მკვლევარები, ამერიკული სტანდარტები სიშიშვლის შეზღუდვის შესახებ ბევრად მკაცრია და ევროპაში ღიმილსაც კი იწვევს (Mendel, 2011:30), სიშიშვლე აშშ-ში 13 წლის მოზარდებისთვის შეუფერებელ მასალად მიიჩნევა, ხოლო სექსუალური ხასიათის სიშიშვლე კი მხოლოდ 17 წლიდან დასაშვებ მასალად; სექსუალურ სფეროსთან დაკავშირებული ბილწსიტყვაობის ერთზე მეტი სიტყვის შემცველი ფილმი ასევე 17 წლამდე დაუშვებელ კატეგორიას იღებს. თუ შევადარებთ ამ მიდგომას საქართველოს კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებულ კრიტერიუმებს, აღმოჩნდება, რომ აშშ-ში ბევრად მკაცრი მიდგომაა, რადგან საქართველოში სიშიშვლე სექსუალურ კონტექსტში გადაცემაში 15

წლიდან დასაშვებად არის მიჩნეული, ასევე შეურაცხმყოფელი ლექსიკა მიიჩნევა 15 წლიდან დასაშვებ მასალად, თუ ის კონტექსტით გამართლებულია (იხილე კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 56-(მეორე) მუხლი, მეორე პუნქტის ბ) და გ) პუნქტები).

აშშ-ში მხატვრული ფილმის 17 წლამდე ახალგაზრდებისთვის შეუფერებლად ჩათვლა ნიშნავს, რომ მისი რეკლამა ასევე შეზღუდული იქნება დღის საათებში. საქართველოში კი ნებისმიერი ასაკობრივი კატეგორიის ფილმის რეკლამა ხდება დღის საათებში. აშშ-ში ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიმართოს კომუნიკაციების კომისიას სატელევიზიო მაუწყებლობაში უცენზურო მასალის დემონსტრირებასთან დაკავშირებით, შემდეგ კი სასამართლოს საჩივრით, საქართველოში მომჩივანმა ზიანი უნდა დაადასტუროს, სასამართლოში მიმართვა კი აკრძალულია.

როგორც ვხედავთ, აშშ სატელევიზიო მაუწყებლობის სფეროში როგორც კანონმდებლობის, ასევე საზოგადოებრივი დისკურსისა და პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ უმთავრესი პრიორიტეტი ენიჭება საჯარო ინტერესს გამოხატვის თავისუფლებასთან შედარებით, პრაქტიკულად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის რეგულაციები მცირეწლოვანთა დაცვის მიზნით ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო მკაცრია და შედეგად გამოხატვის თავისუფლება კიდევ უფრო მეტად არის შეზღუდული ტელემედიაში, ვიდრე ევროპაში, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სიძულვილის ენა მეტად არის დაცული, ვიდრე ევროპულ რეგულაციებში (Heller, B. van Hoboken, J. 2019). ამდენად, საქართველოში გავრცელებული თვალსაზრისი, რომ გამოხატვის თავისუფლების ქართული ვერსია უახლოვდება ამერიკულს, არ შეეფერება სიმართლეს, ანალიზი აჩვენებს, რომ აშშ-ში საზოგადოებრივი ზნეობის დაცვის სტანდარტს პრიორიტეტი ენიჭება, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა ასეთ დათქმას არ შეიცავს.

არასრულწლოვანთა ფსიქიკური და მორალური განვითარების დაცვა საქართველოს მედიაში. საქართველოს კონსტიტუციის და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ჩვენმა ანალიზმა აჩვენა, რომ საზოგადოებრივი მორალი საერთოდ არ მიიჩნევა ლეგიტიმურ მიზნად, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს შესაძლებლობას,

მოხდეს სოციოცენტრული კულტურისათვის განმსაზღვრელ ღირებულებათა - სათემო და/ან რელიგიური ეთიკის გათვალისწინება. ჩვენთვის საგულისხმოა იმის დადგენა, თუ რამდენად დამკვიდრებულია საზოგადოებრივი მორალისადმი ასეთი იდეოლოგიური მიდგომა საზოგადოებრივ ცნობიერებასა და მედიაში, ხდება თუ არა მისი განვრცობა სხვა კანონებზეც. თუ ასეთი მიდგომა ფართოდაა დამკვიდრებული, ის წინააღმდეგობაში მოდის მოსახლეობის სოციოკულტურულ თავისებურებებთან, იწვევს კონფლიქტს საზოგადოებაში და აბრკოლებს მის როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ განვითარებას.

ამ მიზნით პირველ რიგში მიზანშეწონილია განვიხილოთ ის რეგულაციები, რომლებიც მცირეწლოვანთა ფსიქიკური და მორალური განვითარების დაცვას გულისხმობს. ყველაზე მეტად ამ თვალსაზრისით მედიის რეგულირების კანონმდებლობა არის საგულისხმო, რადგან ამ სფეროში ხდება სხვადასხვა სოციალური ინტერესის გადაკვეთა, ერთის მხრივ, გამოხატვის თავისუფლებისა და მაუწყებელთა კომერციული ინტერესებისა და მეორეს მხრივ კი, მცირეწლოვანთა ფსიქოლოგიური განვითარების მავნე ზემოქმედებისგან დაცვის ინტერესის.

ჩვენთვის საინტერესოა, თუ რამდენად რეალიზებულია საზოგადოებრივი მორალის დაცვა ზოგადად მედიის სფეროში, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანთა დაცვის სფეროში მავნე ზეგავლენისაგან. კერძოდ, რამდენად დამკვიდრებულია საქართველოში ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-17 მუხლის ე) პუნქტით გათვალისწინებული პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფო უნდა ახდენდეს ბავშვის დაცვას იმ სახის ინფორმაციისა და მასალებისგან, რომელიც საზიანოა მისი კეთილდღეობისთვის (ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989). ასეთ მასალებად კი მიიჩნევა ძალადობის, სექსუალური ურთიერთობის, ნარკოტიკების მოხმარებისა და აზარტული თამაშების, ბილწისტიყვაობის ასაკობრივად შეუფერებელი სცენები. ისევე როგორც საზოგადოებრივი მორალის დაცვის შემთხვევაში საერთაშორისო შეთანხმებები ორი სხვადასხვა ინტერესის დაპირისპირების შემთხვევაში უპირატესობას მცირეწლოვანთა დაცვის ინტერესს ანიჭებს, ასევე ევროპის საბჭოს რეკომენდაციები მოუწოდებს

მცირეწლოვანთა დაცვისკენ ელექტრონულ მედიაში (Recommendation No. R (97), 1997)

საქართველოს როგორც სოციოცენტრული, ოჯახსა და რელიგიურ ღირებულებებზე ორიენტირებული კულტურიდან გამომდინარე შეიძლება გვევარაუდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოდა ბავშვების დაცვას მავნე ზეგავლენის მქონე ინფორმაციისაგან. წინა თავებში აღწერილი ჩვენი კვლევა აჩვენებს საქართველოს მოსახლეობისთვის რელიგიის მაღალ მნიშვნელობას, სასულიერო პირების მაღალ ავტორიტეტს, რელიგიური იდენტიფიკაციის სიძლიერეს, შესაბამისად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რელიგიურ ეთიკასაც მაღალი ღირებულება ექნება და გათვალისწინებული იქნება კანონმდებლობაში, სასულიერო ლიდერების აზრსაც ანგარიშს გაუწევენ ხელისუფლების თუ მედიის წარმომადგენლები.

ქართული საზოგადოება, რელიგიური ორგანიზაციები აქტიურად მოითხოვდნენ მაუწყებლობის კანონმდებლობის დახვეწასა და ხელისუფლების მიერ ტელეეთერის გაკონტროლებას 1991 წლიდან, მას შემდეგ, რაც გაუქმდა ცენზურა საბჭოთა კავშირში, რათა მცირეწლოვანთათვის მავნე ზემოქმედების მქონე მასალა შეზღუდულიყო ზნეობრივი სტანდარტების გათვალისწინებით, რადგან ვიდეოპროდუქცია ყოველგვარი ასაკობრივი გადარჩევის გარეშე გადაიცემოდა., მაგრამ ეს ცდები 10 წლის განმავლობაში პრაქტიკულად უშედეგო აღმოჩნდა.

თუ საზღვარგარეთ ვიდეოპროდუქცია მკაცრ ასაკობრივ კატეგორიზაციას განიცდის და დღის საათებში ტელევიზიით მხოლოდ ოჯახური ჩვენებისთვის განკუთვნილ გადაცემებს აჩვენებენ შესაბამისი კატეგორიის მითითებით, საქართველოში 2002 წლამდე ეს პროცედურა საერთოდ იგნორირებული იყო, როგორც კანონმდებლების, ასევე ტელეარხების მიერ.

კანონმდებლობის მიღება 2001 წელს უმეტესწილად ევროპის საბჭოს წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებებმა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციებმა განსაზღვრა, რომლებიც მაუწყებლობისას არასრულწლოვანთა ფსიქიკური და მორალურის განვითარების დაცვისკენ მოუწოდებს მთავრობებს და ურჩევს შეზღუდოს ისეთი

გადაცემები, რომლებიც ასაკობრივად შეუფერებელ და არალეგალურ თემატიკას შეიცავს.

საქართველოში ევროპის საბჭოს რეკომენდაციებისა და საზღვარგარეთული გამოცდილების საფუძველზე არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონი შეიმუშავეს (მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, 2001), რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც მოიცავდა, ასევე შეიქმნა სპეციალური ორგანიზაცია ახალგაზრდობის დეპარტამენტთან, რომელმაც არასრულწლოვანებისთვის შესაძლო მავნე ზემოქმედების მქონე მასალის დამდგენი კრიტერიუმები შეიმუშავა, მაგრამ ამ კანონის აღსრულების მექანიზმი არ იქნა ჩადებული კანონში, შესაბამისად ის არც ამოქმედებულა და ტელეეთერში მორალური ნორმების დაცვის კონტროლი არ ხდებოდა. შედეგად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადაიციმოდა ზნეობის სტანდარტებისათვის შეუსაბამო სცენები და ფილმები ძალადობისა და სხვა მავნე ზემოქმედების მქონე სცენებით. მედიაში პრაქტიკულად უგულებელყოფილი იყო ტრადიციული მენტალიტეტისა და რელიგიური ეთიკის პრინციპები. ამ პერიოდში რელიგიური ეთიკისა და ზნეობრივი სტანდარტების რეგულაციებსა და მედიის პრაქტიკაში გათვალისწინების ერთ-ერთ ინდიკატორად შეგვიძლია გამოვიყენოთ საქართველოს ეკლესიის მიერ მედიაში საზოგადოებრივი მორალის სტანდარტების დაცვის შეფასება.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის ეპისტოლეთა გაცნობა 1999 წლიდან ადასტურებს, რომ ქვეყნის მას-მედიაში ზნეობრივი ნორმების დაცვა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და საჭირობო საკითხი იყო. პატრიარქის სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული ეპისტოლეები ამ პრობლემის მნიშვნელოვანი ასპექტების ანალიზსა და შესაბამის რეკომენდაციებს შეიცავს, რაც ასახავს იმდროინდელ სიტუაციას როგორც ქართულ მაუწყებლობაში, ასევე შესაბამის კანონმდებლობაში.

პატრიარქის 1999 წლის საშობაო ეპისტოლეში ხაზგასმულია, რომ „ტელევიზიაში ეროტიკისა და ძალადობის ჩვენებამ პროპაგანდის სახე მიიღო“ (საშობაო ეპისტოლე, 1999, გვ. 123). იმავე პერიოდში პატრიარქი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტელევიზია უკვე გამოვიდა

ყოველგვარი კონტროლიდან და ათასგვარ გახრწნილებასა და უზნეობას აჩვენებს (სიტყვა სიონში, 2002, გვ. 318).

კანონის არსებობის მიუხედავად რამდენიმე წელიწადი ტელეეთერში ყოველგვარი რეგულირების გარეშე გადაიცემოდა ძალადობის, ბილწსიტყვაობის, სექსისა და ნარკოტიკების მოხმარების სცენები. 2003 წელს იქმნება მედიის მარეგულირებელი კანონმდებლობის ამოქმედების გარკვეული მექანიზმი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სახით. ევროპის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად საქართველოს კომუნიკაციის კომისიას მიენიჭა უფლებამოსილება დარღვევის შემთხვევაში დაუწესოს მაუწყებელს სანქციები არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის მიზნით (რეკომენდაცია REC(2000)23, 2000). დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს შეეძლო მიემართა კომუნიკაციების კომისიისათვის და დადასტურების შემთხვევაში ტელეკომპანიას დეკლარაცია უნდა გაეკეთებინა ამ დარღვევის შესახებ ეთერის საუკეთესო დროს. ეს კი მედიაში ზნეობრივი და ასაკობრივი სტანდარტების ჩამოყალიბების პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნებოდა, რაც მთავარია, საზოგადოებაში წარმართებოდა დისკუსია ზნეობრივი ნორმების შესახებ, რაც საზოგადოებრივი მორალის სტანდარტების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების უმთავრესი კომპონენტი.

როცა ამოქმედდა კანონი და რამდენიმე ტელეარხი კომუნიკაციების კომისიამ გააფრთხილა არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონის დარღვევის გამო და დააჯარიმა ორი არხი (გადაწყვეტილება # 218, 2004; #180, 2005; #775, 2005), ტელეკომპანიათა უმეტესობას მოუწია დღის ეთერის შესავსებად დამატებითი თანხების გაღება, 2005 წლიდან იწყება კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა მაუწყებლებისთვის ნაკლებ შემზღვეველი პირობების შექმნის მიზნით. კანონმდებლობაში ცვლილებები, უპირველესად, არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონის შეჩერებაში გამოიხატა 2005 წელს სამაუწყებლო ქცევის კოდექსის მიღების საბაზით. შემდეგ გააუქმეს ცენტრი ახალგაზრდობის დეპარტამენტში, რომელიც მხატვრული ფილმების ასაკობრივ კლასიფიკაციას ახდენდა,

კომუნიკაციების ეროვნული კომისია 2006 წლიდან უკვე უარს ამბობს როგორც მოქალაქეთა საჩივრების განხილვაზე, ასევე სატელევიზიო ეთერში არასრულწლოვანთა დაცვის ღონისძიებათა უზრუნველყოფაზე (გადაწყვეტილება #115, 2006) სამაუწყებლო კოდექსის მიღებამდე. მაუწყებლები რომ გაეთავისუფლებინათ დაჯარიმების საფრთხისგან, საქართველოს პარლამენტმა მაუწყებლობის კანონში ცვლილებით აკრძალა 2006 წელს მაუწყებლის გადაცემაზე საჩივრის შეტანა სასამართლოსა და ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში. ეს ზომა სასამართლოში მიმართვის უფლების შეზღუდვას და ანტიკონსტიტუციურ ქმედებას წარმოადგენდა. როგორც ვხედავთ, საქართველოში კანონი, რომელიც დაიცავდა არასრულწლოვნებს ტელემედიაში ფსიქიკურ და მორალურ განვითარებაზე მავნე ზემოქმედების მასალისგან პრაქტიკულად არც ამოქმედებულა.

როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივი მორალის დაცვის ევროპული სტანდარტების არაღიარება ხელისუფლების პრინციპული პოზიციისა და ნეოლიბერალური იდეოლოგიის გამოვლინებას წარმოადგენს, რადგან მიზნად ისახავს კომერციული მედია-ორგანიზაციების მაქსიმალური თავისუფლების უზრუნველყოფას, სახელმწიფოს ჩარევაზე უარის თქმას, საბოლოოდ შედეგად გვამღევეს მოსახლეობის კულტურულ-ფსიქოლოგიურ თავისებურებათა, არასრულწლოვანთა ინტერესების იგნორირებას, რაც მთავარია, საფრთხეს უქმნის არასრულწლოვანთა ფსიქიკურ და მორალურ განვითარებას და წესრიგს საზოგადოებაში.

სამაუწყებლო კოდექსის მიღება კი 2009 წლამდე გაჭიანურდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არასრულწლოვანთათვის შეუფერებელი მასალა ტელეეთერში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადაიცემოდა, ამასთან ერთად არ მოქმედებდა მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, აკრძალული იყო ტელეგადაცემებზე საჩივრის წარდგენა ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასამართლოში.

2009 წლიდან სამაუწყებლო კოდექსის მიღებით დამკვიდრდა ვიდეოპროდუქციის შეფასების ახალი კრიტერიუმები, რომლებიც 2002 წელს ჩამოყალიბებული სტანდარტებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მაუწყებელთა ქცევის კოდექსმა პრაქტიკულად ახალი

ზნეობრივი სტანდარტები ჩამოაყალიბა. ამ სტანდარტებით, საქართველო იშვიათი გამონაკლისად გვევლინება ევროპის ქვეყნებს შორის, რადგან სიშიშვლე სატელევიზიო ეთერში კანონმდებლობით არ არის შეზღუდული და ბილწსიტყვაობა ხშირად გადაიცემა. ეთერში სიშიშვლედ სასქესო ორგანოები მხოლოდ სექსუალურ კონტექსტში მიიჩნევა (სამაუწყებლო კოდექსი, 2009, მუხლი 5, ც) ქვეპუნქტი.). 2001 წლის კრიტერიუმებში შიშველი სხეულის განმარტება მოიცავდა იგივე სტანდარტებს, რაც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებშია აღიარებული და სექსუალური კონტექსტი არ იყო მთავარი განმსაზღვრელი. დაშვებული გახდა შეურაცხმყოფელი ლექსიკის ტრანსლირება პროგრამის კონტექსტიდან გამომდინარე, რაც ნიშნავს, რომ თუ სიუჟეტი შინაარსობრივად გულისხმობს ბილწსიტყვაობას, მაშინ ის დასაშვები ხდება.

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელშიც დაშვებულია ძალადობის სცენების, გვამებისა და დაჭრილი ადამიანების ჩვენება ეთერში 15 წამის ხანგრძლივობით (სამაუწყებლო კოდექსი, 2009, მუხლი 45, პუნქტი 1, ე) და ზ) ქვეპუნქტები; მუხლი 56, პუნქტი 4). ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო დასკვნა, რომლის მიხედვით:

“სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით, 15 წამი არის აღქმული ინფორმაციის გააზრების საჭირო დროის მაქსიმუმი. ამდენად, აღნიშნული მასალის ვიზუალური დემონსტრირება ამ დროის ფარგლებში, ნაკლები საფრთხის შემცველია აუდიტორიაზე ნეგატიური ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით (NLP, პერლზი, შტაინერი)” (ფსიქოლოგიური დასკვნა, 2008).

ეს დასკვნა ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და თერაპევტთა ასოციაციამ შეადგინა კომუნიკაციების კომისიის შეკვეთით 2008 წელს. ის მცდარია, რადგან 15 წამი წარმოადგენს ვიდეორგოლის ოპტიმალურ ხანგრძლივობას, რათა რეკლამას საუკეთესო ზეგავლენა ჰქონდეს (Hegner S., 2015). მეცნიერული კვლევის გარეშეც ნათელია, რომ თუ ბავშვმა დაინახა ძალადობის სცენა, რისთვისაც წამის მეთედებიც კი საკმარისია, ისიც ზეგავლენას მოახდენს მასზე. პრაქტიკულად საშინელებათა ფილმებშიც კი არ გრძელდება ძალადობის სცენები 15 წამი, საქართველოს მაუწყებელთა კოდექსი კი აწესებს სტანდარტს,

რომელიც იდეალურ პირობებს ქმნის, მაგალითად, ძალადობის სცენის აღქმისათვის. ფსიქოლოგიური კვლევა აჩვენებს, რომ ძალადობის ასეთმა ჩვენებამ სხვისი ტანჯვისადმი მგრძობელობის დაქვეითება და ახალგაზრდობაში სისასტიკის ჩამოყალიბება შეიძლება გამოიწვიოს (Groves, C. L., Prot, S., & Anderson, C. A. 2016).

დასკვნა მაშინვე გააპროტესტა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ და რამდენიმე რელიგიურმა ორგანიზაციამ (მჭედლიძე დ, 2008), შემდეგი 6 თვის განმავლობაში არცერთ უფლებადამცველ და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციას არ გამოუთქვამს პროტესტი ამ დასკვნის გამო, და 2009 წლის მარტში სამაუწყებლო კოდექსი დაამტკიცეს 15 წამიანი პრინციპის შეუცვლელად (მაუწყებელთა ქვევის კოდექსი, 2009). არასამთავრობო სექტორის მიერ ასეთი ინდიფერენტულობა ბავშვთა დაცვის საკითხებისადმი ადასტურებს ამ სფეროში ნეოლიბერალური იდეოლოგიის დომინირებას მესამე სექტორის საქმიანობაში.

აქ აშკარად ჩანს მაუწყებელთა კომერციული ინტერესების რეალიზაცია, რაც დამაზიანებელია არასრულწლოვანებისთვის. როგორც ვხედავთ, პრიორიტეტული კომუნიკაციების კომისიისთვის არა საზოგადოებრივი ინტერესი (მცირეწლოვანთა დაცვა), არამედ ბიზნესისთვის მინიმალური შეზღუდვის დაწესებაა.

სასამართლოში მიმართვის აკრძალვის საკომპენსაციოდ 2009 წელს კომუნიკაციების კომისიამ სატელევიზიო გადაცემის სასამართლოში გასაჩივრების იმიტაცია თვითონ ტელეკომპანიებში შექმნა: გადაცემა მხოლოდ ტელეკომპანიაში შეიძლება გასაჩივრდეს ორ ეტაპად: ეგრეთ წოდებულ “თვითრეგულირების ორგანოში”, რომლის გადაწყვეტილება ისევ ტელეკომპანიასთან არსებულ სააპელაციო ორგანოში უნდა გასაჩივრდეს. საქართველოში ტელეკომპანიები უკვე სასამართლოს ყველა ინსტანციის - სააპელაციო და უზენაესი ინსტანციების ფუნქციებს ითავსებენ. საჩივრებს მაუწყებელთან არსებული სააპელაციო ორგანოები უმეტესად არც განიხილავს, რადგან მომხმარებელი ვერ ასაბუთებს მისი არასრულწლოვანი შვილისთვის ასაკობრივად შეუფერებელი გადაცემის შედეგად მიყენებულ პირდაპირ მორალურ ზიანს. გასაჩივრების პროცესს ისიც აფერხებს,

რომ ორეტაპიანი განხილვის პროცესი ხანგრძლივია - 45 დღეს მოიცავს, ხოლო სააპელაციო ორგანოს პასუხის გასაჩივრება კი აკრძალულია.

გასაჩივრების ეს სქემა თვითრეგულირების ევროპული მოდელის ჩანაცვლებას წარმოადგენს, მაგრამ არსებითად განსხვავებულია ევროპულისგან, რადგან ევროპაში სხვადასხვა ტელეკომპანიები ერთიანდებიან და ქმნიან დარგობრივ ერთობლივ თვითრეგულირების ორგანოებს საერთო წესების დასადგენად, საჩივრების განსახილველად. ასეთი თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილება ევროპაში შეიძლება სასამართლოში გასაჩივრდეს.

როგორც ვხედავთ, წლების განმავლობაში საქართველოში კულტურული თავისებურებებთან, რელიგიურ, ტრადიციულ ეთიკასთან, მენტალიტეტთან შეუთავსებელი პოლიტიკა ტარდება, რომელიც ასევე წინააღმდეგობაშია საერთაშორისო და ევროპულ სამაუწყებლო სამართლებრივ სტანდარტებსა და რეკომენდაციებთან, ხოლო საზოგადოებრივი ინტერესი, მცირეწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვა იგნორირებულია.

მედიის რეგულირებაში ევროპულ პრაქტიკასა და საქართველოს შორის განსხვავებების თვალსაჩინო მაგალითს იძლევა შემდეგი შემთხვევა, რომელიც ერთი და იგივე სატელევიზიო შოუში მსგავსი დარღვევების მიმართ განსხვავებულ მიდგომას აჩვენებს საქართველოს და საბერძნეთის ხელისუფლების მიერ. საბერძნეთში დამოუკიდებელმა მარეგულირებელმა ორგანომ სულ 230 ათასი ევროთი დააჯარიმა ტელეკომპანია გადაცემა „სიმართლის დროში“ დასმული რამდენიმე შეკითხვისთვის: პირველ სიუჟეტში სიდედრს ჰკითხეს ქალიშვილისა და სიძის თანდასწრებით „ისურვებდა თუ არა უფრო მდიდარ სიმეს“, შემდეგი დაჯარიმება გამოიწვია შეკითხვამ „დაწოლილხართ თუ არა ქალთან და კაცთან ერთდროულად“ და შეკითხვამ „გქონიათ სექსი ფულის გამო“; ხოლო როდესაც შემდეგ გადაცემაში მამაკაცმა აღიარა, რომ მისი დის პარტნიორზე ჰქონდა სექსუალური ფანტაზიები, ამას კი საერთოდ გადაცემის დახურვა მოჰყვა საბერძნეთის კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის დადგენილებით (Robinson J., 2009). საბერძნეთის მარეგულირებელმა კომისიამ კანონმდებლობის დარღვევად ჩათვალა ასეთი გადაცემები, რადგან ტელეარხი საზოგადოების წევრებს წაახალისებდა იმ მიზნით,

რომ ჯილდო მიეღოთ "საკუთარი თავის დამცირებისათვის", ისე, რომ "არ ზრუნავდა, თუ რა გავლენს მოახდენდა ასეთი გადაცემა მოთამაშეთა წესიერებასა და მათი ოჯახების სოციალურ ცხოვრებაზე".

თავის განაჩენში საბერძნეთის მარეგულირებელი კომისია მიუთითებდა, რომ ის ეყრდნობოდა სამაუწყებლო რეგულაციებს, რომლებიც ავალდებულებს ტელეარხებს "უზრუნველყონ ტელევიზიის სოციალური მისიით ნაკარნახევი ხარისხის დონე, ქვეყნის კულტურული განვითარების ამოცანა და ადამიანის ღირებულების პატივისცემა".

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეკითხვები საბერძნეთში ტელეეთერში მხოლოდ ერთხელ გადაიცა, როდესაც საქართველოში ანალოგიური გადაცემის „სიმართლის დრო“ სარეკლამო კლიპებში დღის საათებში 2 წლის განმავლობაში ნახევარ საათში ერთხელ გადაიცემოდა საბერძნეთის მაგალითთან შედარებით ბევრად უფრო მწვავე და სენსაციური შეკითხვები, კერძოდ: „თქვენს ახლო ნათესავ ქალთან გქონიათ ინტიმური ურთიერთობა?“ (გადაცემა „სიმართლის დრო“, ა)ლელა იაშვილი, 2010). და „გქონდათ თუ არა ჯგუფური სექსი ცნობილ ადამიანებთან“ (გადაცემა „სიმართლის დრო“, 2010, ბ)მულატკა) მსგავსი კითხვები, რომლებსაც მოჰყვებოდა ხოლმე დამსწრეთა ტაში, რაც მაყურებლის მიერ საქციელის მოწონებად აღიქმებოდა. საჩივრები ამ გადაცემების გამო წარდგენილი იყო ტელეკომპანიის თვითრეგულირებისა და სააპელაციო ორგანოში, ეროვნულ კომუნიკაციების კომისიასა და სასამართლოში, ამას არც განხილვა და არც რეაგირება არ მოჰყოლია სახელმწიფო ორგანიზაციებისა თუ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოსგან.

საქართველოს მას-მედიაში ზნეობრივი ნორმების უგულვებელყოფას კიდევ მოჰყვა ფიზიკური დაპირისპირება, რომლის მსგავსი დაპირისპირების ასარიდებლად სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ თავის დროზე მიიჩნია გამართლებულად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და უზნეობისგან დაცვის სტანდარტიც დაამკვიდრა (Otto Preminger Institute v. Austria, 1994). 2010 წელს, როდესაც ბავშვებისთვის ასაკობრივად შეუფერებელი და აშკარად მკრეხელური სათაურის მქონე (მორწმუნე ადამიანისთვის უხამსი ანალოგია საიდუმლო სერობასთან) წიგნის უხამსი ნაწყვეტების

შემცველი სარეკლამო სიუჟეტი ტელეკომპანია „მზის“ საბავშვო გადაცემაში გადაიცა, როგორც მასალა ორიგინალური, აქტუალური და ჭეშმარიტი ქართველისთვის აუცილებლად წასაკითხი ნაწარმოების შესახებ. საყურადღებოა, რომ ამ რეკომენდაციის ტექსტს გადაცემის არასრულწლოვანი წამყვანი კითხულობდა (ჩვენი ექსპრესი, 2010). ამან საზოგადოებაში ფიზიკური დაპირისპირებაც კი გამოიწვია და აშკარა გახდა სამართლებრივი მექანიზმების საჭიროება, რომლებიც დაარეგულირებდა მსგავს სიტუაციებს დაპირისპირების საფრთხის გაჩენამდე.

შექმნილმა ვითარებამ კიდევ ერთხელ აჩვენა კანონმდებლობაში ღია ადგილების შევსების საჭიროება. მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქომ წამოაყენა უხამსობისა და რელიგიური შეურაცხყოფისგან დაცვის კანონის მიღების წინადადება. (საპატრიარქოს განცხადება, 15 მაისი, 2010), მაგრამ ამ განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია.

საყურადღებოა, რომ მოგვიანებით ტელეკომპანია “იმედმა” მაყურებელს გადაცემა “სიმართლის დროს” ანონსებში, რომელიც იმავე წიგნის ავტორს ეძღვნებოდა, 15 წლის გოგონებთან ორგიების შესახებ შეკითხვები შესთავაზა. წიგნის ავტორმა დეისაძემ გადაცემაში „სიმართლის დრო“ მიუთითა, რომ მოზარდებს მის წიგნში დაამახსოვრდებათ მხოლოდ პორნოგრაფია და სექსი, ამასთან დეისაძეს თავის მკითხველად 15 წლის გოგონები ჰყავდა წარმოდგენილი რომლებიც მასთან სექსუალურ ურთიერთობას დათანხმდებოდნენ მშობლების დაუკითხავად (გადაცემა “სიმართლის დრო”, ერეკლე დეისაძე, 2010),

როგორც ვხედავთ, საქართველოში სიტყვის თავისუფლების დაცვის და ამერიკულ მოდელთან მიახლოების საბაზით თანარეგულირების ევროპული პრაქტიკის უგულვებელყოფა ხდება იმ მიზნით, რომ მედიის კომერციულ ინტერესებს სრული თავისუფლება ჰქონდეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯარიმების 10-ჯერ გაზრდა 2006 წლიდან, მაუწყებლობაში ბლოკირების მექანიზმებისა და დროში გადავადების სისტემების დანერგვა აჩვენებს საჯარო ინტერესისა და ზნეობრივი სტანდარტების დაცვის პრიორიტეტულ ღირებულებას

გამოხატვის ღირებულებასთან მიმართებაში, ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში იმავე პერიოდიდან საპირისპირო პროცესი აღინიშნება. სანქციები დარღვევებისთვის მავნე ზემოქმედებისგან არასრულწლოვანთა დაცვის სფეროში საერთოდ გაუქმდა და სასამართლოში ზნეობის საკითხებზე ჯერ მიმართვა, შემდეგ კი დისკუსიაც აიკრძალა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით

ამრიგად, რეგულირების ღონისძიებათა ცვლილება საქართველოში მედიის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით აჩვენებს უკიდურეს გადახრას უნივერსალისტური და ინდივიდუალისტური კულტურების პრაქტიკისკენ, რომელიც ამავე დროს შერწყმულია სახელმწიფოს ჩართულობის გაუქმებასა და სრული თვითრეგულირების დანერგვასთან, რაც საბოლოოდ საზოგადოებრივი ინტერესიას უგულბელყოფას იძლევა. საზოგადოებრივი მორალის, როგორც ლეგიტიმური მიზანის აღიარება კი აღიქმება როგორც მედიის თავისუფლების საფრთხე.

ახალი ეტაპი მედიის შინაარსობრივი რეგულირების შესახებ დისკუსიაში. საქართველოში ნეოლიბერალური იდეოლოგიის სიძლიერის დამადასტურებელია, რომ უკვე 15 წელია საქართველოში არც სახელმწიფოს სასამართლოს საშუალებით და არც სახელმწიფოს დავალებით შერჩეულ დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს - კომუნიკაციების კომისიას არ შეუძლია ჩაერიოს მაუწყებლობის შინაარსობრივ რეგულირებაში და მოახდინოს ზნეობრივი სტანდარტების დაცვა.

საქართველოში სამაუწყებლო მედიის შინაარსობრივი რეგულირების საკითხები მხოლოდ მაუწყებლების თვითრეგულირებას არის მინდობილი, როდესაც სხვა ქვეყნებში მოქმედებს სახელმწიფო რეგულირება ან თანარეგულირება სახელმწიფოს ჩარევით იმ შემთხვევაში, თუ თვითრეგულირება არაეფექტურია.

2014 წლიდან ევროკავშირთან ასოცირების პროგრამის ფარგლებში საქართველომ ახალი ვალდებულებები აიღო მაუწყებლობის სფეროს რეგულირების სფეროში, რომელთა მოგვარება კომუნიკაციების კომისიას დაევალა. ევროპის საბჭო ევროპულ

კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით ითხოვს საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც მცირეწლოვანთა ფსიქოლოგიური და მორალური განვითარების დაცვისთვის აუცილებელია.

2014 წლიდან ეროვნული კომუნიკაციების კომისიის მომხმარებელთა უფლებების დამცველი ყოველ წლიურ ანგარიშებში (მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის საქმიანობის ანგარიშები, 2014, 2015, 2016, 2017), ხოლო 2018 წლიდან კომუნიკაციების კომისიაც აქტიურად მოითხოვს ცვლილებას მაუწყებლობის კანონში, რომ მარეგულირებელ ორგანოს შეეძლოს რეგულირებაში მონაწილეობის მიღება და სანქციების დაკისრება დარღვევის შემთხვევაში, რადგან თვითრეგულირების მექანიზმი არაეფექტურია (კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის ანგარიში, 2019, გვ.46). საკითხის სიმწვავე უპირატესად იმით არის განპირობებული, რომ საქართველო ევროპულ სივრცეში გაერთიანებასთან დაკავშირებით გარკვეულ ვალდებულებებს იღებს, რაც პირველ რიგში ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას გულისხმობს, იგივეს მოითხოვს ევროპის საბჭოს დირექტივაც, რასაც კომუნიკაციის კომისიის შეკვეთით ჩატარებული საერთაშორისო აუდიტის დასკვნაც მეტყველებს (Gap Analysis, 2019:30).

მარეგულირებელი კომისიისა და მედიის უფლებათა დამცველთა შორის კამათში სამაუწყებლო მედიის თვითრეგულირების შენარჩუნების მომხრეთა ერთ-ერთ მთავარ არგუმენტს წარმოადგენს, რომ გამოხატვის თავისუფლებას საქართველოში საფრთხე ემუქრება, სახეზეა უკუსვლა, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეგულირება, მედიის კონტენტში ჩარევა პირდაპირი ცენზურის საფრთხეს ნიშნავს (ქავთარაძე, 2019).

სატელევიზიო სივრცეში დღესაც გრძელდება არასრულწლოვანთათვის შეუფერებელი მასალის ჩვენება, რადგან გაუქმებულია რეგულირების მთავარი მექანიზმი – ჯარიმები დარღვევებისთვის, აკრძალულია არასრულწლოვანებზე მავნე ზემოქმედების მქონე სცენების ჩვენების გასაჩივრება ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში გარდა უშუალოდ ტელეკომპანიისა, ტელეკომპანიები კი წარდგენილ საჩივრებს არ განიხილავენ, რადგან

წარმდგენმა პირებმა უნდა დაადასტურონ გადაცემის შედეგად მიღებული ზიანი, ამ წესის შეცვლას მოითხოვს არასამთავრობო სექტორის ნაწილიც (ქავთარაძე, 2019).

უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლიდან საქართველოში განახლდა ყოველკვირეული გადაცემა „სიმართლის დრო“, რომლის ანალოგი საბერძნეთში საერთოდ გაუქმდა, რადგან გადაცემის კონცეფცია ზნეობრივი სტანდარტების საწინააღმდეგოდ იქნა მიჩნეული, ისევე აღდგენილ იქნა „სიცრუის დეტექტორის“ სახელწოდებით და მისი სარეკლამო კლიპები ისევე გადაიცემა დღის საათებში.

ადრე თუ საეკლესიო მრევლის რამდენიმე ჯგუფი საჯაროდ გამოხატავდა პროტესტს ტელემედიაში ზნეობის ნორმების დარღვევის გამო, ახლა ქართველი მაყურებელი უკვე იშვიათად გამოხატავს პროტესტს საჯაროდ და შეგუებულია აზრს, რომ ტელევიზიის კომერციულ ინტერესებს საზოგადოებრივი ინტერესი უნდა შეეწიროს და აღარც რეაგირებს იმაზე, რაც სხვა ქვეყნებში აღშფოთებას იწვევს.

საზღვარგარეთ ხშირ შემთხვევაში სწორედ სასამართლოში გრძელდება პროცესები მაუწყებლობისას ზნეობის ნორმების დარღვევაზე, რაც დასავლეთის განვითარებულ დემოკრატიებში განაპირობებს ზნეობრივი კრიტერიუმების მუდმივ დაზუსტებას, განმარტებასა და განახლებას.

კონსტიტუციაში მორალის, როგორც ლეგიტიმური მიზნის არდაფიქსირება მიზანმიმართულ ქმედებად და ხელისუფლების ულტრალიბერალურ მიდგომის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკამ მედიის თავისუფლებისთვის მაქსიმალური თავისუფლების მინიჭების მიზნით თანარეგულირებიდან წმინდა თვითრეგულირებაზე გადასვლა განაპირობა. ზოგადად საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვას ნაკლები პრიორიტეტი ენიჭება ვიდრე ბიზნესის კომერციულ ინტერესებს. ამას ასევე ადასტურებს მომხმარებელთა უფლებების კანონის გაუქმება 2012 წლიდან.

2019 წელს მომზადებული ბავშვის უფლებათა დაცვის კოდექსის და მისი თანმხლები ცვლილებების შედეგად მაუწყებლობის შესახებ კანონში ჩაიწერა კომისიისთვის მიმართვის უფლება, რომელიც 2020 წლის 1 ივნისიდან უნდა ამოქმედდეს. თუმცა მედია ექსპერტები

აქტიურად აპროტესტებენ ამ ცვლილებებს და კომუნიკაციების კომისია ისევ აგრძელებს დისკუსიას თვითრეგულირების შესახებ. კომუნიკაციების კომისიამ კითხვითაც კი მიმართა ევროპის საბჭოს შეიძლება თუ არა შენარჩუნდეს თვითრეგულირების სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა ევროპელი ექსპერტების ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დასკვნა სახელმწიფო რეგულირების შემოღების მოთხოვნით.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაუწყებელთა ქცევის კოდექსი არ არის შესაბამისობაში მაუწყებლობის კანონის ახალ ცვლილებებთან, რადგან არასრულწლოვანებზე მავნე ზემოქმედების კრიტერიუმების დადგენის ახალი კრიტერიუმები არ არის შეთანხმებული მაუწყებელთა ქცევის კოდექსთან.

ზემოთ აღწერილი 15 წამის მცდარი პრინციპი ისევ რჩება მაუწყებელთა ქცევის კოდექსში, მაუწყებლობის კანონში ისევ რჩება „დაინტერესებული პირის“ კრიტერიუმი, როდესაც მოქალაქემ უნდა დაასაბუთოს მაუწყებლის გადაცემის შედეგად მიღებული პირდაპირი და უშუალო მავნე ზეგავლენა მის კანონიერ ინტერესზე, რათა მისი საჩივარი განხილული იქნეს მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოსა ან კომისიის მიერ. მსგავსი მოთხოვნა მოქალაქის უფლების შეზღუდვას წარმოადგენს, ევროპელი ექსპერტებიც ადასტურებენ მსგავსი მოთხოვნის არარსებობას მათ ქვეყნებში (მჭედლიძე დ. 2011).

როგორც ვხედავთ, ნეოლიბერალური პოლიტიკის გავლენა საკმაოდ ძლიერია მედიის რეგულირების საკითხში, შინაარსობრივი რეგულირების მთავარი პრინციპები ექვემდებარება ნეოლიბერალურ თვითრეგულირებას და მედიის თავისუფლების პრინციპს უპირატესობა ენიჭება. გავცნოთ თუ რამდენად დომინირებს ნეოლიბერალური იდეოლოგია მედიის დისკურსში.

თავი 5. ქართული მედია მაუწყებლობის შინაარსობრივი რეგულირების შესახებ: დისკურსის კრიტიკული ანალიზი

ნეოლიბერალური იდეოლოგიის კვლევით დაინტერესებული ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ სოციალური ფსიქოლოგიის უპირველესი ამოცანა არის კვლევა, თუ რა ტიპის იდეოლოგიური თვალსაზრისებია დომინანტური მას-მედიაში (Nafstad H. Blakar R., 2012). მედია დისკურსი განსაკუთრებით მოსახერხებლად ითვლება ძალაუფლებისა და იდეოლოგიის შესასწავლად (Fairclough, 1995), რადგან მას-მედია თანამედროვე საზოგადოებაში ფუნქციონირებს, როგორც საზრისის წარმოების მთავარი მექანიზმი (Hermans & Kempen, 1998). მედია ხშირად იმ ფასეულობების რეპროდუცირებას ახდენს, რომელიც დომინანტურ, გაბატონებულ იდეოლოგიას ემყარება და ძალაუფლების მქონეთა აგენტად შეიძლება იქნეს განხილული (Croteau & Hoynes, 2014).

დისკურსის კრიტიკული ანალიზის მიზანია საზოგადოებაში დომინანტური იდეოლოგიის კვლევა, რათა გაირკვეს, თუ რა მექანიზმები განაპირობებს მის დომინანტობას და გააკრიტიკოს ეს მექანიზმები. განსაკუთრებით საყურადღებოა ეს მეთოდი იმ თვალსაზრისით, რომ ის იძლევა ფარული საზრისების გამოვლენის შესაძლებლობას ტექსტში.

დისკურსის მკვლევარები იდეოლოგიას ხედავენ როგორც საზოგადოების კონსტრუირებისა და რეპრეზენტაციის გარკვეულ მეთოდებს, რომლებიც ქმნის ძალაუფლების, დომინირებისა და ექსპლუატაციის არათანაბარ ურთიერთმიმართებებს. იდეოლოგია დისკურსის მეშვეობით აწესებს ნორმებს (Fairclough, Mulderrig, Wodak 2011, 371), იდეოლოგია ჩაქსოვილია ტექსტში და იდეოლოგია უკავშირდება არა მარტო სოციალური რეალობის რეპრეზენტაციას, არამედ იდენტობების კონსტრუირებასაც (van Dijk 2011, 372). ადამიანები იდეოლოგიების ზეგავლენით ქმნიან იდენტობებს, ემორჩილებიან რა მათ, მაგრამ ამავე დროს იდეოლოგიები თავად განიცდიან გარდაქმნას ინდივიდების ან ინდივიდთა ჯგუფების მიერ.

კრიტიკული დისკურსის ანალიზი არის დისკურსის ანალიტიკური კვლევა, რომელიც სწავლობს თუ როგორ ხდება

კონტროლი და მანიპულირება იმ მიზნით, რომ მოხდეს სოციალური კოგნიციის დეტერმინირება, სოციალური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და უთანასწორობის ჩამოყალიბება, რეპროდუქცია, ლეგიტიმაცია და წინააღმდეგობის გაწევა ტექსტსა და საუბარში სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტებში (Van Dijk, 2012). იდეოლოგია დისკურსის საშუალებით გადაიცემა, დომინანტური ჯგუფები ამიტომ ცდილობენ გააკონტროლონ დისკურსი (van Dijk, 1998, p. 76).

როდესაც დომინანტური იდეოლოგია ჰეგემონურ სტატუსს აღწევს, მისი ძირითადი დებულებები იქცევა საღ აზრად, ნატურალიზდება და დეპოლიტიზებული ხდება დისკურსის გზით (Fairclough, 2003). შემდეგ ადამიანები მოქმედებენ იდეოლოგიის შესაბამისად, და ჰგონიან, რომ ისინი მოქმედებენ თავიანთი სარგებლისთვის, იმავდროულად, ძირითადად, ელიტის სასარგებლოდ მოქმედებენ. ეს არის ზეწოლის ყველაზე ეფექტური ფორმა და განსაკუთრებით ძნელი დასარღვევად, რადგან ჩაგრულები დადებით იდენტიფიკაციას ახდენენ მათი ჩაგვრის მიზეზთან. დისკურსის კრიტიკული ანალიზის საბოლოო მიზანია იდეოლოგიისა და ძალაუფლების დემისტიფიკაცია სემიოტიკური მონაცემების სისტემატური ანალიზით (Wodak & Meyer, 2009, p. 3).

იდეოლოგიური მიდგომების წამყვანი ფსიქოლოგიური ფუნქცია არა მხოლოდ იმაშია, რომ შექმნას და ახსნას იდეები, არამედ დაასაბუთოს სტატუს-კვო და უზრუნველყოს ოპოზიციური ხმების სიჩუმე (Jost, Burgess, & Mosso, 2001; Prilleltensky, 1994). დისკურსის გამოყენებით კონტროლის და მანიპულირების ცდების ანალიზი იმ მიზნით, რომ სოციალური კოგნიციის დეტერმინირება მოახდინოს, წარმოადგენს დისკურს-ანალიზის ზოგიერთი ფორმის ძირითად შინაარსს (van Dijk, 2008). საზრისები, ინტერპრეტაციები, გაგება და წარმოსახვები ენის პროდუქტებს წარმოადგენს. დისკურსი არის აღქმებისა და იდეების ერთობლიობა, “რომლის მეშვეობითაც მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ და ფიზიკურ ფენომენს და რომელიც იქმნება და მრავლდება პრაქტიკის იდენტიფიცირებადი გზით”. ვან დეიკმა (2000) ბრიტანეთის საპარლამენტო დებატების დისკურსის კრიტიკული ანალიზით აჩვენა, თუ როგორ იყენებენ კანონმდებლები

ძალაუფლებას თავიანთი ინტერესების მხარდასაჭერად. ასევე ნორვეგიული მედიის დისკურს-ანალიზმა აჩვენა, რომ ინდივიდუალიზმი იზრდება კოლექტივისტური ღირებულებების ხარჯზე (Nafstad's et al., 2007).

ვან დეიკის (1997) განმარტებით დისკურს-ანალიზი მრავალფენიანია. პირველი, დისკურსი აღწერილია სინტაქსურ, სემანტიკურ, სტილისტურ და რიტორიკულ დონეზე. მეორე, ვან დეიკი განიხილავს დისკურსს მეტყველების წარმოების, მიღებისა და გაგების პროცესების თვალსაზრისით. მესამე - და, ალბათ, რაც ყველაზე აქტუალურია ჩვენს ანალიზთან დაკავშირებით - ვან დეიკი მიუთითებს დისკურსის სოციალურ განზომილებას. კერძოდ, იგი ახასიათებს დისკურსს, როგორც საზოგადოებაში განხორციელებული კონტექსტუალიზირებული, კონტროლირებადი და მიზანდასახული მოქმედებების თანამიმდევრობას (Hidalgo Tenorio, 2011). ნარატივები, მითები, ანალოგიები, სიმართლის იდეალიზებული ვერსიები და განზოგადებები იმ დისკურსულ საშუალებათა შორისაა, რომლებიც ხელს უწყობენ პოლიტიკის ფორმირებას.

ტოპოი ანუ დისკურსის დროს გაკეთებული სტანდარტული არგუმენტები წარმოადგენს წინაპირობებს, რომლებიც განიხილება როგორც დასკვნის მიღების აშკარა და საკმარისი მიზეზები. ამ კონცეფციის გაფართოებაა მტკიცება, რომ "ძალაუფლების ლოკუსი" არის "საერთო მნიშვნელობის სისტემები, რომლებიც აძლიერებენ მეინსტრიმულ იდეებს" (Fletcher, 1999, p. 17). საკანონმდებლო დებატების ფარგლებში, დისკურს ანალიზი ხაზს უსვამს იმ პროცესს, რომლის საშუალებითაც უფრო ძლიერ ჯგუფს შეუძლია განსაზღვროს შედეგი და, შემდგომში, გავლენის პოლიტიკა.

როგორც კრიტიკული დისკურსის მკვლევარები აღნიშნავენ, ძალაუფლების გამოყენების ერთ-ერთი გზაა კონტექსტის კონტროლი. როდესაც ნაკლებად ძლიერი ჯგუფი გამოირიცხება წვდომის ან კონტექსტური სტრუქტურებისგან, შედეგად ვიღებთ "დისკურსის დომინირებას" [Van Dijk, 1993, p. 260]. კერძოდ, ხდება ზოგიერთი საპირისპირო თვალსაზრისის ცენზურა, მოწინააღმდეგეთა გარკვეული მოსაზრებები არასდროს ისმის, და კონკრეტული პერსპექტივები უგულებელყოფილია. პოლიტიკოსები, სატელევიზიო მაუწყებლები

საკუთარი ინტერესების დასაცავად შეიძლება იყენებდნენ ინფორმაციულ საშუალებებს იმ პოლიტიკის გასამართლებლად, რომელსაც ისინი აწარმოებენ .

დისკურს-ანალიზში თემატური ჩარჩოების მოძიება მოსახერხებელი მიდგომაა ბლოგ-პოსტების, პრეს-რელიზების, ახალი ამბების სიმბოლური მნიშვნელობის დეკონსტრუქციისთვის, რომლებიც მიზნად პოლიტიკის ცვლილებას ისახავს. დისკურსული ჩარჩოები საკვანძო დასკვნებს გვაძლევს ტელეკომუნიკაციების ინდუსტრიისა და კანონმდებელთა პოლიტიკის შესახებ, თუ როგორ ახდენენ ისინი სიმბოლური ფრაზებისა და პოპულისტური მიზნების გამოყენებას პოლიტიკის ლეგიტიმაციის მიზნით. თემატურ ჩარჩოებს განსაზღვრავენ, როგორც „რწმენის, აღქმისა და შეფასების ფუძემდებლურ სტრუქტურებს“, რომლებიც "შერჩევით ყურადღებას ამახვილებენ კომპლექსური რეალობიდან რამდენიმე მნიშვნელოვან მახასიათებელსა და ურთიერთობაზე" (D. Schön and M. Rein, 1994).

მედიაში თემატური ჩარჩოები, როგორც წესი, ხშირად გამოიყენება რთული სტრატეგიების გამარტივებისა და კონკრეტული "რეალობის" სურათის დახატვის მიზნით და ისინი ავლენს დომინანტურ მესიჯებს, რომლებიც ფუნქციონირებს როგორც უთანასწორობის, გამორიცხვის, დომინირების და ძალაუფლების ფართო შახლონების ნაწილი (Braun, 2016). თემატური ჩარჩოების კვლევა აჩვენებს, რომ, მაგალითად, სატელეკომუნიკაციო ინდუსტრია აშშ-ში საკუთარი ინტერესების განმტკიცების მიზნით შეტყობინებათა ისეთ ჩარჩოებს ავრცელებს, რომლებიც რეალობას ამახინჯებენ (Schafer, 2017). ჩვენთვის საინტერესოა, ვიკვლიოთ რამდენად შეესაბამება მედიაში დომინირებული დისკურსები საქართველოს მოსახლეობის სოციოკულტურულ თავისებურებებს.

გავცნოთ თუ რა კომუნიკაციური სტრატეგიები გამოიყენება მედიის ტექსტებში შინაარსობრივ რეგულირებასთან დაკავშირებული პოლიტიკის მიმართებით. ამ მიზნით მიზანშეწონილია გავნიხილოთ ის პუბლიკაციები, რომელიც შეიცავს მაუწყებლობის კანონპროექტის განხილვაში მონაწილე სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელთა პოზიციას.

კვლევის დიზაინი. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ ჩამოყალიბდა სამი კვლევითი კითხვა:

1. დისკურსული პოლიტიკის რა თემატური ჩარჩოები გამოიყენება საქართველოში დაინტერესებული პირების მიერ მედიის რეგულირების საკითხების განხილვისას?
2. როგორ გამოიყენა სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიამ თავისი ძალაუფლების პოზიცია კონკრეტული პოლიტიკის განსამტკიცებლად და შესაბამისი დისკურსის ფორმირებისთვის?
3. რა გავლენას მოახდინეს და ახდენენ სამაუწყებლო ინდუსტრიის მიერ შექმნილი თემატური ჩარჩოები საკანონმდებლო ცვლილებებზე?

გაანალიზდა ტექსტები, რომლებშიც განხილული იყო მედიის რეგულირების პოლიტიკა კანონმდებლობის მიღებასთან დაკავშირებულ დისკუსიებში. იდეოლოგიური მიდგომების კვლევისათვის შეგროვებული იქნა პუბლიკაციები და მასალები სამაუწყებლო კანონისა და სამაუწყებლო კოდექსის შესახებ 1999 წლიდან, ამ ტექსტებში შედის პრეს – რელიზები, ბლოგ – პოსტები და სარედაქციო წერილები, კომუნიკაციების კომისიისა და კომუნიკაციების კომისიის მომხმარებელთა უფლებების დამცველის წლიური ანგარიშები. ძეზნისათვის ასევე გამოყენებულ იქნა საკვანძო სიტყვები „ზნეობის დაცვა“, „მას მედია და თვითრეგულირება“, „არასრულწლოვანთა დაცვა მავნე ზემოქმედებისგან“. შეგროვილი ტექსტები გაანალიზდა "თემატური პატერნების" განმეორებათა დასადგენად, დისკურსული წარმონაქმნებისა და მნიშვნელობათა სისტემის იდენტიფიცირებისთვის (Lemke, 1995).

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავდა კოდირებას თვითრეგულირების მომხრეთა მიერ დასახელებული ჩარჩოების მიხედვით. დისკურსები განიხილებოდა თითოეული წინადადებაში თანმიმდევრულად, შესაბამისი თემებისა და ფუნქციების კატეგორიზაცია მოხდა ტექსტის მიხედვით გამოვლენილი სატელეკომუნიკაციო რეგულირების უფრო ფართო დისკურსის ან ზოგადად, საზოგადოებაში არსებული კონტექსტის მიხედვით. ტექსტის რამოდენიმე დეტალური წაკითხვისა და შესაბამისი დისკურსების კოდირების შემდეგ, ხდებოდა დომინანტური თემების

გამოკვეთა. შემდეგი სექცია სიღრმისეულად განიხილავს თითოეულ დისკურსულ ჩარჩოს.

მედიის პუბლიკაციები ორ პერიოდად დაიყო: 2012 წლამდე და 2012 წლის შემდეგ, რადგან საქართველოში 2012 წლიდან შეიცვალა ხელისუფლება, რომელსაც ექსპერტთა დიდი ნაწილი უკიდურესი ნეოლიბერალური პოლიტიკის გამტარებლად მიიჩნევდა. გარკვეულად ასეთ დაყოფას იმანაც შეუწყო ხელი, რომ 2013 წლიდან კომუნიკაციების კომისიამ ახალი პოლიტიკა წამოიწყო, რაც გამოწვეული იყო ევროპის კავშირთან საკანონმდებლო ჰარმონიზაციის მოთხოვნით.

2003-2012 წლების პუბლიკაციების დისკურს ანალიზი. სულ მოპოვებულ იქნა 52 სტატია, რომელიც ეხებოდა მას-მედიაში

ცხრილი 1. 2003-2012 წლების მედიის დისკურსის ანალიზის შედეგად გამოვლენილი თემატური ჩარჩოები

	ზნეობის ნორმებისა და არასრულწლოვანთა დაცვა	გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა	თვირეგულირება	სანქციების გაუქმება
პარლამენტი		4	4	3
მაუწყებლები		3		
კომუნიკაციების კომისია			3	3
რელიგიური არასამთავრობოები	15			
სახალხო დამცველი		2		
ლიბერალური არასამთავრობოები		4	7	7
სულ	15	10	14	13

ზნეობრივი სტანდარტების დაცვას, მაუწყებელთა ქცევის კოდექსს და არასრულწლოვანთა დაცვას მავნე ზემოქმედებისგან. მედიის დისკურსის კრიტიკული ანალიზი აჩვენებს, რომ დომინანტური თემებია კანონის დარღვევებისთვის სანქციების გაუქმება, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და მედიის თვითრეგულირება (ცხრილი 1). გამოიყო შემდეგი 4 თემატური ჩარჩო:

1. სანქციების გაუქმება
2. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა
3. თვითრეგულირება
4. მცირეწლოვანთა დაცვა მავნე ზემოქმედებისგან

2003 - 2012 წლების პერიოდის მედიის პუბლიკაციათა დისკურს ანალიზი აჩვენებს, პარლამენტის წევრთა, სახალხო დამცველის, კომუნიკაციის კომისიისა და მაუწყებელთა პოზიცია პუბლიკაციათა უმეტესობაში იცავს მაუწყებელთა ინტერესებს და ამტკიცებს, რომ დარღვევებისთვის მაუწყებლების დასჯა და სანქციის დაკისრება არ შეიძლება, ასევე თვითრეგულირების საკითხებშიც ერთსულოვანია ეს ჯგუფები და მათი აზრით, თვითრეგულირება არ უნდა გულისხმობდეს დაჯარიმებას, მათ მიერ საერთოდ არ ხდება არასრულწლოვანთა დაცვის თემის არც ხსენება და არც განხილვა. ეს ჯგუფები მხოლოდ დარღვევებისთვის სანქციების გაუქმებაზე, სახელმწიფოს ჩაურევლობასა და თვითრეგულირების აუცილებლობაზე მიუთითებენ, 52 პუბლიკაციიდან მხოლოდ ერთხელ ახსენებს მაუწყებლის წარმომადგენელი არასრულწლოვანთა დაცვის საკითხის ლეგიტიმურობას.

პარლამენტის წევრთა მიერ გამოთქმული არგუმენტები ერთმნიშვნელოვანია. პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აღნიშნავს: „ეთიკის კოდექსი ყველა პროფესიის წარმომადგენელს სჭირდება. ჟურნალისტსაც და პოლიტიკოსსაც, მაგრამ ეს კოდექსი არ უნდა იყოს ისეთი ჩარჩოების დამწესებელი, რომელიც შელახავს ან შეზღუდავს სიტყვის ან მაუწყებლობის თავისუფლებას“ (გულუა, 2006). პარლამენტის წევრი ნოდარ გრიგალაშვილი: „როგორც კი ჩვენ დავუშვებთ, რომ ვიღაცას ექნება უფლება, მაუწყებლობა თუ გაზეთის გამოცემა შეგიწყვიტოს, ეს არასწორია. სისულელეზე მსჯელობა მეორე

სისულელეა“. პარლამენტის წევრი დავით ზურაბაშვილი: „პრინციპულად არ შეიძლება კერძო და კომერციულ ტელევიზიას არეგულირებდეს სახელმწიფო, უწესებდეს ქვეყნის ნორმას. რომელი კანონებიც მოქმედებს, ისიც საკმარისია.“ (რეზოლუცია № 2006).

ერთმნიშვნელოვანია ჟურნალისტების პოზიციაც, კერძოდ, ჟურნალისტი თარგამაძე აღნიშნავს: „ნებისმიერი მცდელობა სახელმწიფოს მხრიდან ნორმატიული აქტით მოახდინოს შიდა რეგულირება ქვეყნის კოდექსების რომელიმე ტელეკომპანიაში, ეს იქნება პრობლემის შემქმნელი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის ტელევიზიებში“. ჟურნალისტი ნინო ჟიჟილაშვილი: "საქართველოში, სადაც მედიას, მითუმეტეს, ტელევიზიებს არა აქვთ გარანტიები და ხშირად იზღუდება სიტყვის თავისუფლება, არ შეიძლება კიდევ ახალი ჩარჩო დაუწესდეს. ეს კოდექსი კიდევ უფრო გაართულებს სიტყვის თავისუფლების მდგომარეობას ქვეყანაში"(გელაშვილი ნ.2006).

როგორც ვხედავთ, მოყვანილ ნაწყვეტებში მთავარი არგუმენტი ნეოლიბერალურ დოგმას შეესაბამება, რომლის მიხედვით სახელმწიფო არ უნდა არეგულირებდეს და აწესებდეს მაუწყებლისთვის ქვეყნის ნორმას, არ უნდა ახდენდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას. მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა პრიორიტეტული ხდება მცირეწლოვანთა დაცვასთან შედარებით საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგოდ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ პუბლიკაციებში საერთოდ არ ჩანს უფლებადამცველი ორგანიზაციების პოზიცია მედიაში მცირეწლოვანთა დაცვის საკითხზე, მხოლოდ რელიგიური ორგანიზაციები ითხოვენ უზრუნველყოფილი იქნეს ზნეობრივი ნორმებისა და მცირეწლოვანთა დაცვა მედიაში, სახალხო დამცველიც კი მომხრეა, კომისიას არ ჰქონდეს სანქცირების უფლება, რაც რეგულირების აუცილებელი პირობაა. მაუწყებელთა წარმომადგენლები კატეგორიულ წინააღმდეგობას გამოხატავენ, რადგან მიაჩნიათ, რომ გარედან რეგულირება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა იქნება, რაც დაუშვებელია საქართველოში (მჭედლიძე, 2006). საბოლოოდ კომუნიკაციების კომისიამ თვითონვე ჩამოაყალიბა ინიციატივა, რომლის მიხედვით უარი თქვა მაუწყებლობაში

არასრულწლოვანთა დაცვის რეგულირებაზე 2006 წელს. ეს ყოველივე კი ეწინააღმდეგებოდა ევროპის საბჭოს გამოცდილებას და რეკომენდაციებს.

ზნეობისა და მცირეწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის საკითხები განსაკუთრებული სიმწვავეით წამოჭრილია მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა განცხადებებში, სადაც მიუთითებენ ზნეობრივი ნორმების უგულვებელყოფას მედიაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დარღვევები იმდენად ხშირი იყო, რომ ეკლესიის პატრიარქი პრაქტიკულად 20 წლის განმავლობაში ყოველ ეპისტოლეში ამახვილებს ყურადღებას ამ საკითხზე. კერძოდ, აცხადებს, რომ უნდა აიკრძალოს ძალადობის სიუჟეტების ჩვენება (საშობაო ეპისტოლე, 2003, გვ. 156); შემდეგ პუბლიკაციაში მიუთითებს, რომ მკვიდრდება „ზოგადსაკაცობრიო, ეროვნული, ზნეობრივი და სულიერი ფასეულობების უპატივცემულობა“ (საადღგომო ეპისტოლე, 2004, გვ. 66).

განსაკუთრებულად მწვავე დაპირისპირება სამაუწყებლო კოდექსის განხილვამ გამოიწვია, რომლის პროექტი 3 წლის განმავლობაში განიხილებოდა. ამ პერიოდში საქართველოს ტელევიზიაში იმდენად ირღვეოდა არასრულწლოვნების ფსიქიკური და მორალური განვითარების მავნე ზემოქმედებისგან დაცვის სტანდარტები, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმაც კი იმჯელა (წმინდა სინოდის 21 დეკემბრის სხდომის ოქმი, 2006). მიუხედავად ასეთი დაპირისპირებისა კომუნიკაციების კომისიამ საერთოდ უარი თქვა სანქციების გამოყენებაზე კანონის დამრღვევთა მიმართ.

მიუხედავად ცხარე დაპირისპირებისა არასრულწლოვანთა ზნეობრივი განვითარების დაცვის თემაზე, 2006 წელს გასაჩივრების უფლებაც კი აიკრძალა ამ საკითხებთან დაკავშირებით, 2009 წელს კი მიღებულ იქნა მსოფლიოში ყველაზე ლიბერალური სამაუწყებლო კოდექსი, ამავე წელს საკონსტიტუციო სასამართლომ საერთოდ მედიაში ზნეობის საკითხებზე დისკუსიაც კი აკრძალა საქართველოს სასამართლოებში. ყოველივე ეს გამოხატვის თავისუფლების დაცვისა და სახელმწიფოს ჩარევის დაუშვებლობის დევიზით განხორციელდა, რაც რადიკალური ნეოლიბერალიზმის გამოვლენას წარმოადგენდა,

რადგან უგულვებელყოფილ იქნა ევროპის საბჭოს რეკომენდაციები და რაც მთავარია, პარლამენტმა და საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღეს ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებანი.

მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდმა მეორედ 2008 წელს იმსჯელა და აღნიშნა, რომ „საკითხი, რომელიც ყველას განსაკუთრებულად აწუხებს, არის ტელევიზიაში უზნეობის პროპაგანდა და უხამსობის საყოველთაო ნორმად დაკანონების მცდელობები, რაც ზოგიერთს თავისუფლების გამოხატულებად მიაჩნია. ნებისთ თუ უნებლიედ ამ მაუწყებლობის საშუალებით თუ ხდება ძალადობის, აღვირახსნილობის, უზნეობის პროპაგანდა, აუცილებელია კანონით აღნიშნული პროცესის აღკვეთა“ (წმინდა სინოდის 27 ივნისის სხდომა, 2008). ანალოგიური შეფასებებია სხვა პუბლიკაციებშიც (საადდგომო ეპისტოლე, საშობაო ეპისტოლე. გვ. 183. 2006). სარეკლამო კლიპებში ფილმებიდან ძალადობის კადრების ჩვენება მართლაც, პროპაგანდის სახეს ატარებდა, რადგან რეკლამები 15 წუთში ერთხელ გადაიციმა და ხშირი გამეორების შედეგად განსაკუთრებით დიდი ზეგავლენას ახდენს.

ყოველივე ამან განაპირობა ზნეობრივი განვითარების დაცვის ღონისძიებათა კიდევ უფრო შემცირება და რამდენიმე წლის შემდეგ პატრიარქმა ილია II-მ აღნიშნა სატელევიზიო მედიის დახასიათებისას: „ისეთი უზნეობა, რომელიც დღეს საქართველოში ინერგება – არც ერთ სხვა ქვეყანაში არ ხდება.“ (საპატრიარქოს უწყებანი, #10, 14 მარტი, 2010, გვ.3). საქართველოში პრაქტიკულად იმ დროს ერთადერთი ეკლესია ამახვილებდა ყურადღებას მცირეწლოვანთა დაცვაზე მედიის ზეგავლენისგან. 2010 წლის საშობაო ეპისტოლეში პატრიარქი აღნიშნავს, რომ თუ ადრე სატელევიზიო ეთერში „უცხოური სერიალებით დაიწყეს ხალხის ცნობიერების გადაგვარება, ახლა კი ჩვენი მოქალაქენი გამოჰყავთ უზნეობის დემონსტრირებისათვის“ (საშობაო ეპისტოლე, 2010, გვ. 2). 2011 წლის საშობაო ეპისტოლეში უწმიდესი მიუთითებს: „ჩვენი მას-მედიის საშუალებებიც ხშირად „სიმართლის“ სახელით ავხორცობისა და სისასტიკის პროპაგანდას ახორციელებენ და ამით, ბოროტს დიდ სამსახურს უწევენ“. ორივე ნაწყვეტში, ალბათ, იგულისხმება ტელეშოუს „სიმართლის დრო“ გადაცემები და რეკლამები, რომლებშიც ხდებოდა მიწვეული

სტუმრების სხვადასხვა უზნეო საქციელის განხილვა, ხოლო გადაცემის სარეკლამო კლიპებში ყველაზე სენსაციური (უმეტესად უზნეო ქცევასთან დაკავშირებული) შეკითხვები ყოველ ნახევარ საათში ერთხელ გადაიცემოდა და ბუნებრივია, მაყურებელთა ცნობიერებაში კიდევ უფრო აქვეითებდა უზნეობის მიმართ მგრძნობელობას.

2011 წელს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა უკვე მესამედ იმსჯელა და მიუთითა მასობრივი საშუალებებით არაზნეობრივი შინაარსის ინფორმაციის გავრცელების დაუშვებლობის შესახებ (წმინდა სინოდის 20 დეკემბრის სხდომის ოქმი, 2011), თუმცა ამ განცხადებებს ხელისუფლების არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია.

2012 წლის შემდგომი პუბლიკაციების დისკურს ანალიზი.

კანონპროექტის შესახებ პუბლიკაციათა 16 სათაურის (იხილე ცხრილი 2) ანალიზი აჩვენებს, რომ სათაურთა უმეტესობაში მედიის დამოკიდებულება კანონპროექტის მიმართ უარყოფითია, რადგან კანონპროექტი განიხილება როგორც მედიის თავისუფლების არალეგიტიმური შეზღუდვა, სათაურებში შინაარსობრივად უპირატესად ნახსენებია თავისუფლების შეზღუდვა და სიძულვილის ენა, არასრულწლოვანთა დაცვა მხოლოდ ერთ შემთხვევაშია ნახსენები, ისიც, როგორც პრობლემის ალტერნატიული და თანაბარი მნიშვნელობის არგუმენტი (არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისგან დაცვა თუ კანონი მედიის შეზღუდვისთვის?, 2019), როდესაც საერთაშორისო სტანდარტი მცირეწლოვანთა ინტერესების დაცვის პრიორიტეტისკენ მოუწოდებს. ხოლო თვით პუბლიკაციათა უმეტესობის შინაარსი იხრება ცვლილებათა კანონპროექტის უარყოფითი შეფასებისკენ, პუბლიკაციებში თემატური ჩარჩოების სიხშირის ცხრილი # 3 აჩვენებს, რომ ყველაზე ხშირად კანონპროექტის მოწინააღმდეგეები იყენებენ სიძულვილის ენის თემატურ ჩარჩოს, შემდეგ სახელმწიფო რეგულირებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დაუშვებლობას. კანონპროექტის მომხრე პარლამენტის უმრავლესობის წევრებს კი მიაჩნიათ, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და სახელმწიფო რეგულირება დასაშვებია.

კანონპროექტის მთავარი მიზანი არის არასრულწლოვანთა დაცვის მექანიზმის არაეფექტურობა, პუბლიკაციათა ტექსტებში კი

მთავარი თემა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დაუშვებლობაა. 2013 წლის შემდეგ პერიოდშიც პუბლიკაციებში არ აღინიშნება ადამიანის უფლებადამცველ ორგანიზაციათა პოზიცია მედიაში მცირეწლოვანთა დაცვასთან დაკავშირებით, მომხმარებლის, მოქალაქის უფლებების დაცვა კი საერთოდ არაა ნახსენები.

კანონპროექტის შესახებ მედიის პუბლიკაციათა სათაურების ჩამონათვალის გაცნობა თვალნათლივ აჩვენებს თემატური ჩარჩოების პრიორიტეტს.

ცხრილი 2. მაუწყებლობის კანონპროექტის შესახებ პუბლიკაციათა სათაურები.

1. "ოცნება" 2020 წლის არჩევნების წინ განსხვავებული აზრის განეიტრალებისთვის ემზადება"
2. ყველანი სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ
3. ამ ხალხს ძალიან ექაჩება საბჭოთა წარსული"
4. არასამთავრობოები: „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის რისკებს ქმნის
5. კანონპროექტი ქმნის გამოხატვის თავისუფლების თვითნებური შეზღუდვის რისკებს – არასამთავრობოები
6. კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის მიიჩნევს, რომ მაუწყებლობის თვითრეგულირებას მიკუთვნებული საკითხების რეგულირებაში გადატანა დაუშვებელია
7. GNCC-მ არ უნდა დაარეგულიროს სიძულვილის ენის საკითხები
8. "ნაბიჯი უკან" — კომუნიკაციების კომისია სიძულვილის ენის კანონით დარეგულირებას ითხოვს
9. „ჩვენ უკვე გვაქვს კანონმდებლობა, რომელიც სჯის შეურაცხყოფას ძალიან ცალსახად"
10. არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისგან დაცვა თუ კანონი მედიის შეზღუდვისთვის?
11. კახა ბექაური სიძულვილის ენის კანონით დარეგულირებას მოითხოვს
12. საჭიროების შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს – კობახიძე

13. მაუწყებლების თვითრეგულირებიდან რეგულირებამდე — კომუნიკაციების კომისიის კანონპროექტი

14. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობები საქართველოში

15. კომუნიკაციების კომისია საერთაშორისო პარტნიორებს სიძულვილის ენის პრობლემების განსახილველად იწვევს

16. კომუნიკაციების ეროვნული კომისია გამოხატვის თავისუფლებაზე რეგულაციების დაწესებას გეგმავს

17. კომუნიკაციების კომისია ითხოვს დაჩქარდეს სიძულვილის ენის რეგულირებაზე კანონპროექტის განხილვა

როგორც ვხედავთ, ყველა პუბლიკაციიდან მხოლოდ ერთი ასახელებს სათაურში მცირეწლოვანთა დაცვას, სათაურთა ნახევარს გამოხატულად კანონპროექტის საწინააღმდეგო ხასიათი აქვს.

ამ პერიოდში მხოლოდ ეკლესიის წარმომადგენელთა პუბლიკაციებში თუ ნახვთ მაუწყებლობაში ზნეობის სტანდარტების უგულებელყოფის შესახებ ინფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ მედია აღნიშნავს, რომ ცხარე დისკუსიაა მაუწყებლობის კანონის ცვლილებების კანონპროექტებზე, კანონპროექტის გაშუქებისას მედია არ ახსენებს არასრულწლოვანთა მორალური განვითარების დაცვის ინტერესს და შესაბამისს არგუმენტებს.

პუბლიკაციებში 2013 წლიდან გამოვლინდა 6 თემატური ჩარჩო მაუწყებლობის კანონის ცვლილებებთან დაკავშირებით:

1. ევროდირექტივის შესრულება
2. შეურაცხყოფა და სიძულვილის ენა, ცილისწამება
3. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დაუშვებელია (ცენზურა),
4. სახელმწიფო რეგულირება დასაშვებია
5. თვითრეგულირების გაძლიერება
6. არასრულწლოვანთა დაცვა

განვიხილოთ ცალკეული პუბლიკაციებში თემატური ჩარჩოების თავისებურებები. გაზეთის "რეზონანსი" სტატიაში სათაურით, "ოცნება" 2020 წლის არჩევნების წინ განსხვავებული აზრის განეიტრალებისთვის ემზადება" (ქართული პრესის მიმოხილვა, 2019)

წარმოადგენს გაზეთის მიერ სხვადასხვა მხარის პოზიციათა

მიმოხილვას კანონპროექტზე. პუბლიკაციის სათაურშივე მოცემულია პოზიცია, რომელიც ვარაუდობს, რომ კანონპროექტის მიზანი

ცხრილი 3. 2013-2020 წლების მედიის დისკურსის ანალიზის შედეგად გამოვლენილი თემატური ჩარჩოები

	სიძულვილის ენა, შეურაცხყოფა	არასრულწლოვანთა და ზნეობის დაცვა მედიაში	ევროპული დირექტივა	გამოხატვის შეზღუდვა დაუშვებელია	თვითრეგულირება	სახელმწიფო რეგულირება დაუშვებელია
მაუწყებლები	3			3		
პარლამენტი	10			5	3	2
კომუნიკაციების კომისია	10	6	5		4	
პრეზიდენტი	3					
არასამთავრობო	12			10		27
პატრიარქი	1	4				
სულ	38	18	5	18	11	29

კრიტიკული აზრის ჩახშობაა მმართველი უმრავლესობის მიერ. შემდეგ ტექსტის პირველივე წინადადებაში ასევე მოცემულია დაგეგმილი ცვლილების უარყოფითი შეფასება, კერძოდ,

მითითებულია, რომ კანონპროექტი „უკვე შეფასდა, როგორც მმართველო პარტიის ახალი გეგმა განსხვავებული და კრიტიკული აზრის გასანეიტრალებლად“.

წინადადება „ჩვენ უკვე გვაქვს კანონმდებლობა, რომელიც სჯის შეურაცხყოფას ძალიან ცალსახად“ მიუთითებს, რომ კანონპროექტი ზედმეტი და უსარგებლოა, რადგან არსებობს სხვა კანონმდებლობა, რომელიც ისედაც აგვარებს პრობლემას, სტატიის საერთო კონტექსტიდან გამომდინარე არწმუნებს მკითხველს, რომ კანონპროექტს მიზნად მხოლოდ ცენზურა აქვს.

მთელ პუბლიკაციაში სიძულვილის ენა, როგორც კანონის ცვლილების მთავარი მიზეზი, ნახსენებია 14-ჯერ, არასრულწლოვანთა დაცვა კი მხოლოდ ერთხელ, მაშინ, როდესაც კომუნიკაციების კომისიის და მომხმარებელთა უფლებების დამცველის წლიურ ანგარიშებში განსაკუთრებით იყო ხაზგასმული არსებული პროცედურის არაეფექტურობა არასრულწლოვანთა დაცვის მიმართულებით და დასაბუთებული იყო ცვლილების აუცილებლობა სახელმწიფო რეგულირების შემოღების დაწესებით, მაგრამ არც სტატიის ავტორი და არცერთი გამოკითხული რესპონდენტი არ ეხება არასრულწლოვანთა დაცვის საკითხს.

მედიაექსპერტი ნინო დანელია აქცენტს სახელმწიფო რეგულირების დაუშვებლობაზე აკეთებს, არგუმენტი ოპონენტების მიერ ხელისუფლების კრიტიკის საპასუხო სანქციებია, აქცენტი სიძულვილის ენაზეა, ამასთან დაკავშირებით ექსპერტს რუსეთის ხელისუფლების მაგალითი მოჰყავს, მაშინ, როდესაც სიძულვილის ენაში უმცირესობათა ჯგუფების მიმართ შეურაცხმყოფელი ან მუქარის ტექსტები იგულისხმება და არა პოლიტიკოსების კრიტიკა:

„კატეგორიულად დაუშვებელია სიძულვილის ენის გაკონტროლების ჯერ მარეგულირებელი უწყების და შემდეგ სასამართლოს მიერ, რომ ჩვენ ამგვარი მავნებლური კანონის მიღებით დავემსგავსებით რუსეთს, სადაც ხელისუფლების წინააღმდეგ ნებისმიერი კრიტიკა სიძულვილის ენად მიიჩნევა და ამის გამო ადამიანებს სჯიან“.

ამ ნაწყვეტში გამოყენებული დისკურსული ხერხი გულისხმობს ანალოგიას ტოტალიტარულ ქვეყანასთან კანონპროექტის დისკრედიტაციის მიზნით.

პარლამენტარ თინა ბოკუჩავას არგუმენტი ეხება სასამართლოს სავარაუდო ტენდენციურობას და აქედან გამომდინარე საფრთხეს: „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იმ ფონზე, როდესაც სასამართლოს მთლიანად ბიძინა ივანიშვილი აკონტროლებს, ქვეყნისთვის განსაკუთრებული საფრთხის შემცველია“

ეს პარლამენტარი იყენებს დისკურსულ ხერხს, რომელიც გულისხმობს მოწინააღმდეგე მხარის არადემოკრატიულ პრაქტიკაში დადანაშაულებას და შესაბამისად განაზოგადებს მოსალოდნელ შედეგს. იგივე პარლამენტარი სხვა პუბლიკაციაში ასე მსჯელობს:

„თვითრეგულაცია უნდა იყოს განსაზღვრული ისე, რომ არ მოხდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, რაც დღეს საქართველოში, სადაც სასამართლო კონტროლდება ბიძინა ივანიშვილის მიერ, ეს კიდევ უფრო მაღალი საფრთხის შემცველია, ვიდრე ეს იქნებოდა დემოკრატიულ ქვეყანაში“ (თაიმერი, ივნიისი 13, 2019).

პარლამენტარი აქ იყენებს დისკურსულ ხერხს, როდესაც მიზეზად ასახელებს ქვეყნის არადემოკრატიულობას და ეყრდნობა მთავარ ნეოლიბერალურ პრინციპს, რომლის თანახმად სახელმწიფოს ჩარევა სიტყვის თავისუფლებაში არ შეიძლება.

პარლამენტარ გიგა ბოკერიას არგუმენტაცია დაუშვებლად მიიჩნევს სახელმწიფოს ჩარევას და საფრთხეს ხედავს მასში. აქაც აქცენტი სიძულვილის ენაზეა:

„სიძულვილის ენას სჭირდება თვითრეგულირება და არა სახელმწიფოს ჩარევა და საქმე გვაქვს უკიდურესად სახიფათო თამაშთან, რომელიც ხელისუფლებამ 2020 წლის არჩევნების წინ წამოიწყო, რომლის მიზანია, გააკონტროლოს ყველაფერი განსხვავებული - შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, ოპონენტების კრიტიკული აზრი“.

ბოკერია კანონპროექტს სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევს, რადგან მისი აზრით კანონმდებლობა სამაგალითოა, არც ის არ ეხება არასრულწლოვანთა მორალური განვითარების დაცვის თემას: "საქართველოს აქვს სამაგალითო კანონმდებლობა სიტყვისა და პრესის თავისუფლების თვალსაზრისით". აქაც პარლამენტარი იყენებს

დისკურსულ ხერხს მოწინააღმდეგის წინააღმდეგ, რომელიც მისი ქცევის უარყოფით შეფასებას გულისხმობს.

კანონპროექტის მომხრე პარლამენტარი კობახიძე მიუთითებს, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია იყოს ლეგიტიმური, რაც შეესაბამება ევროდირექტივას, ასახელებს ბილწსიტყვაობას და შეურაცხყოფას, როგორც შესაზღუდ კატეგორიას, მაგრამ აქცენტი მისი პოზიციის გადმოცემისას უფრო სიძულვილის ენაზეა:

„უნდა ვიმსჯელოთ ამ პრობლემაზე, ბილწსიტყვაობის, შეურაცხყოფის, ცილისწამების პრობლემაზე და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, თუ რაიმე ზომების მიღებაა შესაძლებელი, ეს ზომები უნდა მივიღოთ“ (ქართული პრესის მიმოხილვა 14.06.2019)

როგორც ვხედავთ პუბლიკაციის დისკურსი კონცენტრირებულია სიძულვილის ენაზე და მცირეწლოვანთა დაცვის საკითხი არც განიხილება, როგორც კანონპროექტის მომხრეთა, ასევე მოწინააღმდეგეთა მიერ.

არასამთავრობო ორგანიზაციის “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” განცხადებაში მიუღებლად არის მიჩნეული სახელმწიფოს მიერ რეგულირება, რადგან ეჭვი გამოითქმება კომისიის დამოუკიდებლობის მიმართ, ეს ორგანიზაცია მიკერძოებულად თვლის კომისიას. ასევე არგუმენტად სახელდება დაინტერესებულ მხარეთა შორის კონსენსუსის არსებობის პირობა, რაც არ არის მითითებული ევროპის საბჭოს რეკომენდაციებში, აქაც საერთოდ არ არის ნახსენები არასრულწლოვანთა დაცვის თემა. (GNCC-მ არ უნდა დაარეგულიროს..., 2019):

„იმ ცვლილებებით კი, რასაც მარეგულირებელი აჟღერებს, კომისიის ხელში აღმოჩნდება ბერკეტი, რითიც შესაძლებელი გახდება მედიაზე ზეწოლის მოხდენა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა. კო-რეგულაციის სისტემის არსებობის შემთხვევაში კი, სხვა საკითხებთან ერთად, აუცილებელია, რომ მარეგულირებელი ორგანო იყოს დამოუკიდებელი და ეჭვქვეშ არ იდგეს მისი მიუკერძოებლობის საკითხი. და ბოლოს, აუცილებელია, რომ მსგავსი სახის გადაწყვეტილებების მიღებისას არსებობდეს დაინტერესებულ

მხარეებს შორის კონსენსუსი, რაც ამ შემთხვევაში არ გვაქვს (ევროდირექტივა, მუხლი 4 (7)“. განცხადების ავტორები აშკარად მიუთითებენ, რომ კანონპროექტის მიზანი ოპოზიციის შეზღუდვაა, რაც წარმოადგენს მოწინააღმდეგის უარყოფითი შეფასების დისკურსულ ხერხს.

პუბლიკაციაში „ევრო დირექტივა თუ ცენზურის საფრთხე“ (2019) აქცენტია ცენზურაზე („ცენზურა“ ტექსტში ნახსენებია 6-ჯერ), ასევე სახელმწიფო რეგულირების დაუშვებლობაზე, როდესაც არასრულწლოვანთა დაცვა მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები, მაგრამ საერთოდ არ არის განხილული არასრულწლოვანთა დაცვის საკითხი და ამ პრობლემის მოგვარების გზები, ისევე როგორც სხვა პუბლიკაციებში,

პუბლიკაციაში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი მარიამ გოგოსაშვილი ცენზურად მიიჩნევს ხელისუფლების ჩარევას დარღვევის შემდგომ, როდესაც ცენზურად მაუწყებლობის შინაარსის წინასწარი კონტროლი მიიჩნევა:

„გამოხატვის თავისუფლების ის სტანდარტი უნდა შენარჩუნდეს, რომელიც ჩვენ გვაქვს, რეგულირება ასეთ გარემო-პირობებში ცალსახად ცენზურის საფრთხის რისკის შემცველია“ (ევრო დირექტივა თუ ცენზურის საფრთხე, 2019). იგივე არგუმენტს ასახელებს ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მედიის პროგრამის მენეჯერი ხატია ჯინჯიხაძე:

„ეს არის პირდაპირი ცენზურა. ყოველ შემთხვევაში, საფრთხე პირდაპირი ცენზურის. შეიძლება ეს ასე არ მოხდეს და ადმინისტრაციულმა ორგანომ ის არ გამოიყენოს, მაგრამ ამ კანონმდებლობით, ამ ბერკეტს ჩვენ ადმინისტრაციულ ორგანოს გადავცემთ.“

იგივე პუბლიკაციაში „რუსთავი 2-ის“ იურისტის თამთა მურადაშვილის თვალსაზრისიგაა მოცემული:

„56-ე მუხლის ფარგლებში არსებული საკითხები კვლავაც თვითრეგულირების სფეროში უნდა დარჩეს და ის არ უნდა გადავიდეს ადმინისტრაციული რეგულირების სფეროში. მისი თქმით, განსაკუთრებით ამ სასამართლოსა და ამ კომისიის ფარგლებში, ეს

კანონპროექტი წარმოშობს ცენზურის სერიოზულ საფრთხეს, რადგან კომისია შინაარსში შევა და დაარეგულირებს მას“

ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტებში ავტორები იყენებენ დისკურსულ ხერხს, რომელიც მეორე მხარის უარყოფით შეფასებას ეყრდნობა. ამასთან ერთად მიმართავენ ნეოლიბერალურ თემატურ ჩარჩოს, რომლის მიხედვით სახელმწიფო ჩარევა დაუშვებელია.

პუბლიკაციაში „მაუწყებლების თვითრეგულირებიდან რეგულირებამდე“ მედიის ადვოკატების აქტივისტის ნატა ძველიშვილის სიტყვებია მოყვანილი :

„საქართველოს ნაირ ქვეყნებში თვითრეგულირებიდან რეგულირებაში საკითხის გადატანა აღიქმება მედიაგარემოს გაუარესებად. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, იმ ალგორითმების ფონზე, რომელიც მართავს სოციალურ ქსელებს, შეუძლებელია გამოხატვის შეზღუდვა, თუ არ გინდა გახდე ისეთი ქვეყანა, როგორც არის, მაგალითად, თურქეთი“ (რადიო „თავისუფლება“, ივნისი 13, 2019).

ნაწყვეტში გამოყენებულია მოწინააღმდეგის პოზიციის ნეგატიური შეფასების დისკურსული ხერხი, კერძოდ, ავტორი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას უარყოფითად და სახელმწიფოს ჩარევას გაუარესებად მიიჩნევს საქართველოს სიტუაციიდან გამომდინარე და თურქეთზე როგორც ავტორიტარულ ქვეყანაზე მიუთითებს. პუბლიკაციაში ასევე წარმოდგენილია თვითრეგულირების გაძლიერების თემა, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული კონკრეტული პროცედურები.

როგორც ვხედავთ, დისკურსში მონაწილენი თემის განვითარებას ძირითადად ახდენენ სიძულვილის ენის შეზღუდვის სახელმწიფო ჩარევით დაუშვებლობის კონტექსტში, საერთოდ არ არის იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ არსებითად ლაპარაკია კომისიისა და სასამართლოსთვის მიმართვის აკრძალვაზე, რაც თავიდანვე ანტიკონსტიტუციური და ადამიანის უფლებათა შემლახველი ქმედება იყო, რომელიც კომუნიკაციის კომისიის სურვილით განხორციელდა. მედიის თავისუფლების დამცველებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის კანონპროექტის ყველაზე საკამათო საკითხი და დაწუნების მთავარი მიზეზი სწორედ სახელმწიფოს ჩარევაა, რაც

საკოველთაოდ მიღებულ ზომას წარმოადგენს დასავლურ სამყაროში. პუბლიკაციაში „ ყველანი სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ“, რომლის სათაური უკვე შეიცავს კანონპროექტის საწინააღმდეგო შეფასებას და თავიდანვე უარყოფითად განაწყობს მკითხველს, რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის წარმომადგენელი ნათია კუპრაშვილი უარყოფით შეფასებას აძლევს კანონპროექტს:

„ეს არის დაბრუნება 2009 წლამდე მდგომარეობაში, ეს არის ცალსახა და ძალიან ნათელი. ჩვენნაირი დემოკრატიის მქონე ქვეყანაში სერიოზული საფრთხის შემცველია. თუ კანონი ამ ფორმით გავა, როგორც მარეგულირებელ კომისიას აქვს ინიცირებული, ეს იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი, სტანდარტების დაზიანება. ეს ვერ იქნება ნაბიჯი წინ, ვერც ერთ შემთხვევაში“ (ყველანი სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ, 2019).

კუპრაშვილის არგუმენტი გულისხმობს დისკურსულ ხერხს, რომ საქართველოში დემოკრატიის დონე არაა საკმარისი და დაზიანდება გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტი.

როგორც ვხედავთ, კანონის მიღების მოწინააღმდეგეებსა და მომხრეებს სხვადასხვა აქცენტები აქვთ არგუმენტაციის დროს, კანონპროექტის მომხრეთა არგუმენტები ეხება ბილწსიტყვაობის, შეურაცხყოფისა და სიძულვილის ენის შეზღუდვის აუცილებლობას, ევროკავშირის დირექტივის შესრულებას, მოწინააღმდეგეების არგუმენტები კი ეყრდნობა სიძულვილის ენის შეზღუდვისა და სახელმწიფო ჩარევის დაუშვებლობას, კანონპროექტის მოწინააღმდეგეები არ ახსენებენ ბილწსიტყვაობისა და შეურაცხყოფის თემებს, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მხარისათვის საერთოა, რომ არცერთი არ ეხება არასრულწლოვანთა დაცვის საკითხს და მის მნიშვნელობას (ამ ხალხს ძალიან ექაჩება საბჭოთა წარსული, 2019).

პუბლიკაციაში „ნაბიჯი უკან“ სათაურშივე მოცემულია კანონპროექტის უარყოფითი შეფასება. სტატია 7-ჯერ ახდენს სიძულვილის ენის თემის ხსენებას, მაშინ, როდესაც არასრულწლოვანთა დაცვის თემა მხოლოდ ორჯერაა ნახსენები, ისიც გაკვრით (ნაბიჯი უკან, 2019). სტატია შეიცავს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობათა ჩამონათვალს, იმის საბუთად, რომ

ძალაუფლების მქონე პირები ყველანი მხარს უჭერენ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას.

ინტერნეტ-გამოცემის „ტაბულას“ პუბლიკაციაში (ტაბულა, 13 ივნისი 2019) მოყვანილია იურისტ გიორგი მშვენიერაძის გამონათქვამი:

„ეს იქნება ხელისუფლების და დომინანტი ჯგუფების ინსტრუმენტი, რომ მათი კრიტიკა შეიზღუდოს. თუკი ჩვენ დავუშვებთ პრეცედენტს, რომ შევზღუდავთ გამოხატვის თავისუფლებას, თუ ის ხელისუფლებას აღიზიანებს ან შეურაცხყოფს, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ხვალ დუმილის დაწესების ფორმას შეიძენს“

აქაც გამოყენებულია მოწინააღმდეგის პოზიციის უარყოფითად შეფასების დისკურსული ხერხი, რადგან ივარაუდება, რომ კანონი კრიტიკის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.

ამგვარად, არასრულწლოვანთა ზნეობრივი განვითარების დაცვის საკითხი პუბლიკაციებში პრაქტიკულად იგნორირებულია და მისი განხილვა საერთოდ არ ხდება, კომუნიკაციების კომისიის პოზიცია პრაქტიკულად კომპრომისულია, ის თანახმაა, არ მოახდინოს არსებითი ცვლილებები და არ შემოიღოს სახელმწიფოს ჩარევის შესაძლებლობა, თუ ევროპის საბჭოც თანახმა იქნება.

„თვითრეგულირების გაძლიერების“ წინადადებებში არ მოიაზრება არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიური დაცვის რაიმე მექანიზმის შემოღება. საზოგადოებრივი ზნეობის მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურობის საკითხი და მისი არგუმენტები საერთოდ არ განიხილება არც კანონპროექტის მომხრეთა და არც მოწინააღმდეგეთა მიერ. დისკურსის კრიტიკული ანალიზი აჩვენებს, რომ ადგილი აქვს დისკურსის კონტექსტის მართვას ძალაუფლების მქონე ჯგუფების (Van Dijk, 2006) მიერ მხოლოდ კანონპროექტის გარკვეული ასპექტებით დაინტერესებული პირების მოწვევით საინფორმაციო ღონისძიებებზე, რის შედეგადაც ნაკლები ძალაუფლების მქონე პირების, მომხმარებლებისა და არასრულწლოვანთა ზნეობრივი განვითარების დამცველთა დისკურსზე წვდომის შეზღუდვა ხდება.

ეს კი აჩვენებს, რომ მედიას ტენდენციური პოზიცია აქვს, ის საერთოდ არ ახდენს არგუმენტად მცირეწლოვანთა დაცვის თემის

დასახელებასაც კი, როდესაც კანონპროექტის მომზადების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არასრულწლოვანთა დაცვაა, საკითხის გაშუქება და თვითრეგულირების შენარჩუნების არგუმენტაცია ხდება ნეოლიბერალური დისკურსის შესატყვისი თავისუფლების შეზღუდვისა და სახელმწიფოს ჩარევის (რეგულირების) დაუშვებლობის გამო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მედია აქტივისტთა პლატფორმას კანონპროექტის წინააღმდეგ იზიარებს და სახელმწიფო რეგულირების შემოღების წინააღმდეგია სახალხო დამცველიც (საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2019, გვ.232), მიუხედავად იმისა, რომ მის უშუალო პასუხისმგებლობას წარმოადგენს არასრულწლოვანთა ფსიქიკური და მორალური განვითარების დაცვა მედიაში და კომუნიკაციების კომისიის მომხმარებელთა უფლებების დამცველი მასაც აბარებს ანგარიშს.

კანონპროექტით დაგეგმილი ცვლილებები პასუხობს დამცველის რეკომენდაციებს, რომლის თანახმად „არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის თვალსაზრისით დღეს არსებული მექანიზმი არ არის ეფექტური, კოდექსი არ საჩივრდება არც სასამართლოში და არც კომისიაში, შესაბამისად, არც საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს მიმართავენ საჩივრებით“ (კომუნიკაციების კომისიის წლიური ანგარიში, 2018). როგორც ვხედავთ, კომუნიკაციების კომისიაში მოქმედი მომხმარებელთა უფლებების დამცველის განცხადებები ვერ ახდენენ პოლიტიკის ცვლილებას მედიის დისკურსში. კომუნიკაციების კომისიის ანგარიშებში მხოლოდ ორჯერ არის ასახული მომხმარებელთა უფლებების დამცველის პოზიცია 2017 და 2018 წლის ანგარიშებში, რომლებიც არ შუქდება მედიაში. ხოლო კომისიის საჯარო განცხადებებში არ არის მითითება, რომ მომხმარებელთა დამცველი აყენებდა საკითხს 5 წლის განმავლობაში კანონის არაეფექტურობის გამო და აქცენტი მხოლოდ სიძულვილის ენის შეზღუდვაზეა.

განსხვავებით 2003-2012 წლის პერიოდისგან მედიის პუბლიკაციებში 2013 წლიდან საერთოდ არ არის ნახსენები მომხმარებელთა ჯგუფები და მომხმარებელთა უფლებების დამცველი. არ შუქდება მცირეწლოვანთა ინტერესებისა და ზნეობის დამცველთა პოზიცია, ერთ-ერთი პუბლიკაციიდან ირკვევა, რომ კომისიამ მოაწყო

კანონპროექტის განხილვის რამდენიმე შეხვედრა, მაგრამ შეხვედრის ანგარიშებში არ არის ნახსენებიც კი მომხმარებელთა დამცველი ან მისი პოზიცია (ჩადუნელი, 2019, ქავთარაძე, 2019). ამ დროს კანონით კომისიას ევალება ორი მხარის, მაუწყებელთა და მომხმარებელთა ინტერესების ურთიერთშეთანხმება (კანონი მაუწყებლობის შესახებ. 2001, მუხლი 50). ახალი ამბების სააგენტოების მიერ გამოქვეყნებულ კომუნიკაციების კომისიის მიერ მოწყობილი განხილვების ანგარიშებსა და მიმოხილვებში აღწერილია მხოლოდ მაუწყებელთა და არასამთავრობო ორგანიზაციათა არგუმენტაცია, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ გამოყოფილ ყველა თემატურ ჩარჩოს, გარდა არასრულწლოვანთა ზნეობრივი განვითარების დაცვისა, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ არასრულწლოვანთა დაცვის საკითხი იგნორირებულ თემას წარმოადგენს.

კანონპროექტი მიზნად ისახავს სასამართლოში გასაჩივრების უფლების აღდგენას, მედიაში კი კანონპროექტს უპირატესად ახასიათებენ, თითქოს ის სიძულვილის ენის შეზღუდვას ისახავს მიზნად. როგორც ევროპის ქვეყნებში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ხდება მორალის ან მცირეწლოვანთა დაცვის მიზნით, მაგრამ ქართველი მედია აქტივისტები თვლიან, რომ საქართველოში არ შეიძლება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

კომუნიკაციების კომისიის მიერ კანონპროექტის მომზადების მთავარ მიზეზად სახელდება, რომ ევროპის საბჭო ითხოვს სახელმწიფო რეგულირების შემოღებას (ქავთარაძე, 2019), მაგრამ არ ხდება არგუმენტების მითითება, რატომ დგას დღის წესრიგში ეს მოთხოვნა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციების კომისიის განცხადებებში ხდება მხოლოდ სიძულვილის ენის შეზღუდვის არგუმენტაცია (რადიო „თავისუფლება“, ივნისი 13, 2019), ამ დროს კომისიის ანგარიშების გაცნობა აჩვენებს, რომ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით საერთოდ არ არის საჩივრები, მაშინ, როდესაც საჩივრები ფიქსირდება არასრულწლოვანთა დაცვასთან დაკავშირებით, მაგრამ მათი განხილვა არ ხდება პროცედურის არაფექტურობის გამო. აღსანიშნავია, რომ პუბლიკაციებში არცერთი პარლამენტარი არ ეხება მცირეწლოვანთა დაცვის საკითხებს,

დისკუსია პუბლიკაციებში მიმდინარეობს მხოლოდ სიძულვილის ენის შეზღუდვის საკითხებზე, არასრულწლოვანთა დაცვის საკითხი საერთოდ არ განიხილება.

მედიაში ზნეობის დაცვისა და არასრულწლოვანთა ზნეობრივი განვითარების დაცვის თემას ყველა პუბლიკაციიდან ეხება მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქის ეპისტოლეები, მაგრამ მედია საშუალებები იშვიათად ახდენენ ეპისტოლეებში გადმოცემული პოზიციის გაშუქებას მაუწყებლობის კანონპროექტის სადისკუსიო და განხილვათა საანგარიშო სტატიებში.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორე აცხადებს: "ზოგიერთი სახელმწიფო კანონი ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. პარალელურად ხდება ისიც, რომ ტელევიზია, მასმედია, სოციალური ქსელები ამა თუ იმ უწესობას ხშირად მიმზიდველად და საინტერესოდ გისახავენ და ხელს უწყობენ მათ პროპაგანდას", (საშობაო ეპისტოლე, 2017). 2018 წლის სააღდგომო ეპისტოლეში პატრიარქი მიუთითებს, რომ „მასმედია ხშირად, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობს აგრესიის, უზნეობის, ნარკომანიის და აზარტული თამაშების პროპაგანდას“ (სააღდგომო ეპისტოლე, 2018). 2019 წელს - "თვალშისაცემია ტრადიციულ ღირებულებათა მოსპობის, პატრიოტული სულისკვეთების დაკნინების, ეროვნული მეობის გაქრობის ტენდენცია ..., მასმედიითაც, ნებსით თუ უნებლიედ, ხშირად ხელი ეწყობა აგრესიისა და უზნეობის, ნარკომანიისა და აზარტული თამაშების პროპაგანდას; ბილწისიტყვაობა, ტყუილი, ცინიზმი, საჯარო შეურაცხყოფა... ჩვეულებრივ მოვლენად იქცა" (საშობაო ეპისტოლე, 2019)

როგორც ვხედავთ, ბოლოდროინდელი პუბლიკაციები ადასტურებენ ტენდენციას, რომ პარლამენტართა, უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მაუწყებლების პოზიციებში იკვეთება საერთო პლატფორმა, რომლის თანახმად კომუნიკაციების კომისიის მიერ დაგეგმილი ცვლილებები ემუქრება დემოკრატias, რადგან ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას და ამდენად, მიუღებელია.

ცვლილებათა კანონპროექტის განხილვას ხელს უშლის მაუწყებელთა და მედიის უფლებების დამცველ არასამთავრობო

ორგანიზაციათა კატეგორიული უარყოფითი დამოკიდებულება კანონპროექტის მიმართ, რის გამოც ხდება კანონის საპარლამენტო განხილვების გადატანა და კანონის მიღება ჭიანჭურდება.

ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი აჩვენებს, რომ 2004 წლიდან პარლამენტი და კომუნიკაციების კომისია ორიენტირებული იყო გამოხატვის თავისუფლების საბაზით მაუწყებელთა ინტერესების დაცვაზე არასრულწლოვანთა ინტერესების უგულვებელყოფის საფასურად. 2013 წლიდან მიუხედავად ხელისუფლების ცვლილებისა კომუნიკაციების კომისია არ იწვევს განხილვებში მომხმარებელთა უფლებების დამცველს ან მაყურებელთა წარმომადგენლებს, შესაბამისად მათი პოზიცია არც მასობრივ მედიაში არ შუქდება და კიდევ უფრო მეტად იგნორირებულია, ვიდრე 2003-2012 წლებში. მართალია, კომუნიკაციების კომისია აყენებს მცირეწლოვანთა ფსიქოლოგიური და ზნეობრივი განვითარების დაცვის გაუმჯობესების საკითხს ევროკავშირთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, მაგრამ პრაქტიკულად ისევ მაუწყებელთა ინტერესების პრიორიტეტისკენ იხრება.

არასრულწლოვანთა დაცვა და აზარტული თამაშების რეკლამის შეზღუდვის დისკურსი. საქართველოში 2010 წლიდან ტელეეთერში, ინტერნეტსა და გარე რეკლამაში შეუზღუდავად წარმოებს აზარტული თამაშების რეკლამა, რაც ასევე არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონის დარღვევას წარმოადგენს, რადგან აზარტული თამაშები არასრულწლოვანთათვის დაუშვებელ საქმიანობად მიიჩნევა (მავნე ზემოქმედებისგან არასრულწლოვანთა დაცვის კანონი, 2001). აზარტული თამაშების რეკლამა ასევე შეზღუდულია ევროპის საბჭოს ქვეყნების სივრცეშიც (Directive 2010). საქართველოში აზარტული თამაშების შეუზღუდავი რეკლამა ყოველ ნაბიჯზეა სკოლებთან, ტრანსპორტსა და სატელევიზიო მაუწყებლობაში, ამასთან რეკლამა ხშირად პირდაპირ ბავშვებზეა მიმართული - შეიცავს ბავშვებისთვის მიმზიდველი ანიმაციის ელემენტებს, პერსონაჟებს ან ტექსტს.

ევროპის კავშირი (Directive, 2018) და გაერო-ს ბავშვთა ფონდი (Children and Digital Marketing, 2018) განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ აზარტული თამაშების რეკლამა პირველ რიგში მოზარდებზე

მოქმედებს და იწვევს პრობლემური მოთამაშეების რაოდენობის ზრდას. 2018 წელს გაეროს ბავშვთა ფონდმა რეკომენდაცია მისცა ავსტრალიის მთავრობას, რათა კიდევ უფრო შეეზღუდა აზარტული თამაშების რეკლამა, რადგან არასრულწლოვანთა ინტერესები პრიორიტეტული იყო ბიზნესის ინტერესებთან შედარებით (Inquiry, 2018).

მედიაში აზარტული თამაშების რეკლამის შეზღუდვის საკითხში იგივე მიდგომა გამოიყვანდა, რაც ზოგადად მედიის რეგულირების საკითხთან. საქართველოს პარლამენტში 2013 წლიდან დაწყებული ორჯერ დადგა აზარტული თამაშების რეკლამის შეზღუდვის საკითხი და ორივეჯერ ჩავარდა საკითხის განხილვა. 2013 წელს კანონპროექტის განხილვის შეწყვეტის მთავარ არგუმენტს წარმოადგენდა, რომ არ დაზარალებულიყო ბიზნესი (კენჭიანშვილი თ. 2017) და მედიაში არც წამოჭრილა მცირეწლოვანთა რეკლამისგან დაცვის თემა. 2013 წლის საკანონმდებლო ინიციატივა მედიაში გაშუქდა, როგორც ზოგადად ინტერნეტის თავისუფლების შეზღუდვა (ხარაძე ნ. 2013), ამ დროს კანონპროექტით მხოლოდ რეკლამის შეზღუდვა იყო ნაგარაუდები.

მედიის ტენდენციური მიდგომა ამ შემთხვევაშიც აშკარაა, აქცენტი კეთდება ბიზნესის თავისუფლების შეზღუდვაზე, მოსალოდნელ ზარალსა და სამუშაო ადგილების შემცირებაზე, არგუმენტაცია შემდეგია: „სარეკლამო ბიზნესი დიდ დარტყმას მიიღებს და სხვა გზების მოძებნა მოუწევს“ „რეკლამის აკრძალვით ბაზარი დამკვეთების დაახლოებით 1/3-ს დაკარგავს (მუკბანიანი თ., 2018), „ ინვესტიციები გაჩერდა“ (ამირანაშვილი, 2016), „მაინც ითამაშებენ და რეკლამის შეზღუდვით ლუდომანიასთან ბრძოლა არაეფექტურია, ლუდომანიას ვერ შეამცირებს“ (კვიციანი გ, 2013, ხორგუაშვილი ზ. 2015) და ა.შ. ამ პუბლიკაციებში საერთოდ იგნორირებულია არასრულწლოვანთა დაცვის დისკურსი, მაგრამ აქცენტირებულია ბიზნესის დაზიანების, ინვესტიციების შეჩერების დისკურსები.

ზემოთ აღნიშნულ პუბლიკაციებში საერთოდ არ არის არგუმენტაცია, რომ არასრულწლოვანთა დაცვის ინტერესი პრიორიტეტულია, როგორც ამას მოითხოვენ საერთაშორისო

ორგანიზაციები. არასრულწლოვანთა დაცვის საკითხი აზარტული თამაშების რეკლამის შეზღუდვასთან დაკავშირებით იშვიათად არის ნახსენები, უფრო აქცენტი არის ახალგაზრდების ჩართულობის შეზღუდვაზე, არაა ნახსენები, რომ ილახება არასრულწლოვანთა უფლებები და მათ ზიანი ადგებათ, როდესაც საუბარი უნდა იყოს მედიაში არასრულწლოვანთა დაცვის პრიორიტეტზე და აქედან გამომდინარე რეკლამის დაუყოვნებლივ შეზღუდვაზე (პერტაია ლ. 2019). ამ პუბლიკაციებშიც არ განიხილება არასრულწლოვანთა ინტერესების დამცველთა პოზიციები (პაპასკირი 2019, აზარტულ თამაშებში მოსახლეობის...,2019).

საკითხის დაყენება პარლამენტის წევრების მიერ შემდეგია - არის 2 დაპირისპირებული ინტერესი, ახალგაზრდობის დაცვის და ბიზნესის, რომელთა დაბალანსება ძალიან რთულია (აზარტული თამაშების რეკლამირება, 2019). როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც იგნორირებულია არასრულწლოვანთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტის პრიორიტეტი, რაც ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს აზარტული თამაშების რეკლამის შეზღუდვას.

ერთადერთი უფლებადამცველი ორგანიზაცია, რომელმაც განცხადება გააკეთა აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული რეკლამის შეზღუდვის მოთხოვნით, აღმოჩნდა „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ („იემსი“ აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით..., 2019), მაგრამ ამ ორგანიზაციის განცხადება მხოლოდ 2-მა სააგენტომ გააშუქა (პაპასკირი 2019, აზარტულ თამაშებში მოსახლეობის...,2019) და არცერთს არ უხსენებია, რომ რეკლამის შედეგად ილახებოდა არასრულწლოვანთა უფლებები. ორგანიზაციის განცხადებაშიც არ არის პირდაპირ ჩამოყალიბებული, რომ რეკლამა არღვევს მცირეწლოვანთა უფლებებს, ლაპარაკია მხოლოდ არასრულწლოვანთა ჩართულობაზე აზარტულ თამაშებში და რეკლამაზე, როგორც გამოწვევაზე, მაგრამ არაა განმარტებული, თუ რაში მდგომარეობს გამოწვევა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა უფლებების გათვალისწინების გარეშე განთავსებული რეკლამები საქართველოში 2010 წლიდან ვრცელდება, მაგრამ არცერთ უფლებადამცველ ორგანიზაციას არ მოუხდენია ამ ვითარების

შეფასება 10 წლის განმავლობაში არასრულწლოვანებზე მავნე ზეგავლენის თვალსაზრისით, მაშინ, როდესაც სხვა უფლებადაცვით საკითხებზე ამ არასამთავრობოთა მიერ რეაგირება მყისიერად ხდება და როგორც წესი, განცხადებები სხვადასხვა პლატფორმის ეგიდით კეთდება მინიმუმ 6-7 არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით (საქართველოს ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის განცხადება, 2016, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი, 2020).

როგორც ვხედავთ, მედიის საშუალებათა უმეტესობა აქცენტს ბიზნესის ინტერესების დაცვაზე აკეთებს და მცირეწლოვანთა დაცვის საკითხის მნიშვნელობას არც ახსენებენ. მედიაში პრაქტიკულად ვერ ნახავთ ბავშვის უფლებათა დამცველთა პოზიციას ახარტული თამაშების რეკლამასთან დაკავშირებით.

ახარტული თამაშების რეკლამის შეუზღუდაობა 10 წლის განმავლობაში ადასტურებს, რომ ზოგადად მცირეწლოვანთა დაცვის საკითხი საერთოდ იგნორირებულია საქართველოს სარეკლამო სფეროში, თუ ეს ძლიერი კორპორაციების ინტერესებშია. მედია-დისკურსში აშკარა ნეოლიბერალური იდეოლოგიის გავლენა, რადგან რეკლამის შეზღუდვის საწინააღმდეგო არგუმენტებად სახელდება ინვესტიციების გაზრდა, ინტერნეტის თავისუფლება, ბიზნესის ინტერესების დაცვა, ხოლო მომხმარებელთა და მცირეწლოვანთა დაცვის დისკურსი იგნორირებულია.

არასრულწლოვანთა ფსიქიკური განვითარების დაცვა და ნარკოტიკების პოპულარიზაცია მედიაში. მცირეწლოვანთა დაცვის სტანდარტების იგნორირების კიდევ ერთ სფეროს წარმოადგენდა ტელეკომპანია „იმედის“ მიერ მთელი 2018 წლის განმავლობაში გადაცემაში „მთელი კვირა“ თითქმის ყოველ კვირა დღეს (როგორც თვითონ გადაცემის წამყვანი მიუთითებდა წლის შემეჯამებელ გადაცემაში) საღამოს 9 საათზე წარმოებული საინფორმაციო კამპანია მარიხუანის დადებითი თვისებების შესახებ, რაც წარმოადგენდა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 45-ე მუხლის დარღვევას. ეს კამპანია სამკურნალო მარიხუანის წარმოების სახელისუფლო პოლიტიკის ნაწილი იყო, რომელიც შემდგომ დაწუნებულ იქნა. ამ კამპანიის ფარგლებში 4 თებერვალს ტელეარხით გადაიცა არასწორი

ინფორმაცია, რომ „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაადგინა, რომ ყველა დროის ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი მცენარე ჯანმრთელობისათვის საშიში არ არის, მეტიც, სასარგებლოა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ იმ დაავადებათა არასრული ნუსხაც გამოაქვეყნა, რომელსაც შეგვიძლია კანაფით ვუმკურნალოთ“ (სიუჟეტი „მარიხუანა სამედიცინო მიზნებისთვის“, 2018).

სარეკლამო კლიპები ამ გადაცემების შესახებ იგივე ინფორმაციით საათში ერთხელ გადაიცემოდა მთელი კვირის მანძილზე. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ მხოლოდ 6 თვის შემდეგ დადასტურა, რომ მაყურებელს მიეწოდა არასწორი ინფორმაცია, მაგრამ ტელეარხმა არ მოახდინა მისი შესწორება (გადაწყვეტილება საქმეზე - ქეთი ბრაჭულის და ირაკლი ჩიხლაძის წინააღმდეგ. 2018). ქარტიამ ასევე მეორე შემთხვევაში დაადგინა ჟურნალისტის მიერ მარიხუანას შესახებ არასწორი ინფორმაციის, რომ მოსაწევი მარიხუანა საქართველოში ფართო მოხმარების საგანი იყო, გავრცელება ერთი კვირის შემდეგ, 11 თებერვალს ტრანსლირებულ გადაცემაშიც (კანაფი და ქართული ტრადიცია, 2018). (გადაწყვეტილება საქმეზე - ქეთი ბრაჭულის წინააღმდეგ. 2018)

ორივე შემთხვევაში არასწორი, შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია გავრცელდა მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელი სატელევიზიო არხის მიერ, რომელიც არ იქნა შემდეგში შესწორებული. პრაქტიკულად განხორციელდა არა მხოლოდ მაუწყებელთა ქვეყნის კოდექსის დარღვევა, რომლის თანახმადაც ინფორმაცია ნარკოტიკების მოხმარების შესახებ არ უნდა გადაიცეს დღის საათებში 23 საათამდე, არამედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ერთ-ერთი მუხლიც, რომელიც კრძალავს სპეციალური ნუსხით აკრძალული ნარკოტიკის პოპულარიზაციას. ამასთან ზემოთ აღნიშნულ გადაცემებს შეიძლება კონკრეტული ზიანიც კი გამოეწვია მაყურებლებში ნარკოტიკის მოხმარების გაზრდის შედეგად.

როგორც ვხედავთ, საქართველოში მედიის სფეროში არასრულწლოვანთა ზნეობრივი განვითარების დაცვის ინტერესები მეორეხარისხოვანია ბიზნესის ინტერესებთან შედარებით. მედიის პუბლიკაციების დისკურს ანალიზი ასევე ადასტურებს, რომ

ძალაუფლების მქონე მედიის ორგანიზაციები და მათი დამცველები ახდენენ დისკურსის კონტექსტის ისე მართვას, რომ არასრულწლოვანთა ფსიქიკური განვითარების დაცვის ინტერესის არსებითი უგულვებელყოფა ხდება. მედიის დისკურსში წამყვანია სახელმწიფოს ჩარევის დაუშვებლობისა და ბიზნესის თავისუფლების დაცვის ნეოლიბერალური პრინციპები, რის შედეგადაც ზიანდება საზოგადოებრივი ინტერესი და დაბრკოლება ექმნება არასრულწლოვანთა ფსიქიკურ და ზნეობრივ განვითარებას.

დასკვნა. კვლევამ აჩვენა საქართველოში ნეოლიბერალური იდეოლოგიის დომინირება საკანონმდებლო და მედია დისკურსში, რაც ქმნის წინააღმდეგობას სოციოცენტრული კულტურის ღირებულებებთან და განაპირობებს საზოგადოებრივი ინტერესის, ახალგაზრდობის ფსიქიკური და მორალური განვითარების დაცვის ღონისძიებათა უგულვებელყოფას, ამწვავებს კონფლიქტს მედიასა და უკმაყოფილო მოსახლეობას შორის და საზოგადოების განვითარებისთვის დამაბრკოლებელ ვითარებას ქმნის.

თავი 6. ქართული სუფრა როგორც ეროვნული იდენტობის მარკერი და მისი იდეოლოგიური კრიტიკა

გლობალიზაციის პროცესში ნეოლიბერალური იდეოლოგია მწვავედ აყენებს ტრადიციებისა და მოდერნიზაციის საკითხს. საქართველოში განსაკუთრებით აქტუალური დისკუსია გაიშალა სოციალური მეცნიერებათა წარმომადგენლების მიერ ქართული ეროვნული იდენტობის მარკერად (ნოდია, 2000), იდენტობის ერთ-ერთ ყველაზე სახიერ სიმბოლოდ (გამსახურდია, 2016) აღიარებული სუფრის ტრადიციის შესახებ. ამ დროს ტრადიციული სუფრა 2017 წელს აღიარებულია მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ, როგორც საკუთარი იდენტობის ნაწილი და მას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია აქვს მინიჭებული. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტოს დასკვნით “ქართული სუფრა წარმოადგენს ქართველი ხალხის სოციალური ურთიერთობებისა და ვალდებულებების კულტურულ სივრცეს, რომლის გარეშეც შეუძლებელი გახდებოდა ქართველი ერის ნაციონალური იდენტობის შენარჩუნება“ (ქართული სუფრა, 2017).

დისკუსია გამოიწვია სამეცნიერო პუბლიკაციებში ფართოდ გავრცელებულმა მოსაზრებამ, რომ ქართული სუფრის ტრადიცია მხოლოდ მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა. ამ კონცეფციას საფუძვლად უდევს ლევან ბრეგაძის კონცეფცია სადღეგრძელოს კომპენსატორული ხასიათის შესახებ და აქედან გამომდინარე დასკვნა ტრადიციული სუფრისთვის ძირძველი კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის გაუქმების და სუფრის დამაზიანებელი გავლენის შესახებ კიდევ უფრო გაღრმავდა (ბრეგაძე, 2000) და გამოითქვა მოსაზრებები, რომ ტრადიციული სუფრა დემოკრატიის დამაბრკოლებელია (ნოდია, 2000) და ყავლგასულია (ნიჟარაძე, 2000).

ამ დროს მოსახლეობის დიდი ნაწილი სუფრის ტრადიციას უაღრესად მნიშვნელოვნად მიიჩნევს ეროვნული იდენტობისათვის, უცხოელებისთვის კი ქართული სუფრა გამორჩეულ ტრადიციას წარმოადგენს. როგორც ვხედავთ, იქმნება წინააღმდეგობრივი

ვითარება, ეროვნული მემკვიდრეობის ძეგლად, ნაციონალური იდენტობის შენარჩუნების საფუძვლად ცხადდება ტრადიცია, რომელსაც მკვლევართა ნაწილი და უკვე საზოგადოების გარკვეული ფენაც არააუთენტურ, სხვა ერებისგან გადმოღებულ ჩვეულებად მიიჩნევს.

ჩვენს წინა ნაშრომში (ყიფიანი, 2002, გვ. 120) განხილული იყო იდეოლოგიური მიდგომა, რომლის თანახმად ზოგადად ქართული კულტურა და ტრადიცია ცვლილებას, მოდერნიზაციას მოითხოვს და ნაჩვენებია იქნა, რომ ქართული სუფრის კრიტიკა რადიკალური ლიბერალური იდეოლოგიის გამოვლენა იყო და ტრადიციის რელიგიური საფუძვლების იგნორირებას ეფუძნებოდა. ქართული სუფრის ტრადიციის კრიტიკამ მას შემდეგ ახალი მიმართულებები შეიძინა და კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა.

ჩვენთვის საინტერესოა, თუ რა სოციალურ-ფსიქოლოგიური და ანთროპოლოგიური თავისებურებები გამოარჩევდა და გამოარჩევს ტრადიციულ სუფრას, რა ღირებულება აქვს მას ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებისა და ზოგადად სოციალიზაციის პროცესში, რა იდეოლოგიური სტრატეგიები გამოიყენება სუფრის შესახებ დისკუსიაში.

დისკუსია სუფრის ტრადიციის შესახებ დაიწყო ლევან ბრეგაძეს პუბლიკაციით, რომლის თანახმად საქართველოსა და კავკასიაში სუფრაზე სადღეგრძელოს ტრადიცია რუსული ლიტერატურიდანაა გადმოღებული მე-19 საუკუნეში, რადგან მისი აზრით მე-19 საუკუნემდე ისტორიულ წყაროებში სადღეგრძელოს შესახებ ცნობები არ არსებობდა. ბრეგაძე მიუთითებდა სადღეგრძელოს შესახებ ცნობების არარსებობას არჩილ მეფის პოემაში "საქართველოს ზნეობანი", ასევე ლამბერტისა და შარდენის ჩანაწერებში [ბრეგაძე, 2000, გვ. 10, 2010, გვ. 42]. ბრეგაძის აზრით, რიტუალური სმა სიტყვის წარმოთქმის გარეშე ხორციელდებოდა მე-19 საუკუნემდე და სუფრა საქართველოში დიდ მნიშვნელობას მხოლოდ მე-19 საუკუნიდან იძენს, როდესაც დაკარგული დამოუკიდებლობის კომპენსაციის ფუნქციას შესრულებას იწყებს.

ლევან ბრეგაძის მიხედვით ლხინის პირველი აღწერა საქართველოში 1827 წელს გრიგოლ ორბელიანის პოემაში

„სადღეგრძელო“ არის მოცემული. მისი აზრით, სუფრა ძალიან ემსგავსება რელიგიურ რიტუალს (გვ. 10). ბრეგაძეს სადღეგრძელოს რიტუალური ფორმა მიაჩნია სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოშლის შედეგად შეუსრულებელ მოვალეობათა კომპენსატორული ფუნქციის დასაბუთებად. ლევან ბრეგაძე ასევე იმოწმებს აკაკი წერეთლის სიტყვებს სათვითო და სამიზეზო სადღეგრძელოების არარსებობის შესახებ [ბრეგაძე, 2000, 12].

ქართულ სუფრაზე სადღეგრძელოების ტრადიციის რუსული ლიტერატურიდან დასესხების კონცეფცია გაიზიარა მთელმა რიგმა მკვლევარებისა, კერძოდ, ზაზა შათირიშვილი, თვლის, რომ სადღეგრძელო, როგორც ახალ ჟანრი, რომანტიზმთან ერთად შემოდის [შათირიშვილი, 2000, გვ. 18]. გაა ნოდია მიიჩნევს, რომ სუფრის საკრალიზაცია მოდერნიზაციის შოკის შედეგია და სუფრა ილუზორული აუთენტურობის ოაზისს ქმნის [ნოდია 2000, 5]. როგორც ვხედავთ, ეს ავტორიც უგულებელყოფს სუფრის ტრადიციაში რელიგიურ საწყისებს და სუფრას „გამოგონილ“ ტრადიციადა თვლის.

პრაქტიკულად ყველა ის ავტორი, ვინც ქართული სუფრის აუთენტურობას უარყოფს, ამასთან ერთად უგულებელყოფს ტრადიციული სუფრის წარმოქმნის რელიგიურ კონტექსტს და როგორც წესი, საერთოდ არ განიხილავს საწინააღმდეგო მოსაზრებას ან საერთოდ არ ახსენებს მას. ასეთმა მიდგომამ ქართველი ეთნოგრაფების მხრიდან მძაფრი კრიტიკა დაიმსახურა [გოცირიძე, 2007:304, ფრუიძე, 2007:5, Гоцириძე Г.,2011], რადგან ქართველი მკვლევარების აზრით, ტრადიციული სუფრა თავისი ფესვებით, შინაარსით და მისიით დაფუძნებულია ლიტურგიის რიტუალისა და არქაული დროიდან მომავალი ტრადიციების სინკრეტულ ერთობაზე [გოცირიძე,2007:104]. თუმცა დისკუსიის წამომწყები მაინც განაგრძობს მტკიცებას, რომ სუფრის რიტუალი უსიტყვოდ მიმდინარეობდა და მხოლოდ სამი მოკლე სადღეგრძელო შეისმებოდა (ბრეგაძე, 2010).

სადღეგრძელოს კომპენსატორული ფუნქციის კონცეფციის ვარაუდი სუფრის ტრადიციის რუსული ლიტერატურიდან დასესხების შესახებ უცხოელ ანთროპოლოგთა ჯგუფმა კიდევ უფრო გააღრმავა. კერძოდ ფლორიან მიულფრიდის მონოგრაფია მთლიანად ქართულ სუფრას დაეთმო [Muehlfried, 2006], მიულფრიდი ეყრდნობა ბრეგაძის

მიერ მითითებულ წყაროებს, თავის მხრივ უმატებს კონტარინისა [Muehlfried, 2006, გვ.119] და ბუსბეკის ნაშრომებს [Muehlfried, 2006 გვ., 121] და მათი მიმოხილვის შემდეგ ასკვნის, რომ საქართველოში რიტუალიზირებულ სმას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ სადღეგრძელოების გარეშე, ამდენად, მისი აზრით, მე-19 საუკუნემდე მოგზაურთა ჩანაწერებში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად კავკასიაში [Muehlfried, 2006:183] თემატურ სადღეგრძელოთა სისტემა და თამადის ინსტიტუტი არ დასტურდება და სადღეგრძელოს მსგავსი კულტურული პრაქტიკა კავკასიაში მხოლოდ მე-19 საუკუნიდან აღინიშნება. ამ ავტორის აზრით, ქართული სუფრა "გამოგონილ ტრადიციას" წარმოადგენს, რომელიც ეროვნული იდენტობის შემქმნელი და განმამტკიცებელია [Muehlfried, 2007, 286–287].

კვიციანი ტუიტი რუსებისგან სუფრის გადმოღების კონცეფციის მომხრეთა ჯგუფს "სუფროლოგებს" უწოდებს. ტუიტიც იმავე ისტორიული წყაროებით კმაყოფილდება და თვლის, რომ მცირესიტყვიანი სადღეგრძელოები უფრო ერთმანეთისთვის იყო მიძღვნილი, ვიდრე წინაპრებისათვის და აბსტრაქტული თემებისთვის მიძღვნილი სადღეგრძელოები საქართველოში მე-19 საუკუნის პროდუქტია (Tuite, 2008).

ქართული სუფრის იდეოლოგიური კრიტიკა. სუფრის შესახებ დისკუსიის შემდეგ ეტაპზე იდეოლოგიური კრიტიკა კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა, 2014 წელს ქართული სუფრის ფესვებზე დისკუსიას 6 სტატია დაეთმო რუსეთში გამოცემულ ორენოვან ჟურნალში *Ab Imperio* [2014, #4]. ჟურნალის რედკოლეგიამ დისკუსიისთვის მხოლოდ ის მკვლევარები მიიწვია, ვინც თვლიდა, რომ ქართულ სუფრაზე თემატური სადღეგრძელოების ტრადიციის საფუძველი მე-19 საუკუნეში ქართველი რომანტიკოსი პოეტების მიერ რუსების მიზამდა. რედკოლეგიის აზრით, სუფრის ტრადიცია, ქართველი მკვლევარების მიერ, როგორც კულტურული იდენტობის ერთ-ერთ უძველეს შემადგენლად წარმოჩენილი, სინამდვილეში აუთენტური ჰომოგენურობისა და ეროვნული სიწმინდის ოქროს ხანაზე მითის იდეალურ რეპრეზენტაციას წარმოადგენს [Осмысление, 2014. გვ. 11]. დისკუსიის მონაწილეები ეთანხმებიან ამავე ნომერში

გამოქვეყნებულ ჰარშა რამის სტატიას, რომლის მიხედვით ქართული სუფრა თბილისის მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნებისა და ქართველი პოეტების რუსული ლიტერატურიდან ნასესხობის ჰიბრიდულ პროდუქტს წარმოადგენს და როგორც კულტურული ფენომენი, მხოლოდ მე-19 საუკუნეში დასტურდება [Mühlfried, 2014:65; Nodia, 2014:70; Manning, 2014:54]. არცერთი დისკუსიის მონაწილეთაგან ისევ არ ახსენებს ქართველ ანთროპოლოგთა იმ შრომებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ჰარშა რამის სტატიის საფუძვლად მდებარე ლევან ბრეგაძის კონცეფციას.

ზოგიერთი ამ ავტორთაგანი უფრო შორსაც მიდის ქართული კულტურის შესახებ ზოგადი დასკვნების თვალსაზრისით, მაგალითად, პოლ მანინგი სტატიაში "ველური სუფრის მოშინაურება" ("ველურ სუფრაში" იგულისხმება ქართული სუფრა მე-19 საუკუნემდე) მიუთითებს, რომ ექსკლუზიურად მატერიალისტური და მასკულინური ქართული სუფრა [Manning, 2014:61] ისევე როგორც საფავიდურ სპარსეთში, მთვრალ ორგიას - ღრეობას წარმოადგენდა და სულიერება ქართულ სუფრაზე მხოლოდ მე-19 საუკუნიდან შემოდის რუსული ლიტერატურიდან სადღეგრძელოების გადმოღებით [Manning, 2014:54]. მანინგი ასეთ დასკვნის გაკეთებისას მიუთითებს, რომ მე-19 საუკუნის პრესის პუბლიკაციებს ეყრდნობა, სადაც ლოთობა და ჩხუბი ქართული სუფრის ყველაზე ხშირ და ტიპიურ გამოვლინებებად არის დასახელებული, თუმცა მის წიგნსა და სტატიაში ვერ ნახავთ ამ დასკვნის დამადასტურებელ კონკრეტულ მასალებზე მითითებებს [Manning, 2012:173, 2014:58]. მანინგის აზრით, სუფრა "კულტურული" და სულიერზე მიმართული ხდება მხოლოდ მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიული კარის გავლენით სადღეგრძელოების გადმოღების შედეგად [Manning, 2012:172].

ჰარშა რამიც ეთანხმება პოლ მანინგს, რომ რუსულმა სადღეგრძელომ მოახდინა მაცივილიზებული გავლენა ველურ და მატერიალურ ქართულ სუფრაზე [Ram, 2014:87]. გაი ნოდიაც ასევე ეთანხმება ჰარშა რამს, რომ ქართული სუფრის, როგორც კულტურული ფენომენის ჩამოყალიბებაში, რუსულ იმპერიულ კონტექსტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ტრადიციული სუფრა, გ.ნოდის აზრით, კულტურული სუვერენულობის სიმულაკრს (არარეალურის

მოდელირება) წარმოადგენს და ქართული ნატივიზმის მწვერვალია, რადგან იმპერიასთან ეროვნული ელიტის კოოპტაციის მოსახერხებელ ფორმატს წარმოადგენდა (Nodia, 2014, გვ.73). როგორც ვხედავთ, დისკუსიის ერთადერთი ქართველი მონაწილე ქართველი ეთნოგრაფების იმ შრომების სრულ იგნორირებას ახდენს, რომლებიც სუფრის რელიგიურ საფუძველს წამყვანად მიიჩნევენ.

2015 წელს ჰარშა რამის მოხსენებას თბილისში ქართული სუფრის რუსული ფესვების შესახებ „ქართული ლხინის ლიტერატურული საწყისები: ნაციონალური ტრადიციის კოსმოპოლიტური პოეტიკა“ (ჰარშა რამის ლექცია, 2015) საზოგადოების პროტესტი მოჰყვა, რომელიც ინტერნეტში დისკუსიაში გადაიზარდა. დისკუსიაში ჩაერთო პოლ მანნიჩი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი სტატიის დასათაურება „ველური სუფრის მოშინაურებად“ 2014 წლის კრებულში რუსულმა რედაქციამ მოახდინა და მას სხვა სათაური ჰქონდა, თუმცა სტატიის შინაარსის გაცნობა დაგვარწმუნებს, რომ ის სათაურის შესაბამისია. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ პუბლიკაციების კრებულის 2014 წლის Ab Imperio-ს მიერ გამოცემას გამოკვეთილი იდეოლოგიური მიზანიც ჰქონდა.

ამ პრეზენტაციასთან დაკავშირებით ქართული ღვინისადმი მიძღვნილ საიტზე ჰარშა რამმა განაცხადა, რომ მისი მიზანი არ იყო სუფრის ფესვებზე დისკუსია (რამდენად ავთენტურია ქართული სუფრის ტრადიცია?, 2015), თუმცა მას შემდეგ ახალი პუბლიკაცია მოამზადა, რომელშიც ისევ არ ახსენა მისი კონცეფციის საწინააღმდეგო წყაროებისა და მოსაზრებათა არსებობა. კერძოდ, სტატიაში, რომელშიც საუბარია რუსული ნადიმის გაქართულებაზე (Pam, 2018:171).

სადღეგრძელოს ფორმალიზირებული რიტორიკა, რთული თემატური დანაწევრება და სადღეგრძელოთა თანმიმდევრობა მე-19 საუკუნეშია ჩამოყალიბებული და საკრალურ, სულიერზე ორიენტირებულ ხასიათს სადღეგრძელოები მხოლოდ მე-19 საუკუნეში იძენს რუსეთთან მიერთების შემდეგ. ქართული ტრადიციული სუფრის სადღეგრძელოები იდენტობის თვითდამკვიდრების ან იდეოლოგიური მეტოქეობის რეპრეზენტაციად განიხილება,

შესაბამისად ქართული სუფრის ტრადიციის ჩამოყალიბება რუსული კოლონიზაციის ეტაპით თარიღდება (Pam, 2018).

„სუფროლოგების“ ბოლო დროინდელ პუბლიკაციებში ტრადიციული სუფრის მნიშვნელობა საქართველოში ავტორიტარულ და კორუფციულ პრაქტიკებთან კავშირდება. პოლ მანინგის აზრით, ქართული სუფრის "კულტურულ" და სულიერზე მიმართულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა სტალინის კულტურულ პოლიტიკას ჰქონდა [Manning, 2017:431].

ფლორიან მიულფრიდი ქართულ სადღეგრძელოს ცალკე სტატიას უძღვნის, როგორც სუფრის მოძველებულ ატრიბუტს - ჩრდილოვანი ეკონომიკის თანმხლებ მოვლენას, ალიონა ვედენეევას რედაქტორობით ინტერნეტში განთავსებულ და წიგნადაც გამოცემულ არაფორმალურობის ენციკლოპედიაში (Muelfried, 2018). საყურადღებოა, რომ ამ ენციკლოპედიის, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ არაფორმალურ პრაქტიკებს მიმოიხილავს, იმავე თავში „პატრონისა და კლიენტის ურთიერთობები“ განხილულია ჩინეთში სადღეგრძელოს მსგავსი ტრადიცია, ამასთან ერთად მითითებულია, რომ ეს ჩინური ტრადიცია ძალიან ძველია, მაგრამ სადღეგრძელო საქართველოში ისევ განიხილება, როგორც რუსებისგან მე-19 საუკუნეში გადაღებული.

კევინ ტუიტი, პოლ მანინგი, ფლორიან მიულფრიდი, ჰარმა რამი ქართული კულტურის შესახებ სამეცნიერო თუ საჯარო დისკურსში უკვე ავტორიტეტულ ქართველოლოგებად მიიჩნევიან, რომელთაც არაერთი სტატია და წიგნი აქვთ მიძღვნილი კავკასიისა და ქართული კულტურის შესახებ. როგორც ვხედავთ, ორი ათეული წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა ავტორთა ჯგუფი, რომელიც სისტემატურად ბეჭდავს ქართულ სუფრაზე სტატიებს. სუფრის ასეთი კოლექტიური იდეოლოგიური კრიტიკა, რა თქმა უნდა, აყალიბებს როგორც სამეცნიერო საზოგადოების, ასევე ახალგაზრდობის აზრს, რომ ეს ტრადიცია სხვა ერისგან გადაღებულია, რადგან ეს მკვლევარები ქართულ უნივერსიტეტებში ხშირად კითხულობენ ლექციებს.

როგორც ვხედავთ, ყველა ზემოთ მოყვანილ პუბლიკაციაში აშკარაა სუფრის ტრადიციის რელიგიური ფესვებისა და საზრისის უგულვებელყოფა. სუფროლოგების ყველა უახლესი პუბლიკაცია ისევ

ახდენს როგორც იმ ისტორიული წყაროების იგნორირებას, რომლებშიც აღწერილია სადღეგრძელოთა სისტემა ქართულ სუფრაზე, ასევე საწინააღმდეგო აზრის მქონე პუბლიკაციების იგნორირებას.

ქართული სუფრა მედიის დისკურსში. ქართული სუფრის, როგორც თემატურ სადღეგრძელოთა სისტემის მე-19 საუკუნეში შექმნის კონცეფციის მას-მედიაში ფართო პროპაგანდის შედეგად სამეცნიერო-პოპულარულ მიმოხილვებსა თუ ინტერნეტში, პარალელურად ტელემედიასა და სოციალურ ქსელებში გაიშალა დისკუსია სუფრის ტრადიციის მოძველებულობისა და არააუთენტურობის შესახებ. შედეგად ქართულენოვან ინტერნეტპორტალ vinoge.com-ზე, რომელიც ყველაზე მეტ მასალას შეიცავს სუფრის ტრადიციის შესახებ, ქართულ ენაზე ბევრ სტატიას ნახავთ, რომელიც სუფრის ტრადიციაზე უფრო მეტად, როგორც სხვა ერებისგან გადმოღებულზე მსჯელობს, ვიდრე აუთენტური ქართული საფუძველის მქონე ტრადიციაზე. ინტერნეტში უკვე ხშირად შეხვდებით მოსაზრებას, რომელსაც ეჭვი შეაქვს ქართული სუფრის ტრადიციის სიძველესა და აუთენტურობაში (გადაცემა De facto - 03.04.2017).

ზოგიერთი ეთნოგრაფი თვლის, რომ საკამათოა სუფრაზე სადღეგრძელოების თანმიმდევრობის წესის სიძველეც, რადგან მათი აზრით, არ არსებობს ისტორიული წყარო, რომელიც დაადასტურებს იმას, თუ რომელი სადღეგრძელოს მერე რა უნდა დალეულიყო, ამდენად, სადღეგრძელოების თანმიმდევრობის კულტურა საქართველოში მეფის რუსეთის დროს ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა (ეთნოგრაფი, 2017)

ზოგიერთი ფსიქოლოგი თვლის, რომ რელიგიასთან დაკავშირებული სადღეგრძელოები ტრადიციულ ქართულ სუფრაზე არ იყო (ნიჟარაძე, 2014) და მრავალსადღეგრძელოებიანი სუფრის ტრადიცია მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა (ხაჩიძე ნ. 2012). ზოგი ეთნოგრაფი ასევე მიუთითებს, რომ „არანაირი დოკუმენტი და ისტორიული წყარო არ არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ მაგალითად სამასი წლის წინანდელ საქართველოში პატრიარქის სადღეგრძელოს ამბობდნენ“ (სეფისკვერაძე, 2019, ინტერვიუ გიორგი გოცირიძე, 2014).

ასეთი იდეოლოგიური მიდგომის მთავარი მახასიათებელი ტრადიციული სუფრის რელიგიური ასპექტის უგულვებლყოფაა. დომინანტური იდეოლოგიური დისკურსი აქაც დაბრკოლებას ხედავს, რადგან ღვინოსთან დაკავშირებული რელიგიური კონტექსტი ზედმეტად მიაჩნია ღვინის ზოგიერთ სპეციალისტსაც კი. მაგალითად, მალხაზ ხარბედია თვლის, რომ სკოლებთან სასურველია იყოს ტრადიციული მარნები, მაგრამ მას მიაჩნია, რომ იქ საქმიანობას რელიგიური რიტუალის სახე არ უნდა მიეცეს (ხარბედია, 2011). ამ დროს ტრადიციული მარანი საქართველოში იმდენად საკრალურ ადგილად ითვლებოდა, რომ ეკლესიის როლსაც კი ასრულებდა და მარანში ტარდებოდა ჯვრისწერა და ნათლობა (ლამბერტი, 1938).

სუფრის ტრადიციის რელიგიური საფუძველი. სუფრის ტრადიციის რელიგიური საფუძვლის იგნორირება არსებითად ცვლის სუფრის ფენომენის მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის, ამიტომ მნიშვნელოვანია უფრო დეტალურად განვიხილოთ, თუ რა როლს ასრულებდა და ასრულებს რელიგიური ელემენტები ქართული სუფრის რიტუალში. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ნახსენები ავტორების მიერ იგნორირებულია ისეთი ისტორიული წყაროები მე-19 საუკუნემდე, რომლებიც ადვილი მისაწვდომია ინტერნეტში.

ჩვენ გავამახვილებთ ყურადღებას იმ ისტორიულ მასალებზე, რომლებიც დღემდე არ გამხდარა დეტალური ანალიზის ობიექტი არც ანთროპოლოგიური და არც სოციალურ-ფსიქოლოგიური მეცნიერების თვალსაზრისით. ეს წყაროები აღწერს სუფრის დროს სადღეგრძელოების შესმის იმ სოციოკულტურულ თავისებურებებს, რომლებიც ქართული სუფრის აუთენტურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებელთა კომპლექსს ქმნის მეზობელი ქვეყნების იმდროინდელ აღწერილობებთან შედარებით, მაგრამ მათი განხილვა არ მომხდარა სუფრის ტრადიციების აუთენტურობის გაანალიზების კუთხით, რადგან ადრე არ იყო დაინტერესება მოდერნიზაციის მიზნებიდან გამომდინარე ქართული კულტურის კრიტიკით და არ დამდგარა საკითხი, რომ ქართველ მეცნიერებს ემტკიცებინათ სუფრის ტრადიციის სიმკვლე თუ აუთენტურობა.

როგორც ზევით აღინიშნა, სუფრის ტრადიციის უცხოელ მკვლევართა აზრით, სულიერება ქართული ნადიმის დროს

არაარსებითი იყო მე-19 საუკუნემდე, რასაც ძნელია დაეთანხმო, რადგან მაგალითად, უცნობი ჟამთაღმწერლის ჩანაწერებში თამარ მეფისა და დავით სოსლანის საქორწინო ნადიმის დროს 1191 წელს 2 ადგილას აღწერილია პოეტთა მიერ ზმათა ციტირება: „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა სახეობათა“ [ქართლის..., 1906:432], „ზმა მგოსანთა და მუშაითთა იყო“ [ქართლის ... 1906:450]. ზმა წარმოადგენს ლექსს, რომელიც ისეა დაწერილი, რომ ორი ან სამი მეზობელი სიტყვის მარცვლებიდან ახალი სიტყვა მიიღება და ლექსს მრავალსაზრისიანობას ანიჭებს. სამეფო ნადიმზე ზმა, როგორც წესი, მოიცავდა მონარქის ხოტბას, დალოცვას, შესაბამის რელიგიურ კონტექსტს და ნადიმის იდეოლოგიურ ქარგას ქმნიდა.

კავკასიაში თემატურ სადღეგრძელოთა სისტემის პირველ აღწერილობად ჯორჯიო ინტერიანოს 1502 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი უნდა ჩავთვალოთ, რომელსაც არც ერთი ზემოთ მითითებული "სუფროლოგი" ავტორი არ ახსენებს. ჯორჯიო ინტერიანო [Интерьяно, 1974: 49] - ახასიათებს სუფრას მართლმადიდებელ ჩერქეზებთან, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან ცერემონიას - ჩერქეზები ფეხზე წამომდგარი, თავსაბურავის მოხდით სვამენ დიდი თასებიდან უღრმესი პატივისცემის გამოხატვით, ისე თითქოს ასრულებდნენ რელიგიურ რიტუალს, ღმერთისა და წმინდანების სადიდებელს, გმირების, წინაპრებისა და ახლობლების სადღეგრძელოებს.

კავკასიაში მობინადრე ხალხებს შორის ინტენსიური ურთიერთობები არსებობდა, კერძოდ, ჩერქეზული ტომები მე-13 საუკუნის ბოლოდან მართლმადიდებლური საქართველოს მმართველობის ქვეშ იმყოფებოდნენ [Minahan, 2000:175], ამდენად ეს აღწერილობა ადასტურებს, რომ სუფრაზე სადღეგრძელოების ტრადიცია ქრისტიანულ საფუძველზე გავრცელებული იყო ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში და უმნიშვნელოვანეს საერო, რელიგიურ რიტუალთან მიახლოებულ ცერემონიას წარმოადგენდა. ამდენად, კავკასიაში თემატურ სადღეგრძელოთა სისტემა და სუფრა, როგორც უმნიშვნელოვანესი ცერემონია უკვე მე-15 საუკუნიდან დასტურდება.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ადიღელ ჩერქეზებში დღესაც იმდენად ძლიერია ქრისტიანობის პერიოდის ტრადიციები, რომ

განსხვავებით კოსოვოს მუსლიმ ჩერქეზებისგან ყველა დღესასწაული ალკოჰოლის მიღებას გულისხმობს და ყოველ დაღვევაზე სადღეგრძელო უნდა ითქვას, რომელიც სხვადასხვა სურვილებსა და დიდაქტიკურ ტექსტებს მოიცავს. ამასთან ყოველი სადღეგრძელო რელიგიური „ამენ“-ით ბოლოვდება. ამ გზით ალკოჰოლის მიღების საკრალიზაცია ხდება და ადილელი ჩერქეზებისთვის ალკოჰოლის მიღების რელიგიურ მარკირებას წარმოადგენს, რომელშიც აშკარაა ქრისტიანული ან კიდევ უფრო ადრინდელი პერიოდის ფესვები (Kumpilova, 2017). კავკასიაში სადღეგრძელოს ცერემონიის ქრისტიანულ ფესვებს ასევე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჩერქეზებიც მუხლმოდრეკით სვამდნენ სადღეგრძელოს მე-17 საუკუნეში პიროვნების განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად (და Лукка Дж. 2010) ისევე როგორც საქართველოში.

ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი (მოგზაურობა საქართველოში 1631-1643 წლებში) მიუთითებს სუფრის ცერემონიის მაღალ მნიშვნელობას გურიაში და აღწერს ნადიმს, რომელზეც ეპისკოპოსი მრავალ სადღეგრძელოს წარმოსთქვამს სუფრაზე სამი თასის შესმის გარდა (ჯუდიჩე, 1964:36), ჯუდიჩე ასევე აღწერს თასებით სმით დროს მორიგეობით სიმღერას და მხიარული სიტყვების წარმოთქმას სამეგრელოში [ჯუდიჩე 1964:88]. უნდა აღინიშნოს, რომ იტალიელი ჯუდიჩესათვის ასევე უცხო აღმოჩნდა სადღეგრძელოს შესმის რიტუალური ცერემონია სამი-სამ ადამიანით შედგენილი ჯგუფების მიერ მუხლმოდრეკითა და ერთმანეთის გადაკოცნით [ჯუდიჩე, 1964, გვ. 88].

მუხლმოდრეკა ქრისტიანობაში ღრმა პატივისცემისა და ლოცვის ანალოგიაა, ხოლო გადაკოცნა ქრისტიანობაში დამკვიდრებულ მშვიდობის კოცნას წარმოადგენდა [Le Goff, 1980:239]. სადღეგრძელოს შესმის მსაგავსი რიტუალი კი არ იყო მიღებული მუსულმანურ სამყაროში (Friedman, 2011:248). ამდენად, ასეთი ცერემონიული სადღეგრძელოები ვერ იქნებოდა სპარსეთიდან გადმოღებული, როგორც ამას „სუფროლოგები“ ამტკიცებენ. მუხლმოდრეკით იმდროინდელ ევროპაში მხოლოდ პატრონს ადღეგრძელებდნენ [French, 1881:65], მაგრამ საქართველოში მუხლმოდრეკით ერთმანეთის დღეგრძელობა სუფრაზე წესს

წარმოადგენდა, რომელშიც სხვადასხვა იერარქიის წარმომადგენელი მონაწილეობდა, ეს კი საქართველოში სადღეგრძელოს რიტუალის კულტურულ თავისებურებას ადასტურებს. ორჯერ მუხლმოდრეკით თასის შესმა და გადაკოცნა აღწერილია 1736 წელს დაწერილ თეიმურაზ მეორის პოემაშიც (არჩილი, თეიმურაზ მეორე, 1976). ეს ფაქტი ეწინააღმდეგება ზოგიერთი ქართველი ეთნოგრაფის მოსაზრებას, რომ გადაკოცნა არ იყო მიღებული ქართულ სუფრაზე (ადეიშვილი ქ. 2011, ფაცია ლ. 2018).

ზემოთ მოყვანილი ჩანაწერები ადასტურებს, რომ სადღეგრძელოთა სისტემა ჩამოყალიბებულ წესს წარმოადგენდა მე-17 საუკუნეში და სადღეგრძელოს რელიგიური რიტუალის ატრიბუტებს რამდენიმე რელიგიური დატვირთვის მქონე ელემენტი ანიჭებდა - მუხლმოდრეკა, გალობა და გადაკოცნა, რაც აჩვენებს სადღეგრძელოს, როგორც ტრადიციული სუფრის მთავარი რიტუალური ელემენტის და ზოგადად სუფრის, როგორც რელიგიური დატვირთვის მქონე ცერემონიის მაღალ მნიშვნელობას ქართულ ყოფაში.

სუფრის ტრადიციის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები.

უცხოელ მოგზაურთა მიერ ქართველ დიდგვაროვანთა სუფრის აღწერილობები გვაძლევს შესაძლებლობას წარმოადგენა შევიქმნათ იმდროინდელი ყოფის სოციალურ ფსიქოლოგიაზე. რუსეთის ელჩი საქართველოში თევდორე ვოლკონსკი 1637-1640 წლებში, აღწერს 7-ზე მეტ სადღეგრძელოს სამეფო სუფრაზე, რომლებიც შემდეგი თანმიმდევრობით დაილია: წმინდანის სადიდებელი, რუსეთის მეფის, რუსი უფლისწულების, რუსეთის პატრიარქის, კახეთის მეფე თეიმურაზისა და ელჩების სადღეგრძელო მუხლმოდრეკით [Материалы...,1937:270, 283]. გარდა ამ სადღეგრძელოებისა კახეთის მეფე კიდევ 2-ჯერ შესვამს სადღეგრძელოს მუხლმოდრეკით ვეზირთან ერთად [Материалы, 1937:391]. უცხოელი მოგზაურებისთვის ქართულ სუფრაზე განსხვავებულ და უცხო რიტუალს წარმოადგენდა ერთმანეთის მუხლმოდრეკით დღეგრძელობა, რომელშიც მეფეც მონაწილეობს და შემდეგ გადაკოცნის თავის ვეზირს. მეფესა და ვეზირს შორის ურთიერთობაში ასეთი მცირე დისტანცია არ აღინიშნება არც სპარსეთის სამეფო კარის ეტიკეტში და არც რუსეთის სამეფო სუფრის აღწერილობებში. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული სამეფო

სუფრის ტრადიცია ჩვეულებრივ და აუცილებელ პრაქტიკად მიიჩნევა სხვადასხვა იერარქიის წარმომადგენელთა შორის მსგავს თანასწორ ურთიერთობას, რაც ქვემოთ მოყვანილ სხვა მაგალითებითაც დასტურდება. უნდა აღინიშნოს, რომ შვედეთში დიდგვაროვნები მუხლს მხოლოდ მევის წინაშე მოიდრეკდნენ (Engström, 2013).

რუსი ელჩების მიერ სუფრის აღწერილობა ასევე ადასტურებს პატრიარქის სადღეგრძელოს არსებობას, ევროპაშიც წესად იყო მიღებული ეპისკოპოსის დღეგრძელობა სამეფო ოჯახის წევრების პერსონალური სადღეგრძელოების შემდეგ (Engström, 2013). იმავე პერიოდის თავის ჩანაწერებში ქრისტეფორო კასტელი [1640-1657 წლები] სუფრის ჩანახატებს დაურთავს კომენტარებს, რომლებშიც ხშირად არის აღწერილი სუფრაზე ღრმა პატივისცემის გამოხატვით მრავალი სადღეგრძელოს შესმა მუხლმოდრეკით, სადღეგრძელოები ხშირად პერსონალურია.

კასტელი მიუთითებს რამდენიმე ადგილას, რომ საქართველოში მიღებულია ქალების დღეგრძელობა ზოგჯერ მუხლმოყრილი, ზოგჯერ ფეხზე წამომდგარი [კასტელი, 1976:117,146] და ეპისკოპოსიც კი მონაწილეობს ამ ცერემონიაში [კასტელი, 1976:145], ქალის სადღეგრძელო მისი ფეხსაცმლითაც კი შეისმება. კასტელი ეპისკოპოსის მიერ ქალის სადღეგრძელოს მუხლმოდრეკით შესმას ველურ ცერემონიად მიიჩნევს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ქალის სადღეგრძელოს შესმა მუხლმოდრეკით უფრო გვიანდელი პერიოდის ევროპაში იყო მიღებული [French,1881:65,78]. ეს ფაქტიც ასევე მეტყველებს მცირე სოციალურ დისტანციაზე საეკლესიო იერარქიის წარმომადგენელსა და საერო პირებს შორის.

მუხლმოდრეკით სადღეგრძელოების შესმა არ დასტურდება იმ პერიოდის სუფრის აღწერილობებში არც რუსეთსა [Петров, 2017:25] და არც ირანში მოგზაურთა აღწერილობებში [Олеарий, 1906:201] რუსეთსა და ირანში ქალები საერთოდ არ ესწრებიან მამაკაცების სუფრას, მე-17 საუკუნეში რუსეთის ელჩებს ისიც კი უკვირდათ, რომ საქართველოში დედოფალი ესწრებოდა ნადიმებს [ჟუჟუნაშვილი, 1996:23]. მე-17 საუკუნის ირანში ქალები არ ესწრებოდნენ სუფრას [Jahandideh, 2011:138], რუსეთში კი, ქალები თუ ესწრებიან სუფრას, მხოლოდ მცირე ხნით და დიასახლისის დღეგრძელობა შეურაცხყოფად აღიქმება

დიდგვაროვანთა წრეში [Витсен 1996:142]., ქალის სადღეგრძელო პერსონალურად არ შეისმება. აქაც დასტურდება ქართული სუფრის ეტიკეტის განსხვავება სპარსეთისა და რუსეთის იმდროინელი რეალობიდან, რაც ასევე ადასტურებს ქართული ტრადიციის აუთენტურობას. ის ფაქტი, რომ მაღალი სასულიერო იერარქიის წარმომადგენელი მუხლმოდრეკით შესვამს ქალის სადღეგრძელოს, ასევე ადასტურებს მცირე პიროვნებათაშორის დისტანციას სხვადასხვა ფენას შორის საქართველოში.

კასტელი ასევე განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ქორწილს სტუმრების გასართობად სპეციალურად მოწვეული პირი წარმართავს, ქართულ სუფრაზე მამაკაცისთვის დათრობა სირცხვილად ითვლებოდა და ქალები კი საერთოდ არ სვამენ. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში ქალები იმ დროს არ ერიდებოდნენ დათრობას [French,1881:72], იგივე ხდებოდა რუსეთშიც [Травев П. В. 2013:128]. მე-17 საუკუნეში მამაკაცებისთვის დათრობა რუსეთში სუფრაზე აუცილებლად მიიჩნეოდა [Рейтенфельс, 1906 :145, Корн, 1997:331, Мейерберг, 1997: 167]] და სამეფო კარზე უცხოელი ელჩების დათრობასაც ცდილობდნენ [Петрей , 1867: 364.]

ყოველივე ეს ადასტურებს, რომ ქართული სუფრის წესი სრულიად განსხვავებული იყო როგორც რუსეთის, ასევე ირანის იმდროინდელი ტრადიციებისგან, ამასთან გამორჩეული იყო რელიგიური შინაარსით დატვირთული ელემენტებით. სუფრაზე სადღეგრძელოს შესმის ცერემონია აჩვენებს სხვადასხვა იერარქიის წარმომადგენლებს შორის ისეთ ურთიერთობას, რომელიც არ აღინიშნება არც რუსეთის, არც ევროპისა და არც სპარსეთის დიდგვაროვანთა კარზე, კერძოდ, მეფეც კი მოიდრეკს მუხლს თავის ვეზირთან სადღეგრძელოს შესმისას, ეპისკოპოსმა კი ქალის სადღეგრძელოს შესმისას შეიძლება მოიდრიკოს მუხლი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ძალაუფლების მცირე დისტანციას სხვადასხვა იერარქიის წარმომადგენლებს შორის, რაც იმდროინდელი ქართული კულტურისათვის დამახასიათებელ გამორჩეულ სოციალურ ფსიქოლოგიურ მახასიათებელს უნდა წარმოადგენდეს.

ქართული სუფრის აუთენტურობის ფსიქო-ანთროპოლოგიური საფუძვლები. ქართული სუფრის ტრადიციების გამორჩეულობას

ისტორიულ წყაროებში მითითებული არაერთი ფაქტი ადასტურებს. ჯოვანი და ლუკა [1648-1650 წლები] მიუთითებს, რომ ქართველებმა იციან სადღეგრძელოს დალევა გალობით და გალობა ქართულ სუფრაზე სიტყვის გაგრძელებას წარმოადგენს. და ლუკა აღწერს, რომ სამეგრელოს მთავარმა დადიანმა ჰკითხა და ლუკას, თუ როგორ მოსწონდა მათი ეს ჩვეულება. [ქართველები..., 2018:143]. ეს შეკითხვა იმის მაჩვენებელია, რომ ქართველებს გაცნობიერებული აქვთ სადღეგრძელოს და გალობის ჩვეულების თავისთავადობა და ამაცობენ კიდევ ამ ჩვეულებით. ადრეული მოდერნის პერიოდის მოგზაურები ასევე მიუთითებენ, რომ განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან სიმღერა გამოარჩევდა სუფრას საქართველოში [რაინესი, 2002:112, Материалы, 1937:235] .

საქართველოში თემატურ სადღეგრძელოთა კარგად ჩამოყალიბებული სისტემის (თასთა შესმის რიგი) არსებობა თვალსაჩინოდ დასტურდება თეიმურაზ II-ის 1736 წლით დათარიღებულ პოემაში “გაბაასება დღისა და ღამისა” [არჩილი... 1976:62]. ქორწილის წესით ღვთის სადიდებლის შემდეგ ნეფემ უნდა შესვას თასი, შემდეგ თასები ზმათა თანხლებით ითქმება:

შეიქნას სმა და პურობა, ლხინი და უკუყრანო,
მოჰყვნენ ლხინს წყნარად, რიგზედა, პირველად ითქვას ზმანიო,
მეორეს დალევის დროსა იწყონ შაირის თქმანიო,
მესამეს რიგსა თასზედა იქნების გალობანიო.

ზმა ქვემოთ მოყვანილ მაგალითში შეიცავს ქორწილის მონაწილეთა ხსენებას და რელიგიურ თემატიკას (ხაზგასმულია ზმის ტექსტში მეორე საზრისის შემქმნელი სიტყვები):

უდედო ფალის გახსნასა ვერა იქმს ობოლიაო,
სანამ და დისა შეყრასა ისმენდეს, გული სტკივაო,
ნაქორწინებას უსჯულოს ჰშველის ღვთისმოსავიაო,
ბაკურ თხევასა ვერ უდგა, არ ღვინის დამღევიაო!

შემდეგ კი დალოცვა შაირით გრძელდება და რელიგიური თემა უფრო მეტად ღრმავდება:

ვით უქმნა ღმერთმან ადამსა ევა მის ცოლად გვერდითა,
ადამ შეერთდა ცოლს თვისსა ხორციით და თვისთა ძვლებითა,
იყვნით მისებრ ღვთისაგან კურთხევით გაერთებითა,

ბოლოს დროს ადამს ცთომაში თქვენცა ნუ ემსგავსებითა!

შაირის თქმას თასების ახალი რიგი მოჰყვება ჭრელების (საგალობლების განსაკუთრებული სახეობა), შემდეგ კი თასების ახალი რიგი დასდებლების (საეკლესიო საგალობლების სახეობა) თანხლებით:

„აწ გათავდების შაირი ერთს რიგსა დაღევაზედა,
ააყენებენ მგალობელს, ვის თავი მოსწონს თქმაზედა,
იტყვიან ჭრელსა საამოდ თასების დაღევაზედა,
მისცემენ სამგალობოსა, დასრულდეს ტკბილსა ხმაზედა
რაც იქნა ქალის სამშობლოს ღვინისა წესი, ქცევანი,
აქ უფრო რიგი მეჯლიშის გარდაღეგ-გარდმოღეგანი,
მუდამ თასისა ჭერაში იყოს დასდებლის თქმევანი,
მას ღამეს ნახონ ღვინი და არ აქვს სიხარულს ღეგანი!

ძეობაში თასების იგივე რიგია, რაც ქორწილში; აქაც აუცილებელი ატრიბუტი გალობაა, რაც ხაზს უსვავს სადღრძელოთა რელიგიურ კონტექსტს:

რაც იყო რიგი ქორწილში, ისრე გამართვენ მსმელობას,
არ დააკლებენ გალობას, არც დასდებლისა მთქმელობას,
ღვინოში შევლენ, იქმონენ ფერხისის დაუკლებლობას,
იქით და აქეთ ჩაებნენ, შემოსძახებენ ძეობას.

როგორც ვხედავთ, პოეტი აღნიშნავს, რომ აღწერილი თემატურ სადღეგრძელოთა სისტემა ერთიან სქემას და თანმიმდევრობას ექვემდებარება ქორწილშიც და ძეობაშიც, მაგრამ კუთხის ტრადიციების შესაბამისად შეიძლება განსხვავებული იყოს. რაც ადასტურებს, რომ სადღეგრძელოთა სისტემა უკვე კარგად განვითარებული და ჩამოყალიბებულია, ამასთან კუთხური განსხვავებებითაც ხასიათდება. ეს კი ადასტურებს მთელი საქართველოს მასშტაბით საერთო სუფრის წესის არსებობას, რაც საერთო მართლმადიდებლური საფუძვლითა და ერთიანი ქართველური კულტურით იყო განპირობებული.

პოეტი აღწერს მთელ რიგ სადღეგრძელოებს, რომლებიც წესის შესაბამისად დაიღევა და მოიცავს მუხლმოდრეკის და გადაკოცნის ელემენტებს, რაც ასევე რელიგიური საზრისის მაჩვენებელია:

დრო მოვა წამოჩოქისა, სვემდენ ღვინოსა სავსესა,
დაღევენ ჩარიგებითა, ჩამოართმევენ თასებსა,

ქალსა აჰხდინან აქაცა წესითა პირის ბადესა,
ორსა ყულუხჩსა მიაართმენ, ისევ იმ თავის სოფლებსა.
დროც მოვა საყეენოსი, ყველა ადგება ფეხზედა,
ასე ასმევენ ზემდგომთა, თასს არიგებენ მსმელზედა,
გაათავებენ, თვის მსმელსა პირს აკოცებენ ზეზედა,
წინ დაჩოქილსაც ცოტას ხანს უკან დალევენ წესზედა.

საყეენო წყვილად ისმება და თასის შესმის შემდეგ გადაკოცნას გულისხმობს. თეიმურაზ მეორის პოემა მოიცავს ქორწილის სუფრის აღწერას ნეფესა და ასევე დედოფლის ოჯახებში, თასების შესმა (11-დან 20-მდე თასი) ნადიმის თემატურ ეტაპების მიხედვით ხდება, თან ახლავს რელიგიური საზრისის ტექსტები და გალობა. თასების შესმა იწყება ღვთის დიდებით, გამოიყოფა ზმების, შაირების, ჭრელების გალობის, დასდებლებისა, და მზითევის წიგნის კითხვის თემატური ეტაპები, გარდა ამისა წესის შესაბამისად ასევე ორჯერ დაილევა თასი მუხლმოდრეკით და სადღეგრძელო წყვილებში გადაკოცნით - საყეენო. [არჩილი, თეიმურაზ მეორე, 1976:47]:

სუფრის შესახებ პუბლიკაციებში ხშირად შეხვდებით მოსაზრებას, რომ პერსონალური სადღეგრძელოები საქართველოში გვიანდელია, კერძოდ, მე-19 საუკუნეშია გავრცელებული და მთავარ საბუთად აკაკი წერეთლის მოგონება მიაჩნიათ, რომ სუფრაზე სათვითოო და სამიზეოო სადღეგრძელოს შესმა არ იყო მიღებული. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჟაკ ფრანსუა გამბას ბევრად ადრინდელი (1821-1831 წლები) ცნობები ქართული, კერძოდ კი იმერული სუფრის შესახებ ეწინააღმდეგება აკაკი წერეთლის უფრო გვიანდელ მითითებას, რომელიც მთავარ არგუმენტს წარმოადგენს მათთვის, ვინც ამტკიცებს, რომ სუფრაზე მხოლოდ 3 სადღეგრძელოს სვამდნენ. აკაკი წერეთლის ეს მითითება კი ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად მიიჩნევა იმის დასასაბუთებლად, რომ საქართველოში სადღეგრძელოების გარეშე მიმდინარეობდა სუფრა. გამბა აღნიშნავს, რომ სუფრა საქართველოში რუსეთთან შედარებით დიდხანს გრძელდება და მიუთითებს, რომ აგიაშვილებთან საწირეში (იმერეთი) დაილია უამრავი სადღეგრძელო [გამბა, 1987:185], ხოლო ხრეთში (იმერეთი) კი სათითაოდ 27 სტუმრის პერსონალური სადღეგრძელო თამადამ ისე შესვა, რომ სიმთვრალე არც დატყობია [გამბა, 1987:200]

ამგვარად, ქართული სუფრის ზემოთ მოყვანილი აღწერილობათა შედარება იმდროინდელ რუსულ და ირანულ სუფრასთან აჩვენებს პრინციპულ განსხვავებას, რუსეთში სუფრაზე სმის მიზანი დათრობაა, სპარსეთში ღვინის მიღების უფლება ქვეყნის მხოლოდ უმაღლეს მმართველებს თუ აქვთ, მაგრამ მათთვის თავშეკავება აქტუალური არაა, ამიტომ სპარსეთის მმართველებს შორის ხშირი იყო ალკოჰოლზე დამოკიდებულების ჩამოყალიბება [Matthee 2005:53].

როგორც მიუთითებს თამაზ გაბისონია, ღვინო ქართველი ადამიანის ცნობიერებაში ერთგვარი კულტურული ფენომენია, რომელსაც რელიგიური, სიმბოლური და მისტიკური დატვირთვა აქვს. „ღვინო ქრისტიანობაში ღვთისმშობლის და მაცხოვრის ეპითეტია“ „ღვინო ასოცირდება ვენახთან, ეს უკანასკნელი კი ქრისტიანობაში ღვთისმშობლის და მაცხოვრის ეპითეტია. ღვთისმშობლის საგალობლის ტექსტში „ღვთისმშობელო ქალწულო, შენ ხარ ვენახი ჭემმარიტი, რომელმან გამოიღო მტევანი ცხოვრებისა“; დამიანეს, იგივე, დემეტრე პირველის იამბიკოში „შენ ხარ ვენახი“, ეს კონტექსტი კი დამატებითი ფაქტორია ვენახის, ღვინის და სუფრის ფენომენის საკრალიზაციისა და რელიგიური საზრისის მინიჭებისათვის.

„სადღეგრძელოების თანმიმდევრობას თუ გადავხედავთ, შევამჩნევთ, რომ ისინი კვერექსის (უფალო შეგვიწყალო) ანალოგიური მოვლენაა. წირვის დასაწყისში მღვდელი ამბობს: „მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ“. წვეულების დასაწყისშიც პირველი სადღეგრძელო მშვიდობისაა. სიმღერაში „ჩვენ მშვიდობა“, რომლის ორიგინალი სიტყვები, იქნებოდა: „ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა, ჩვენს მასპინძელს აშენება“. (ინტერვიუ/თამაზ გაბისონია, 2015). ეთნოგრაფი ასევე მიუთითებს, რომ დღეს, როდესაც სასმისის სუფრის წევრს გადასცემენ, ეუბნებიან, რომ ალავერდს გადადიან. ადრე კი ეკითხებოდნენ: „შეუდგები ქრისტესა?“ ის ადამიანი პასუხობდა: „შეუდგები“ და გამოართმევდა სასმისს. ამ წესს აღწერს პლატონ იოსელიანი 1790 წელს სამეგრელოში ქორწილში მიმართვაზე „ალავერდი და იახშიოლ“ ნაცვლად, თუ როგორ უპასუხა ჭაბუა მდივან-ბეგმა „შეუდგები ქრისტესა“, ავტორი მიუთითებს, რომ იმერეთსა და

სამეგრელოში იმ დროს ჯერ არ იყო შემოსული „ალავერდით“ მიმართვა (იოსელიანი, 1893).

საყურადღებოა, რომ მუხლმოდრეკით სადიდებლისა და სადღეგრძელოს შესმის ტრადიცია შენარჩუნებული იყო საქართველოში მე-20 საუკუნეშიც. ყამარაული [1932:97] აღწერს ხევსურეთში გზაში უცნობთან შეხვედრისას მუხლმოდრეკით სალოცავის სადიდებლის და სამი ყანწის შესმას (მიცვალებულთა შესანდობარი, ცოცხლების სადღეგრძელო და მტრებზე გამარჯვება), ხევსურეთში სუფრას მასპინძელი მუხლმოდრეკით ემსახურებოდა (ყამარაული, 1932:94), საწესო რიტუალის დროს სადიდებელი ასევე მუხლმოდრეკით სრულდება.

საქართველოს მთაში შემონახული სადღეგრძელოები სუფრის გაცილებით უფრო ძველი, ქრისტიანობამდელი ფესვების არსებობაზეც მეტყველებს. სვანეთის ზოგიერთ ადგილას შემორჩენილი რიგით მე-4 სადღეგრძელო - სარუაში, მისატევებელი (გოცირიძე, 2007, გვ. 355) შეიძლება დაკავშირებული იყოს ცეცხლთაყვანისმცემელთა ღვთაების საროშის თაყვანისცემასთან, რომელიც ყველა სულის მგარველად ითვლებოდა და გარდაცვალებიდან მეოთხე დღეს განსაკუთრებით აღინიშნებოდა (Dadastani Dinik, 2012:60)

ამრიგად, ჩვენთვის მისაწვდომი ისტორიული წყაროები უკვე მე-17 საუკუნიდან შეიცავს საქართველოში სადღეგრძელოთა სისტემის დეტალურ დახასიათებას, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობის თავისებურებებს, კერძოდ, მეფესა და ვეზირს, ეპისკოპოსსა და მრევლს შორის, რომელიც არ დასტურდება იმდროინდელი რუსეთის ან სპარსეთის ყოფაში. ამავე დროს განსხვავებულია ქალის მონაწილეობა და მის მიმართ დამოკიდებულება სუფრაზე, რუსეთისა და ირანის იმდროინდელ ყოფით რეალიებთან შედარებით.

მოგზაურთა აღწერილობები მე-15 საუკუნიდან (ინტერიანო, ჯუდიჩე, კასტელი, ვოლკონსკი) ადასტურებს, რომ კავკასიაში ტრადიციული სუფრა წარმომადგენდა არა უწესო და მხოლოდ მატერიალურ მომხმარებაზე ორიენტირებულ ღრეობას, არამედ მართლმადიდებლური კულტურის კონტექსტში ჩამოყალიბებულ

თემატურ და პერსონალურ სადღეგრძელოთა მოწესრიგებულ ერთიან სისტემას.

სუფრის რიტუალების აქცენტი სოციალურ ურთიერთობების განმტკიცებაზე იყო მიმართული და არა თრობაზე. სოციალურ ურთიერთობათა სულიერება სწორედ რელიგიური ხასიათით არის განპირობებული და პიროვნებათაშორისი ურთიერთობები სუფრაზე ქრისტიანული სიყვარულის რიტუალის კონტესტში ვითარდებოდა.

სუფრის გამოკვეთილი რელიგიური ხასიათი, პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ეს განსაკუთრებულობა ქმნიდა ქართული სუფრის ავთენტურობას, რომლის თავისთავადობა თვალსაჩინოდ დასტურდება რუსულ და სპარსულ კულტურასთან შედარებითი ანალიზის შედეგად.

სუფრის ტრადიცია და ალკოჰოლის მოხმარების სოციოკულტურული ტიპოლოგია. საქართველოში ალკოჰოლის მიღების პრაქტიკის აღწერა ისტორიულ წყაროებში მეტყველებს კულტურულ ავთენტურობაზე და განსხვავებულობაზე რუსეთისგან. რუსეთში ალკოჰოლის მიღების მთავარი მიზანი დათრობაა, ხოლო საქართველოში ალკოჰოლის მიღებას უპირატესად რელიგიური ცერემონიის, რიტუალის სახე ჰქონდა და დღესაც რიტუალის სახე აქვს, რომელიც დათრობის გარეშე უნდა განხორციელდეს. ეს კი მიანიშნებს არსებით, ტიპოლოგიურ, ფსიქოკულტურულ განსხვავებაზე საქართველოსა და რუსეთში ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებულ ჩვეულებებში.

გავეცნოთ ალკოჰოლის მიღების პატერნების კლასიფიკაციის სოციოკულტურულ მიდგომებს. (Bales 1946) განასხვავებს 4 ტიპის დამოკიდებულებას, რომელიც განაპირობებს ალკოჰოლის სხვადასხვა რაოდენობის მიღებას. პირველი მდგომარეობს სრულ თავშეკავებაში, მაგალითად, მუსულმანურ საზოგადოებებში, მეორე, რიტუალური დამოკიდებულების მაგალითია ღვინის მოხმარება ორთოდოქსი ებრაელების რიტუალებში, მესამე ტიპის დასახასიათებლად ბეილსი იყენებს ირლანდიური და ამერიკული სმის ტრადიციას უტილიტარული დამოკიდებულების აღსანიშნად, რომელიც მოიცავს სამედიცინო მიზნებით სმასა და სხვა ტიპებს, რომლებიც თვითინტერესისა და წმინდა პიროვნულ დაკმაყოფილებას ისახავენ

მიზნად. მეოთხე არის "სადღესასწაულო სმის" შერეული ტიპი, რომელიც იხრება სოლიდარობის სიმბოლური რიტუალისკენ, ასევე უტილიტარული კარგი განცდის გამოწვევას ისახავს მიზნად. Mizruchi და Perrucci (1970) განასხვავებენ "ამკრძალავ" კულტურებს (მორმონები და მეთოდისტები აშშ-ში, ებრაელები) და მარეკომენდირებელი ნორმების კულტურებს (ფრანგები, იტალიელები), სადაც დალევა რეკომენდებულია, მაგრამ დათრობა აკრძალულია.

Ullman (1958) განასხვავებს ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სმის ტრადიციებს. ის ებრაელების, ჩინელებისა იტალიელების ინტეგრირებულ სმას ასახელებს და აღნიშნავს, რომ თუ საზოგადოებაში სმის წესები, ღირებულებები და სანქციები კარგადაა ჩამოყალიბებული და შეესაბამება კულტურის მთელ ერთობლიობას, ალკოჰოლიზმის დაბალი სიხშირე იქნება აღნიშნული. ლემერტი აღწერს ატიუს კულტურას, სადაც ალკოჰოლის მიღება რიტუალით არის დისციპლინირებული რელიგიური სიმღერების თანხლებით განსხვავებით სამოას სეკულარული სმისგან, სადაც აღინიშნება უფრო მეტი უწესრიგობა, აგრესია და ოჯახური ძალადობა (Lemert, 1964).

Mäkelä (1983) განასხვავებს იტალიის მსგავს კულტურებს, სადაც ალკოჰოლის, როგორც კვებითი ღირებულების უპირატესად გამოყენება ისტორიულად დომინირებს, და კულტურებს, სადაც ალკოჰოლი, როგორც ინტოქსიკანტი გამოიყენება. ალკოჰოლის მიღების რიტუალიზაცია, მისი საზეიმო, ცერემონიალური გამოყენება, შემაკავებელ გავლენას ახდენს ალკოჰოლის მიღების უკიდურესი ფორმების გამოვლენაზე (Partanen , 1991). იმ კულტურებში, სადაც დალევა ჩართულია ყოველდღიური სოციალურობის ჩარჩოებში, ინტოქსიკაცია უფრო ხშირი შეიძლება იყოს, მაგრამ უფრო ნაკლები სიძლიერისაა.

შემდეგი ტიპოლოგია აგებულია იმ ადგილის მიხედვით, სადაც უფრო ხშირად მოიხმარება ალკოჰოლის ეს ტიპი, კერძოდ განასხვავებს სამ ტიპს: 1. ხმელთაშუაზღვისპირა ღია ღვინის რესტორნებს, სადაც მაგიდებთან მცირე ჯგუფებად იკრიბებიან, 2) გერმანულ ლუდის დარბაზებს გრძელი პარალელური მაგიდებით, 3) ინგლისურ პაბებს დახლთან ფეხზე დასადგომად. ფეხზე დგომის კულტურა უფრო ინდივიდუალისტური კულტურების ატრიბუტია და ინგლისი იმ

კულტურებს მიეკუთვნება სადაც დათრობა ზოგიერთ ფენაში სოციალურ ვალდებულებასაც კი წარმოადგენს და აქ ბევრად მაღალია ალკოჰოლიზმისა და აგრესიის შემთხვევები (Csikszentmihalyi 1968).

საქართველო შეიძლება მივაკუთვნოთ "სველ", "ღვინის" კულტურათა რიცხვს, ასეთ კულტურებში ღვინის სმა ინტეგრირებულია ყოველდღიურ ყოფაში, ბავშვებს ასწავლიან პასუხისმგებლობით სმას და სმის პროცესი რიტუალიზებულია, თუ სად და როდის უნდა დალიონ, აქვთ ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების უფრო მცირე შემთხვევები, საზოგადოებაში თუ სმა ინტეგრირებულია კულტურაში, პრობლემები ნაკლებია, ადამიანებმა იციან თავისი ზომა, აკონტროლებენ თავს, ასეთ კულტურებში განსაკუთრებით ფასობს უნარი ვიზუალურად არ გამოიხატებოდეს დათრობის ნიშნები (Room, 2000:45).

საქართველოში დათრობა განსაკუთრებით არასასურველია ჭირის სუფრაზე. ქელები, ორმოცი და წლისთავი წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრულ შესანდობართა და სადღეგრძელოთა თანმიმდევრობას და საქართველოში ამ სუფრებს რიტუალური ცერემონიის სახე აქვს, სადაც სულ მცირე 7-9 ჭიქა უნდა დაილიოს (სეფისკვერაძე ლ. 2019). რუსეთში კი ზოგან ჭირის სუფრაზე მხოლოდ სამი ჭიქის დალევაა დაშვებული (Rouhier-Willoughby J.2007) განსხვავებით საქართველოსგან. რუსეთში ალკოჰოლის მოხმარების კავკასიისაგან განსხვავებულ კულტურას სუფრის ეტიკეტის რუსი მკვლევარებიც მიუთითებენ [Байнурин, 1990:153], რუსეთი უფრო "მშრალ", "შემაგრებულ სასმელებზე" მიმართულ კულტურას უნდა მიეკუთვნოს, სადაც ალკოჰოლის მიღების მთავარი მოტივი დათრობა, ინტოქსიკაციაა.

განწყობის ფსიქოლოგიური თეორიის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ განსხვავებული მოტივაცია ტრადიციული ქართული სუფრის შემთხვევაში, როდესაც დათრობა მიღებული არაა, გარკვეულ სიტუაციებში კი საერთოდ აკრძალულია და, პირიქით, ადამიანს თვითკონტროლი ესაჭიროება, რათა არ დათვრეს, სოციალური სიტუაცია განაპირობებს შესაბამისი განწყობის ჩამოყალიბებას, განსხვავებით იმ ვითარებისგან, როდესაც ალკოჰოლის მიღების მთავარი მოტივი დათრობა, ინტოქსიკაციაა.

ამიტომ სოციალიზაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს აქცენტირებული იყოს სუფრის ის ტრადიციები, რომლებიც სოციალურ ურთიერთობაზეა მიმართული, რაც ასევე უპირატესად ღვინის და არა მაგარი სასმელების მოხმარებას გულისხმობს და არა ისეთი გარემოებები, რომელიც დათრობაზეა ორიენტირებული. როგორც ვხედავთ, ტრადიციული სუფრის რიტუალური კონტექსტი, ღვინის და არა მაგარი სასმელების უპირატესი მიღება დიდ როლს ასრულებს, რათა ქართული სუფრის წამყვანი მიზანი იყოს ტრადიციულ ჩარჩოებში წარმართული ურთიერთობა და არა დათრობა.

საქართველოში სტატისტიკური კვლევა აჩვენებს, რომ მოზარდების დიდი ნაწილი ადრიდანვე სინჯავს ღვინოს (ESPAD Report 2015). ასეთ კულტურებში თავიდანვე ხდება მოხმარების ისეთი სოციალიზაცია, რომელიც განაპირობებს ტრადიციულ ზომიერ მოხმარებას. ღვინის, როგორც საკრალური ობიექტის აღქმა, ამ ტრადიციის ნაწილია, ამდენად, სუფრის რელიგიური კომპონენტის - რიტუალური მხარის უგულვებელყოფა ჩამოცილება მხოლოდ ზიანს მიაყენებს ღვინის მოხმარების ტრადიციულ კულტურას და მხოლოდ დათრობის, ინტოქსიკაციის მოტივაციას დაუტოვებს ასპარეზს.

საქართველოში ტრადიციული სუფრის მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბების იდეოლოგიური კონცეფციის „ახალი ინტელექტუალების“ მიერ ატაცებამ, მას-მედიამი ფართო პროპაგანდამ შედეგად გამოიღო, რომ ეს თვალსაზრისი ფართოდ გავრცელდა საზოგადოებაში. როგორც ვხედავთ, იმ ავტორების მიერ, ვინც სუფრის მე-19 საუკუნეში რუსებისგან გადმოღებას ამტკიცებს, ხდება საწინააღმდეგო აზრის, ქართველ ეთნოგრაფთა კვლევების სრული იგნორირება, ამასთან სუფრის ტრადიციის მე-19 საუკუნეში ქართველების მიერ „გამოგონების“ კონცეფცია ახალი იდეოლოგიური არგუმენტებით მდიდრდება. ფაქტიურად, ეს კონცეფცია მიზნად ისახავს არა მეცნიერულად დადასტურებული ფაქტის დადგენას, არამედ არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიარებული ფენომენის, იდენტობის ერთ-ერთი მარკერის, რომელიც ეროვნულ სიამაყესაც წარმოადგენს, მნიშვნელობის დაკნინებას სხვადასხვა გზით.

დასკვნები

ბოლო 3 ათწლეულის საქართველოს შესახებ პოლიტოლოგიურ კვლევათა ანალიზი მიუთითებს საზოგადოებრივ დისკურსში ნეოლიბერალური იდეოლოგიის დომინირებას, რაც განაპირობებს უპირატესად ინდივიდუალისტურ ღირებულებებზე ორიენტაციას და საზოგადოების ტრადიციული ნაწილის მოთხოვნათა გარკვეულ უგულებელყოფას. ნეოლიბერალური მიდგომა საქართველოში უპირატესობას ანიჭებს მინიმალურ სახელისუფლო ჩარევას, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, მედიისა და გამოხატვის თავისუფლებას საზოგადოებრივ ინტერესებთან შედარებით. ამავე დროს სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევა აღნიშნავს ქართულ კულტურაში კოლექტივიზმსა და კონსერვატიზმზე ძლიერ ორიენტაციას. სოციოლოგიური კვლევა ასევე მიუთითებს მოსახლეობის უკმაყოფილებას ეროვნული ღირებულებების უგულებელყოფის გამო.

ჩვენმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ეროვნული და რელიგიური იდენტიფიკაციის სიძლიერე ახალგაზრდობაშიც, რელიგიური პირების მიმართ მაღალი ნდობა. სოციოცენტრული კულტურისადმი მიკუთვნებულობა უნდა განაპირობებდეს საქართველოში საზოგადოებრივი მორალის დაცვისადმი და შესაბამის სოციოკულტურულ თავისებურებათა განსაკუთრებულ გათვალისწინებას საკანონმდებლო და მმართველობითი საქმიანობის დროს.

ჩვენს მიერ ჩატარებული შინაარსობრივი ანალიზი აჩვენებს საზოგადოებრივი მორალის უგულებელყოფის ტენდენციას საქართველოს კონსტიტუციასა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში. საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა მიუღებლად მიიჩნევს დისკუსიასაც კი ზნეობის საკითხებზე საქართველოს სასამართლოებში, რაც დაბრკოლებას უქმნის ქვეყნის მოსახლეობის სოციოკულტურულ თავისებურებათა და მოთხოვნათა გათვალისწინებას.

საზოგადოებრივი მორალის კანონმდებლობაში უგულებელყოფის მიდგომა კიდევ უფრო ინტენსიური ხდება არასრულწლოვანთა ფსიქიკური და მორალური განვითარების დაცვის

ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების დროს. მაუწყებლობის შესახებ კანონსა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსში დაფიქსირებული ფსიქოლოგიური სტანდარტების ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე ლიბერალური მიდგომაა ჩამოყალიბებული სამაუწყებლო ინდუსტრიისთვის მინიმალური შეზღუდვების პოლიტიკიდან გამომდინარე.

მედიაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა დისკურსის კრიტიკული ანალიზი ასევე აჩვენებს ნეოლიბერალური იდეოლოგიის დომინირებას, რაც გამოიხატება სახელმწიფოს რეგულირების დაუშვებლობის, ბიზნესის ინტერესებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის არგუმენტებისთვის პრიორიტეტის მინიჭებაში. მედიის პუბლიკაციათა ანალიზის დროს გამოიყოფა 2 პერიოდი არადომინირებული დისკურსების გაშუქების თვალსაზრით, თუ 2003-2012 წლებში მედიაში ადგილი ეთმობა ზნეობრივი სტანდარტებისა და არასრულწლოვანთა ფსიქიკური და მორალური განვითარების დამცველთა პოზიციების გაშუქებას, 2012 წლის შემდეგ არასრულწლოვანთა მედიაში დამცველთა დისკურსი იგნორირებულია, ამ პერიოდში აღინიშნება ასევე აზარტული თამაშებისა და ნარკოტიკების მოხმარების პოპულარიზაციის გაძლიერება, თუმცა არასრულწლოვანთა დაცვის ღონისძიებათა იგნორირების ხარჯზე.

ნეოლიბერალური იდეოლოგიის დომინირება ასევე თვალსაჩინოა აუთენტური სოციოკულტურული პრაქტიკის - ქართული სუფრის ტრადიციის, ეროვნული იდენტიფიკაციის ერთ-ერთი მარკერის შესახებ გამართულ დისკუსიაში. კვლევა ადასტურებს სუფრის ტრადიციის აუთენტურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ და ანთროპოლოგიურ თავისებურებებს საქართველოში, რომლებიც განსხვავებულია მეზობელ ქვეყნებსა და კულტურებში დამკვიდრებული პრაქტიკებისგან, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურული თავისებურებებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, ტრადიციის რელიგიური ფესვების უარყოფა ეფექტური სოციალიზაციის ეთნოკულტურული მექანიზმების რღვევის საშიშროებას ქმნის.

სხვადასხვა სფეროში წარმართული სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევა ადასტურებს ნეოლიბერალურ იდეოლოგიის გამოხატულ დომინირებას საქართველოს საზოგადოებრივ ცნობიერებაში. ჩვენი კვლევის შედეგად გამოვლენილი წინააღმდეგობა დომინირებულ იდეოლოგიასა და ქვეყნის სიცოცხლულტურულ თავისებურებებს შორის დამაბრკოლებელი შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყნის განვითარებისთვის, რადგან ახდენს საზოგადოებრივი ინტერესების იგნორირებას, იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას და ამწვავებს დაპირისპირებას საზოგადოებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950,
https://www.echr.coe.int/Documents/Convention_KAT.pdf, ნანახია
5.02.2020.

ადეიშვილი ქ. 2011. ნადიმი საქართველოს სამეფო კარზე
<http://www.vinoge.com/samzareulo/nadimi-saqarTvelos-samefo-karze>,
ნანახია 5.02.2020.

ამირანაშვილი ნ, 2016, როგორ დავამარცხოთ აზარტი,
<http://liberali.ge/articles/view/23984/rogor-davamartskhot--azarti>, ნანახია
5.02.2020.

აზარტულ თამაშებში მოსახლეობის, მათ შორის ბავშვების,
ჩართულობა საგანგაშოდ მაღალია - EMC , 08 ნოემბერი 2019,
<https://ajaratv.ge/article/51200>, ნანახია 5.02.2020.

აზარტული თამაშების რეკლამირება 2019,
<https://www.facebook.com/watch/?v=1100812743447135> , ნანახია
5.02.2020.

ამ ხალხს ძალიან ექაჩება საბჭოთა წარსული, 2019,
<https://www.kvirispalitra.ge/politic/54441-qam-khalkhs-dzalian-eqacheba-sabtcotha-tsarsuliq.html?device=xhtml>, ნანახია 5.02.2020.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმის განცხადება, 2020,
<https://gyla.ge/ge/post/aghmosavlet-partniorobis-samoqalaqo-sazogadoebis-forumis-saqartvelos-erovnuli-platformis-ganckhadeba-generaluri-prokuroris-konkurstan-dakavshirebit>, ნანახია 5.02.2020.

არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისგან დაცვა თუ კანონი მედიის
შეზღუდვისთვის? <https://edu.aris.ge/news/arasrulwlovanebis-mavne-zegavlenisgan-dacva-tu-kanoni-mediis-shezgudvistvis.html>. ნანახია 5.02.2020.

ბოგიშვილი დ., ოსეფაშვილი ი. გავაშეიშვილი ე., გუგუშვილი ნ.,
ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია.
კვლევის ანგარიში|„კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელი“,

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2016, http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/identity_geo.pdf , ნანახია 5.02.2020.

გადაცემა „სიმართლის დრო“, 2010, ა)ლელა იაშვილი <https://www.youtube.com/watch?v=koe-9zBaWgE>, ნანახია 5.02.2020.

გადაცემა „სიმართლის დრო“, 2010, ბ)მულატკა), <https://www.youtube.com/watch?v=j2ThYDvjSeY>, ნანახია 5.02.2020.

გადაცემა “სიმართლის დრო”, ერეკლე დეისაძე, 2010), <https://www.myvideo.ge/v/951794>, ნანახია 5.02.2020.

გადაწყვეტილება საქმეზე 421, 422, საკონსტიტუციო სასამართლო, 2009,; http://www.constcourt.ge/act_files/421.422.doc, ნანახია 5.02.2020.

გადაწყვეტილება საქმეზე - ქეთი ბრაჭულის და ირაკლი ჩიხლაძის წინააღმდეგ. 2018. <https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/58967-gadatsyvetileba-saqmeze-qethi-bratculis-da-irakli-chikhladzis-tsinaaghmdeg>, ნანახია 5.02.2020.

გადაწყვეტილება საქმეზე - ქეთი ბრაჭულის წინააღმდეგ. 2018, <https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/58471-gadatsyvetileba-giorgi-yifiani-qethi-bratculis-da-irakli-chikhladzis-tsinaaghmdeg>, ნანახია 5.02.2020.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, მაუწყებლობის შესახებ კანონი. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/210871?> ნანახია 5.02.2020.

გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, 2020, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, <https://gdi.ge/uploads/other/1/1078.pdf>, ნანახია 5.02.2020.

გამსახურდია ვ., ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევამოდერნულ კონტექსტში. დისერტაცია. 2016 თბილისი, თსუ. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_fsiqologia/vladimer_gamsaxurdia.pdf ნანახია 5.02.2020.

გადაცემა De facto - 03.04.2017,
<https://www.facebook.com/IberiaTVDeFacto/videos/1104856306287424/>
ნანახია 5.02.2020.

გადაწყვეტილება 775 . კომუნიკაციების ეროვნული
კომისია.<http://www.gncc.ge/ge/legal-acts/solutions/2005-775-22.page>
ნანახია 5.02.2020.

გადაწყვეტილება #115. კომუნიკაციების ეროვნული
კომისია.<http://gncc.ge/ge/legal-acts/solutions/2006-115-12.page>,
ნანახია 5.02.2020.

გადაწყვეტილება #180. კომუნიკაციების ეროვნული
კომისია.<http://www.gncc.ge/ge/legal-acts/solutions/2005-180-22.page>,
ნანახია 5.02.2020.

გადაწყვეტილება საქმეზე 421, 422, საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლო. გვ.17; http://www.constcourt.ge/act_files/421.422.doc
ნანახია 5.02.2020.

გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, 2020, საქართველოს
დემოკრატიული ინიციატივა, <https://gdi.ge/uploads/other/1/1078.pdf>
ნანახია 5.02.2020.

გახდება თუ არა სუფრის ტრადიცია არამატერიალური კულტურული
მემკვიდრეობის ძეგლი - სააგენტოს პასუხი[https://on.ge/story/7163-
გახდება-თუ-არა-სუფრის-ტრადიცია-არამატერიალური-
კულტურული-მემკვიდრეობის-ძეგლი-სააგენტოს-პასუხი](https://on.ge/story/7163-გახდება-თუ-არა-სუფრის-ტრადიცია-არამატერიალური-კულტურული-მემკვიდრეობის-ძეგლი-სააგენტოს-პასუხი),
ნანახია 5.02.2020.

გელაშვილი ნ. 2006. მაუწყებელთა ქვევის კოდექსის განხილვა
გაზაფხულისთვის გადაიდო,
<https://www.radiotavisupleba.ge/a/1550198.html> ნანახია 5.02.2020.

გოცირიძე ე. „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე,
მუხლი 19. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი
უფლებანი და თავისუფლებანი“. პეტიტი, თბილისი 2013.

გულუა ნ., 2006, ქართულ მედიას ეთიკის ნორმებს უწესებენ, <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=6351&lang=geo> ნანახია 5.02.2020.

ევრო დირექტივა თუ ცენზურის საფრთხე - ცვლილებები მაუწყებლობის შესახებ კანონში, 17. 06.2019, <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/73009-evro-direqtiva-thu-cenzuris-saftrhkhe-cvllilebebi-mautsyeblobis-shesakheb-kanonshi>, ნანახია 5.02.2020.

ეთნოგრაფი - საქართველოში თამადის ინსტიტუტი სულ რაღაც 200 წლისაა 20 ივნისი, 2017. https://allwine.ge/ka/blog/etnografis-azrit-saqartvelosi-tamadis-instituti-sul-rarac-200-wlisaa_624/. ნანახია 5.02.2020.

თაიმერი, ივნისი 13, 2019, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობა, <https://www.interpressnews.ge/ka/article/551427-kartuli-presis-mimoxilva-14062019/>. ნანახია 5.02.2020.

„იემსი“ აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით სახელმწიფოსგან აქტიური პოლიტიკის გატარებას მოითხოვს, 2019, <https://tbilisi-info.com/2019/11/08/იემსი-აზარტულ-თამაშებთან-ნანახია> 5.02.2020.

ინტერვიუ/თამაზ გაბისონია: „ღვინო ქრისტიანობაში ღვთისმშობლის და მაცხოვრის ეპითეტია“, ღვინო, როგორც კულტურა“, 2015 წლის ოქტომბერი. <https://anarekly.blogspot.com/2015/11/blog-post.html> ნანახია 5.02.2020.

ინტერვიუ / გიორგი გოცირიძე. სვამდნენ თუ არა ძაღლად ქართულ სუფრაზე პატრიარქის სადღეგრძელოს : როგორ დამკვიდრდა "ვახტანგური", რას ეძახდნენ ჩვენი წინაპრები თამადასა და სადღეგრძელოს ; ესაუბრა ანი ბეშიტაიშვილი // ვერსია. - თბილისი, 2014. - 24-25 თებერვალი. - N16(911).

ინტერვიუ/გაგა ნიჟარაძე, პერსონალური სადღეგრძელოები ქართულ სუფრაზე 2014. <https://netgazeti.ge/life/36411/> ნანახია 5.02.2020.

იოსელიანი პ. 1893. ცხოვრება გიორგი მე-13-სა. თბილისი.

კანაფი და ქართული ტრადიცია - რისთვის იყენებდნენ მცენარეს სვანეთში საუკუნეების განმავლობაში“, 11 თებერვალი 2018.

<https://www.imedi.ge/ge/video/20774/kanapi-da-qartuli-traditsia--ristvis-ikenebdnen-mtsenares-svanetshi-saukuneebis-ganmavlobashi#!?page=1&from=1493337600&to=1493856000>ნანახია 5.02.2020.

კანონი მაუწყებლობის შესახებ. 2001,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=54>ნანახია 5.02.2020.

კვიტაშვილი გ. ფუჭი გასროლა. <https://www.ambebi.ge/article/72074-puchi-gasrola-anu-rogor-vebrzolut-ludomanias/>ნანახია 5.02.2020.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია, წლიური ანგარიში, 2005,
<https://www.gncc.ge/uploads/other/0/204.pdf>

კომუნიკაციების ეროვნული კომისია წლიური ანგარიში, 2007,
<https://www.gncc.ge/uploads/other/1/1061.pdf>

კომუნიკაციების ეროვნული კომისია წლიური ანგარიში, 2008,
<https://www.gncc.ge/uploads/other/0/207.pdf>ნანახია 5.02.2020.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია, წლიური ანგარიში, 2009,
<https://www.gncc.ge/uploads/other/0/208.pdf>ნანახია 5.02.2020.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია წლიური ანგარიში, 2011,
<https://www.gncc.ge/uploads/other/0/210.pdf>ნანახია 5.02.2020.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია წლიური ანგარიში, 2010,
<https://www.gncc.ge/uploads/other/0/209.pdf>, ნანახია 5.02.2020.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია წლიური ანგარიში, 2012,
<https://www.gncc.ge/uploads/other/0/211.pdf>, ნანახია 5.02.2020.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია წლიური ანგარიში, 2013
<https://www.gncc.ge/uploads/other/0/212.pdf>, ნანახია 5.02.2020.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია წლიური ანგარიში, 2014,
<https://www.gncc.ge/uploads/other/1/1802.pdf>, ნანახია 5.02.2020.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია წლიური ანგარიში, 2015,
<https://www.gncc.ge/uploads/other/1/1976.pdf>, ნანახია 5.02.2020.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია წლიური ანგარიში, 2016, <https://www.gncc.ge/uploads/other/2/2630.pdf>, ნანახია 5.02.2020.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია წლიური ანგარიში, 2017, <https://www.gncc.ge/uploads/other/3/3117.pdf>, ნანახია 5.02.2020.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია წლიური ანგარიში, 2018, <https://www.gncc.ge/uploads/other/3/3706.pdf>, ნანახია 5.02.2020.

კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1989, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901>

კონსტიტუციური სარჩელი, 2019, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა. <https://www.gdi.ge/uploads/other/1/1060.pdf>, ნანახია 5.02.2020.

კორკელია კ. მჭედლიძე ნ. ნალბანდოვი ნ. , 2005. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა კონვენციის მუხლებთან. ევროპის საბჭოს ბიურო, საქართველო.

მაწვე ზემოქმედებისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, 2001, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15652?publication=4>, ნანახია 5.02.2020.

მარიხუანა სამედიცინო მიზნებისთვის - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დასკვნა, 4 თებერვალი, 2018. <https://www.imedi.ge/ge/video/20506/marikhuana-sameditsino-miznebisvis-jandatsvis-msoplio-organizatsiis-daskvna>

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, 2009 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792>, , ნანახია 5.02.2020.

მაუწყებლების თვითრეგულირებიდან რეგულირებამდე — კომუნიკაციების კომისიის კანონპროექტი, <https://netgazeti.ge/news/334152/> ლუკა პერთაია - 18.01.2019, ნანახია 5.02.2020.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის საქმიანობის ანგარიში , 2014,

http://momkhmarebeli.gncc.ge/wp-content/uploads/2019/10/2014-წლის-ანგარიში_compressed.pdf, ნანახია 5.02.2020.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის საქმიანობის ანგარიში , 2015, <http://momkhmarebeli.gncc.ge/wp-content/uploads/2019/10/2015-წლის-ანგარიში.-CRPD.pdf>, ნანახია 5.02.2020.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის საქმიანობის ანგარიში , 2016, <http://momkhmarebeli.gncc.ge/wp-content/uploads/2019/10/წლიური-ანგარიში.-ბოლო.pdf>, ნანახია 5.02.2020.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის საქმიანობის ანგარიში , 2017 <http://momkhmarebeli.gncc.ge/wp-content/uploads/2019/10/2017-წლის-ანგარიში-1.pdf>, ნანახია 5.02.2020.

მუკბანიანი თ.2018, აზარტული თამაშების რეკლამა, http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=3&id_artc=56832, ნანახია 5.02.2020.

მჭედლიძე დ. 2008. არასამთავრობო ორგანიზაციები „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ პროექტის საექსპერტო დასკვნას აპროტესტებენ. 23.09.2008 12:22, <http://www.media.ge/ge/portal/news/24626/>, ნანახია 5.02.2020.

მჭედლიძე დ.2011, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი" VS საჩივრები <http://www.media.ge/ge/portal/articles/42381/>, ნანახია 5.02.2020.

ნაბიჯი უკან, 2019 13 ივნისი, კომუნიკაციების კომისია სიძულვილის ენის კანონით დარეგულირებას ითხოვს, ავტორი: სალომე ჩადუნელი, <https://on.ge/story/39062-ნაბიჯი-უკან-კომუნიკაციების-კომისია-სიძულვილის-ენის-კანონით-დარეგულირებას-ითხოვს>, ნანახია 5.02.2020. , ნანახია 5.02.2020.

ნიჟარაძე გ. პერსონალური სადღეგრძელოები ქართულ სუფრაზე, <https://netgazeti.ge/life/36411>, ნანახია 5.02.2020./

ნიქარაძე გ. მე ვარ ქართველი, 2018, 12 მარტი, <https://www.kvirispalitra.ge/public/41129-me-var-qarthveli-damashasadame.html>, ნანახია 5.02.2020.

ლელა იაშვილი ახალ ამბებში <https://ruclip.com/video/koe-9zBaWgE/lesboselipedagogiimedzeflvflv.html>, ნანახია 5.02.2020.

პაპასკირი ლ. 2019, 200-ჯერ გაზრდილი უბედურება, <https://www.kvirispalitra.ge/politic/58127-200-jer-gazrdili-ubedureba.html>, ნანახია 5.02.2020.

პერტაია ლ, 2019. დავარტყამთ ტრენდს, რომ „თამაში კარგია“, <https://netgazeti.ge/news/408362/>, ნანახია 5.02.2020.

რადიო „თავისუფლება“ ივნისი 13, 2019, კომუნიკაციების კომისია ითხოვს დაჩქარდეს სიმულვილის ენის რეგულირებაზე კანონპროექტის განხილვა <https://www.radiotavisupleba.ge/a/29997895.html>, ნანახია 5.02.2020.

რამდენად ავთენტურია ქართული სუფრის ტრადიცია? 2015, <http://vinoge.com/patara-WiqebiT/ramdenad-avTenturia-qarTuli-sufristradicia>, ნანახია 5.02.2020.

რეზვიაშვილი ჯ. 2006., რა მიზანს ისახავს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მიღება, <https://www.radiotavisupleba.ge/a/1550110.html>, ნანახია 5.02.2020.

საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1994, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>, ნანახია 5.02.2020.

